619
1971

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 4 აპრილი 1971



ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. 1971 წლის 27 თებერვალი. საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის პრეზიდიუმი. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებით გამოდის სსკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე.

ფოტო გ. ვახტანგაძისა და ვლ. გინზბურგისა.

მიმდინარე წლის 27 თებერვლიდან 1 მარტამდე მიმდინარეობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობა, რომელსაც წინ უძღოდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებები, რაიონული, საქალაქო და საოლქო პარტიული კონფერენციები. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია თავის ყრილობას შეეგება მონოლითური, მჭიდროდ შეკავშირებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ვ. პ. მჟავანაძემ აღნიშნა: „საანგარიშო პერიოდში, როგორც ყოველთვის, საქართველოს კომპარტიის საქმიანობა, მისი პარტიულ-პოლიტიკური, ორგანიზატორული მუშაობა მიზნად ისახავდა კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებას, მათ იდეურ აღზრდას, ფართო მასების ინიციატივისა და აქტივობის განვითარებას, მშრომელთა მობილიზაციას ეკონომიურ მშენებლობაში, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად, ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური საბჭოთა კულტურის შემდგომ ამაღლებას“.

საქართველოს კომპარტიის მორიგი ყრილობა შეიკრიბა იმ დღეებში, როცა ჩვენმა ხალხმა ფართოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXIV ყრილობის შესახვედრად, როცა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ემზადებიან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად.

როგორც ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის საანგარიშო მოხსენებაში, ისე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენებაში — „სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ“, და ყრილობაზე გამოსულ ორატორთა სიტყვებში კონკრეტულად წარმოისახა საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის მძლავრი აღმავლობის ნათელი სურათი.

1971 წელი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში შევა, როგორც სკკპ XXIV ყრილობის წელი, რომელიც მოასწავებს კომუნისტური მშენებლობის, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების გამარჯვებისათვის ბრძოლის ახალ ეტაპს.

საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობამ რესპუბლიკის ყველა კომუნისტის სახელით აღუთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, რომელიც განუხრელად ხელმძღვანელობს ლენინის მითითებებით, როგორც ყოველთვის, განამტკიცებს ჩვენი პარტიის ერთიანობას, ძალღონესა და ცოდნას არ იშურებს კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, ღირსეულ წვლილს შეიტანს იმ ამოცანათა გადაწყვეტაში, რომელიც ჩვენი ხალხის წინაშე დგას.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 4 (413) აპრილი, 1971 წ.

გამოცემის წელი 49-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი



ამწყობი ზეინკალი ვლადიმერ ასათიანი

# მუშად დალოცვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ქარხანაში ფართოდ გავრცელდა აღზრდის ისეთი ფორმები, როგორიც არის გამოცდილი მუშების პირადი შეფობა ახალგაზრდობისადმი, საზეიმო ვითარებაში მუშად კურთხევა, შრომის დიდების საღამოები. ჩვენ გვყავს შრომითი დინასტიები, მთელი ოჯახები, რომლებმაც თავიანთი ბედი ქარხანას დაუკავშირეს“.

ამწყობი ზეინკლის ვ. ა. ასათიანის სიტყვიდან საქართველოს კპ XXIV ყრილობაზე.

715-99

ამ დღისათვის დიდი ხანია ემზადებოდნენ ჩვენი ქარხნები და ფაბრიკები, ახალმშენებლობები, მრეწველობისა და საკოლმეურნეო შრომის ადამიანები, სამეცნიერო ლაბორატორიები, მეცნიერები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, ემზადებოდნენ, რომ კომუნისტთა დიად ფორუმზე მოსულიყვნენ ხელდამშვენებულნი ზეგეგმითი ჩარხებით, ელმავლებით, ფოლადით, თუჯით, ვაგონებით, ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, კვების პროდუქტებით, ახალი ქუჩებით, მოედნებით, საცხოვრებელი კორპუსებით.

და აი სამი დღეა, თბილისში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მიმდინარეობს საქართველოს კომუნისტთა ფორუმი. ეს ჭეშმარიტად ისტორიული ყრილობაა, წელს ხომ რევოლუციური, შრომითი და საბრძოლო ტრადიციებით სახელმოხვეჭილი საბჭოთა საქართველო თავისი არსებობის ორმოცდაათ წლისთავს ზეიმობს. დღეს ამ თავყრილობაზე საქართველოს კომუნისტები ანგარიშს აბარებენ თავის ხალხს, თავის ქვეყანას.

ტრიბუნაზე ერთმანეთს სცვლიან მოწინავე ადამიანები, გვიამბობენ საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმატებებზე.

ტრიბუნაზეა ამწყობი ზეინკალი ვლადიმერ ასათიანი.

ასათიანი... ვლადიმერ ასათიანი... ეს გვარი და სახელი ახლა საოცრად მეცნობა. სად მსმენია? სად გამიგონია? თუ მინახავს? ვიცნობ? — ვიმტვრევ თავს და ორატორს ხარბად მივჩერებივარ.

ტრიბუნაზე დგას ხმელი, ქერათმიანი, საშუალო ასაკის, უფრო ახალგაზრდა გარეგნობის მუშა და მოგვითხრობს თავისი ქარხნის ავ-კარგზე.

— წელს ჩვენს ქარხანას ოცდაათი წელი უსრულდება... ჩვენი პირობაა ვიმუშაოთ დამკვრელურად, გამოვუშვათ მხოლოდ საუკეთესო პროდუქცია, სრულვყოთ წარმოების მართვა.

გულნარა ბახტაძე

ვლადიმერ ასათიანი — ვიმეორებ ისევ... საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. მაგონდება ერთი ფაქტი ამ ახალგაზრდა მუშის ბიოგრაფიიდან. ერთხელ, საზღვარგარეთის ქვეყნებში მოგზაურობის დროს საბჭოთა მუშის ბიოგრაფიით დაინტერესებული უცხოელები გარს შემოეხვივნენ ლადოს და შეკითხვები მიაყარეს: რამდენი გაქვთ ხელფასი? აი, თქვენ, ხუთ წელიწადში სამჯერ იყავით საზღვარგარეთ. ჩვენი მუშა თავის ხელფასით ვერ შესძლებდა ამას, საზღვარგარეთ ვერ ისეირნებდა, თქვენ ხომ თხუთმეტი წლის ჭაბუკმა ჩაიცვით მუშის ხალათი... ამდენი ჯილდოები, წარმატებები, დღეს თქვენი ქვეყნის პარლამენტის წევრი ხართ, რატომ არ იცვლით პროფესიას?!

ლადოს გაეღიმა.

— რატომ, ბატონებო? მე მიყვარს ჩემი პროფესია, მუშის სახელმა მომიხვეჭა კეთილდღეობა, სახელი, დიდება. ახლა რომ პროფესია გამოვიცვალო, ეს ხომ საკუთარი თავის ღალატი იქნებოდა? — ასე ჩააჩუმა „კეთილისმსურველები“ მაშინ თბილისელმა ზეინკალმა.

ვლადიმერ ასათიანი — ის არის. დიახ, ეს გვარი და სახელი მისმა პასუხმა დამამახსოვრა.

„ქარხანაში ფართოდ გავრცელდა აღზრდის ისეთი ფორმები, როგორიც არის გამოცდილი მუშების პირადი შეფობა ახალგაზრდობისადმი, საზეიმო ვითარებაში მუშად კურთხევა“, — გვყვება ლადო.

მუშად კურთხევა — ვიმეორებ ჩემთვის. ეს ხომ ძველი მუშების ტრადიციაა, ძველი თბილისის მუშებისა. რამდენი რამ წამიკითხავს ამაზე: ხელოსნები, დარგების მიხედვით, ამქრებად იყვნენ დაყოფილნი და ყოველ საამქროს თავისი დროშა ჰქონდა. ყოველ დროშაზე შესაფერისი ემბლემა იყო ამოქარგული ან დამაგრებული. ასე მაგალითად, ხუროების, ხარატების და დურგლების დროშაზე ვერცხლის პატარა მტრედი იყო ჩამოკიდებული.

ოსტატად დალოცვა ასე ხდებოდა: ჯერ შეგირდის ნამუშევარს შეამოწმებდნენ და თუ მოიწონებდნენ, მედროშე დროშას გამოიტანდა, ყველა ოსტატი წელზე აბრეშუმის სარტყელს შემოირტყამდა. რომლითაც თავისი სამუშაო ინსტრუმენტი ჰქონდა წელზე მიმაგრებული, მაგალითად, დურგალს — თარაზო, ხარაზს — მუშტა და ა. შ. შეგირდს ოსტატის წოდებას რომ მიანიჭებდნენ, იქვე ზნეობრივ დარიგებას აძლევდნენ. მერე გადაჰკოცნიდნენ და ბოლოს ლხინი იწყებოდა, რომლის დროსაც იგონებდნენ გარდაცვლილ ოსტატებს, ხოლო ახალგაზრდებს შრომაში წარმატებას უსურვებდნენ.

დალოცვის ტექსტი ასეთი იყო:

„თვით შიშველი მიწა შრომით შეიმოსა, გაშენდა და ნაყოფით აივსო.

ჩვენ ყველანი მოკვდავნი ვართ, ერთი მიდის, მეორე მოდის. რას დაემსგავსებოდა ეს წუთისოფელი, რომ ყველა კარგი ხელოსანი ისე წასულიყო ამ ქვეყნიდან, თავისი ცოდნაც თან წაეღო... ყოველი ჩვენგანი ვალდებულია სხვას გადასცეს ის, რაც თვითონ იცის.

და შენ, ნამუსიანო შეგირდო! დღეის შემდეგ ატარებ ხელოსნის სახელს და გეძლევა უფლება შენი ხელობით იამაყო. ადამიანმა მხოლოდ პატიოსანი შრომით უნდა იცხოვროს და შენც, შეგირდო ჩვენი ხელობისა, ახლა როცა ამხანაგად გაგვიხდი, არამც და არამც არ იარო მრუდე გზით, იყავ გულმართალი და პატიოსანი, ეცადე შენი შვილებიც ამ გზით წარმართო. პატიოსანი შრომა შეასწავლე შენს შეგირდებსაც და ისე მოექეცი, როგორც ჩვენ გექცეოდით“.

მუშად, ხელოსნად დალოცვა — ესაა უმშვენიერესი და უძველესი ტრადიცია, დაბადებული ხალხის წიაღში, შრომის ადამიანების წრეში. იგი კარგა ხანია აღსდგა მუშათა წრეში, აღსდგა ახალი სახით, ჩვენი დროის შესაბამისი ფორმით. დღეს ქარხნის სამახსოვრო ადრესი მუშას მოუწოდებს:

ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ბონდო აშორდია მუშის დიპლომს აძლევს ახალგაზრდას.



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

# ადამიანები, საქმეები, პერსპექტივები,

ახმეტის რაიონი, სოფელი მაღრაანი... როგორც მთელს ჩვენს სამშობლოში, ყოველ ქალაქსა და სოფელში, აქაც მთელ ხალხს, დიდსა და პატარასაც, მოხუცსაც და ახალგაზრდასაც ერთი დიდი საზრუნავი აქვს — დაძაბოს მთელი ძალღონე, გააკეთოს ყველაფერი, რათა ხორცი შეასხას მეცხრე ხუთწლიანი გეგმით დასახულ პერსპექტივებს, გააკეთოს ყველაფერი იმისათვის, რათა უფრო ძლიერი, უფრო მდიდარი გახდეს ჩვენი ქვეყანა, უფრო უხვი იყოს ჩვენი ყანა და ვენახი, უფრო ბარაქიანი იყოს ჩვენი რთველი, უფრო ხმამაღლა ისმოდეს ჩვენი სიმღერა — გამომხატველი იმ ბედნიერებისა, რომელიც თავისუფალ შემოქმედებით შრომას მოაქვს.

ამ შრომის მაჯლი იგრძნობა ყველგან, იგრძნობა აქაც, ამ სოფელში; კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვისერგი ნახუცრიშვილი დინჯად გვიპასუხებს ჩვენს შეკითხვებზე.

— დღეს ჩვენ გვინდა გესაუბროთ სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებულ დირექტივებზე, ახალ ხუთწლიან გეგმაზე. მოდი, ჩვენი საუბარი დავიწყოთ იმით, თუ აქ, თქვენს სოფელში როგორ მიმდინარეობდა ამ დირექტივების გაცნობა და შესწავლა?

— პირველ რიგში, ერთი რამ მინდა მოგახსენოთ — ყრილობის დღეებში ჩვენმა კოლმეურნეებმა, ვიდრე აგიტატორი მივიდოდა ფერმასა თუ ბრიგადაში, მანამდე იცოდნენ რა ხდებოდა ყრილობაზე მოსკოვში, ჩვენი სამშობლოს გულში. რადიო, ტელევიზია, პრესა ხომ უფრო ადრე იუწყებოდა ყველაფერს. ხალხმა კარგად იგრძნო მთელი სიკეთე, რასაც მეცხრე ხუთწლედი მოაქვს, იგრძნო იმიტომ, რომ ყრილობის მასალებში დაინახა იმის ნათელი გამოხატულება, რასაც თითონ მიესწრაფვის; აი ამიტომ შემიძლია ვთქვა, რომ მარტო ჩვენმა რჩეულებმა და დელეგატებად წარგზავნილებმა კი არა, ჩვენ ყველამ მივეცით ხმა და ყველამ ავუწიეთ ხელი პარტიის ბრძნულ გადაწყვეტილებებს; ის, რასაც ამ დადგენილებებში ვკითხულობთ, ჩვენი გულისნადებია, ჩვენი გონების ფიქრია. ამიტომაც პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებებმა ყოველი ჩვენგანის გული სიამაყის გრძნობით აავსო. ახლა ყრილობის მიზანდასახულებათა ცხოვრებაში გატარება საბჭოთა ადამიანების უპირველეს საბრძოლო ამოცანად გადაიქცა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ პარტიის ყრილობაზე მიღებული სახალხო მეურნეობის განვითარების მეცხრე ხუთწლედის გეგმის წარმატებით შესრულება ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იქნება კომუნიზმის მშენებლობის გზაზე.

— როგორი იყო თქვენი კოლმეურნეობისათვის წინა ხუთწლეული, რას აპირებთ ახალი ხუთწლედის მიჯნაზე?

— ჩვენ მთის ზონაში ვცხოვრობთ. თან ისიც მინდა გითხრათ, მაღრაანი მცირემიწიანი სოფელია. ჰავაც ჩვენთან, ცოტა არ იყოს, მკაცრია, ბუნება, მაინცა და მაინც, არც დიდად გვანებივრებს. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, თითქოს თავს ვიზლევდეთ და რაიმე შეღავათებს ვთხოულობდეთ, არა! ნახევარი საქართველო მთიანია, მაგრამ ბარს ტოლს არ უდებს. ჩვენ კი მაინც ბარის მიჯნაზე ვართ. წამოდით, ნახეთ ჩვენი ზვრები, კოლმეურნეობის ბაღები, ფერმები, გაეცანით მაღრაანელთა ცხოვრებას და თქვენ თვითონ დარწმუნდებით, რომ ცუდად არ გვიშრომია.

ჩვენი შემოსავლის ძირითადი წყარო — მევენახეობა, მემარცვლეობა და მეცხოველეობაა. მივდევთ მებოსტნეობასაც, მეხილეობასაც, აბრეშუმის ჭიაც გამოგვყავს, მაგრამ ამ დარგებს ჩვენს ეკონომიკაში შედარებით მაინც ნაკლები ხვედრითი წონა ენიჭებათ.

გასულ ხუთწლედში ჩვენმა კოლმეურნეებმა წარმატებით შეასრულეს ახალი ვენახების გაშენების გეგმები, ავამაღლეთ საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა, ასევე წარმატებით შევასრულეთ პირუტყვის სულადობისა და სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვის გეგმები.

ამჟამად კიდევ უფრო დიდი ამოცანები დგას ჩვენს წინაშე.

ჯერ ჩვენი ბარისას გეტყვით — ახალ ხუთწლედში გაცილებით მეტ ყურძენსა და ხილს მოვიყვანთ, გვინდა ყურძნის საჰექტარო მოსავლიანობა საშუალოდ 95 ცენტნერამდე ავიყვანოთ, ხორბლისა 25 ცენტნერამდე, ნაცვლად ოცისა. ახლა ჩვენს მთაზე გეტყვით — ვაწარმოებთ მეტ ხორცს, მეტ რძეს, გავაუმჯობესებთ პირუტყვის ჯიშს.

— ყრილობის დირექტივებში ყურადღება გამახვილებულია მიწის რესურსებზე, მისადმი მზრუნველობით დამოკიდებულებაზე. როგორ არის საქმე თქვენთან ამ მხრივ?

— ეს ძალზე მტკივნეული კითხვაა, და პარტიაც ამიტომ გვაფრთხილებს არ დავუშვათ ზედმეტობანი არასასოფლოსამეურნეო საჭიროებებისათვის მიწების გამოყოფისას. ერთ ადგილას ასეთი რამ ვნახე: სად იყო, ნუ მათქმევინებთ, ჯერ ერთი სტუმრად ვიყავი, და მეორეც — ვუთხარი არ ვარგა ასე-მეთქი და იმათაც დამიჯერეს. ამ კოლმეურნეობას, თავის მინდვრებს იქით ქვის სატეხი კარიერი მოეწყო. იმის ნაცვლად, რომ კოლმეურნეებს კარიერამდე გზა შემოევლოთ, გამოუყენებელ ფართობზე გაეყვანათ, ის დალოცვილები ამდგარიყვნენ და ეს გზა პირდაპირ ნახნავ მდელოზე გაეტარებინათ. მაგრამ პირდაპირი გზა ყოველთვის როდია სწორი! მერე, რაც ყველაზე მთავარია, შემოვლითი გზა სულ მცირე დამატებით ხარჯს მოითხოვდა, რასაც მოცდენილი სახნავი მინდორი ერთი-ათად და ერთი-ასად აანაზღაურებდა.

ახლა ჩვენს სოფელზე მოგახსენებთ. წეღანაც გითხარით, ჩვენი სოფელი მცირემიწიანია, ყოველი მტკაველი მიწისა, რომ იტყვიან, მილიონად გვიღირს. აგერ სოფლის განაპირას უქმად იყო მიტოვებული პატარა ნაკვეთი. ეს ტერიტორია ბუჩქნარით, ეკალბარდებითა და აშმორებული გუბეებით იყო დაფარული. როგორც გეპირდეს, ისე გილხინდეს. მივდექით, ბუჩქნარი და ეკალბარდები ამოვძირკვეთ, ექსკავატორით ტრანშეები გავავლეთ, ჭაობი დავაშრეთ, მიწა გადავხანით და ახლად შემომატებულ ფართობზე მარცვლეული დავთესეთ.

კვეხნაში ნუ ჩამომართმევთ, მიწის რესურსები ჩვენ მთლიანად გვაქვს გამოყენებული.

— რას იტყვით მოსავლიანობის ზრდაზე, რა ღონისძიებები გაქვთ დასახული ამ მხრივ?

— ჩვენი კოლმეურნეობისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ზრდის ძირითადი გზაა — საჰექტარო მოსავლიანობის გადიდება.

აქაც მაგალითებს მოვიშველიებ. საკოლმეურნეო ზვრებში რქაწითელის გარდა, გაშენებული გვაქვს ყურძნის იშვიათი ჯიში ქისი (სხვათა შორის, ქისი ადგილობრივი ჯიშია და მხოლოდ მაღრაანში გვხვდება). ქისი დაავადების გამძლე, ტენის მოყვარული ჯიშია და კარგად ეგუება ჩვენებურ ბუნებრივ პირობებს. მაგრამ ეს როდია მთავარი. მთავარი ის არის, რომ ქისი, რქაწითელთან შედარებით, ჩვენს პირობებში გაცილებით უფრო უხვ მოსავალს იძლევა. ღვინო როგორი დგება? აი, დავათვროთ ეს საუბარი და თქვენ თვითონ გასინჯეთ! — სიცილით თქვა თავმჯდომარემ.

საჰექტარო მოსავლიანობის გაზრდის მიზნით, — განაგრძო მან, — ახალ ხუთწლედში გათვალისწინებული გვაქვს, რქაწითელის შემცირების ხარჯზე, თანდათან გავზარდოთ ქისის ფართობები.

მარცვლეულის ნათესების შემცირების ხარჯზე მოხდება აგრეთვე ხეხილის ფართობების ზრდა. იმ დაფერდებულ ადგილებში, სადაც კოლმეურნეობა წლების მანძილზე მარცვლეულის დაბალ მოსავალს იღებს, გადაწყვეტილი გვაქვს, ხეხილის ბაღები გავაშენოთ.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ კოლმეურნეობაში მარცვლეულის მოსავალი შემცირდება? არა!

ჰექტარზე აქამდე ჩვენ საშუალოდ 20-21 ცენტნერ ხორბალს ვიღებდით, ხუთწლედის მანძილზე კი ხორბლის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობას 25 ცენტნერამდე ავიყვანთ, სიმინდის საჰექტარო მოსავლიანობა 40 ცენტნერიდან 45 ცენტნერამდე გაიზრდება, ქერისა 19-20 ცენტნერიდან 24 ცენტნერამდე; ეს მონაცემი ჩვენს პირობებში საუკეთესო მაჩვენებელი იქნება.

ყოველივე ამას ჩვენ მივაღწევთ შრომის ნაყოფიერების გაზრდით, მიწათმოქმედებაში მეცნიერების სიახლეთა დანერგვით, ნიადაგის სტრუქტურის გაუმჯობესებით, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების უფრო რაციონალურად და ეფექტურად გამოყენებით.

— რა კეთდება პირუტყვის ჯიშების გაუმჯობესებისათვის? რა ღონისძიებები გაქვთ დასახული პირუტყვის საკვები ბაზის განმტკიცებისათვის?

— ჩვენთან, უმთავრესად, ხევსურული ჯიშის ძროხაა გავრცელებული. როგორც ცნობილია, ხევსურულ ძროხას ერთგვარი უპირატესობა აქვს: შედარებით იოლი შესანახია და ადვილად ეგუება მთის პირობებს.

პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების მიზნით, ხელოვნური დათესვლის სადგურის დახმარებით, ხევსურულ ძროხას მაღალნაყოფიერ ჯიშზე შევაჯვარებთ. პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ასეთი შეჯვარების გზით მიღებული პირუტყვი საუკეთესოა: ხორცის გამოსავლიანობა მეტი აქვს, მეტს იწველის და მთლიანად ინარჩუნებს ხევსურული ძროხის საუკეთესო თვისებებს.

იმისათვის, რომ ახლო მომავალში მნიშვნელოვნად გავადიდოთ ხორცის წარმოება, ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ კამეჩების მომრავლებას. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს უაღრესად სასარგებლო და მომგებიანი პირუტყვი რატომღაც უგულებელყოფილია ჩვენს კოლმეურნეობებში.

კამეჩს მთელი რიგი საუკეთესო თვისებები ახასიათებს: იგი ძალიან იოლი შესანახი პირუტყვია, იმას, რასაც ძროხამ შეიძლება პირი არც კი დააკაროს, კამეჩი სიამოვნებით ჭამს, კამეჩს ხორცის მეტი გამოსავლიანობა აქვს, მისი რძეც მაღალცხიმიანია.

ახალ ხუთწლედში არა მარტო მნიშვნელოვნად გავზრდით ღორების სულადობას, არამედ მათი ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებაზეც ვიზრუნებთ. გადაწყვეტილი გვაქვს, ადგილობრივი ჯიშის ღორები ე. წ. მსხვილთეთრა ღორებზე შევაჯვაროთ. პრაქტიკამ აქაც დაგვანახა, ასეთი შეჯვარების გზით მიღებული ღორების უპირატესობა ჩვენს პირობებში.

მიღებული ჰიბრიდი საუკეთესოა; გაცილებით მეტ ხორცს გვაძლევს, დაგოჭიანებაც მაღალია. იგი თითქმის მთლიანად ინარჩუნებს ჩვენებური ღორის თვისებებს, რომლებიც საქვეყნოდ არის ცნობილი: სიცივისგამძლეა, ხორცი გემრიელი აქვს, ტყეში თვითონვე ეძებს საკვებს და შედარებით უფრო იოლი მოსავლელი და შესანახია.

— ოცდამეოთხე ყრილობის დირექტივებში მითითებულია, რომ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სოფლის მოსახლეობას უნდა გაუწიონ საჭირო დახმარება, რათა მათ საშუალება მიეცეთ აწარმოონ პირადი დამხმარე მეურნეობა — იყოლიონ მეტი პირუტყვი და ფრინველი. რა კეთდება თქვენთან ამ მხრივ?

— ეს საკითხი უშუალოდ დაკავშირებულია პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნასთან. თუ არ არის საჭირო რაოდენობის საკვები, იქ პირუტყვისა და ფრინველის მომრავლებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

აი როგორი მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ: კოლმეურნე, რომელიც უშუალოდ იღებს მონაწილეობას პირუტყვის საკვების დამზადებაში, კოლმეურნეობიდან უსასყიდლოდ იღებს მის მიერ დამზადებული საკვების 10 პროცენტს. იმ კოლმეურნეებს კი, რომლებიც სიმინდის ნაკვეთებში მუშაობენ, ასევე უსასყიდლოდ ეძლევათ მათ მიერ პირუტყვისათვის დამზადებული ჩალის 10 პროცენტი.

მივმართოთ მაგალითებს: კოლმეურნე კლავდია ბერიკაშვილმა გასულ წელს პრემიისა და ნატურის ანგარიშში, პირუტყვის უხეში საკვების გარდა, კოლმეურნეობიდან მარტო 12 ტონა სიმინდი წაიღო. პირუტყვის უხეში საკვები და 8 ტონა სიმინდი ერგო კოლმეურნეობიდან ალადა ხოკერაშვილს. მსგავსი მაგალითების მოყვანა ბევრი შეიძლება.

შეიძლება იკითხოთ, რა ქნან იმ კოლმეურნეებმა, რომლებიც უშუალოდ პირუტყვის საკვებთან და მარცვლეულის წარმოებასთან არ არიან დაკავშირებულნი?

არც ასეთი კოლმეურნეები გამოგვრჩენია მხედველობიდან. კოლმეურნეობის გამგეობა ასეთ გლეხებს შეღავათიან ფასებში უწერს მათთვის საჭირო პირუტყვისა და ფრინველის საკვებს.

სოფელში პირუტყვისა და ფრინველის მომრავლებისათვის ასეთ ღონისძიებასაც მივმართეთ: ავდექით და პენსიონერებს, მასწავლებლებს, მედიცინის მუშაკებს 200-200 კილოგრამი სიმინდის მარცვალი მივყიდეთ შეღავათიან ფასებში.

უახლოეს ხანში ამ მხრივ ჩვენ უფრო დიდ და ქმედით დახმარებას გავუწევთ კოლმეურნეებს. ცხადია, ასეთი ხელშეწყობა თავის ნაყოფს გამოიღებს. პარტიისა და მთავრობის დავალება პირნათლად იქნება შესრულებული. საზოგადოებრივი პირუტყვისა და ფრინველის გარდა, სოფელში კოლმეურნეთა პირადი საკუთრების პირუტყვიცა და ფრინველიც ბევრი გვეყოლება.

— რას გვეტყვით კოლმეურნეთა შრომით საქმიანობაზე, მათ მატერიალურ დაინტერესებაზე?

— შარშან გაზაფხულზე მაღრაანის კოლმეურნეობას ეწვია საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ პავლეს ძე მჟავანაძე. მან გულდასმით დაათვალიერა ჩვენი ზვრები, ხეხილის ბაღები, ფერმები, ხანგრძლივად ესაუბრა კოლმეურნეებს, და ძალიან კმაყოფილი დარჩა მაღრაანელთა შრომით, შეგვიქო მარჯვენა, ახალი წარმატებები გვისურვა.

ჩვენს კოლმეურნეებს მხოლოდ ერთი აზრი და მიზანი ამოძრავებთ: იშრომონ რაც შეიძლება უკეთ, მეტი დოვლათი და სიკეთე შემატონ ქვეყანას.

შრომა მათ კარგად უფასდებათ, ჩვენთან მაღრაანში, გასულ წელს თვითეულმა კოლმეურნემ საშუალოდ 941 მანეთი გამოიმუშავა ფულად. ეს საშუალოდ, თორემ ცოტა როდი არიან ისეთი კოლმეურნეები, რომლებმაც ფულად 2000 მანეთი და უფრო მეტი თანხა მიიღეს.

სოფლიდან ახალგაზრდობის დენადობის პრობლემა ჩვენთან, როგორც იტყვიან, მოხსნილია. გვქონდა რამდენიმე შემთხვევა: ბაქარ ჭრელაშვილმა და ანზორ თეიძემ რატომღაც გული აიყარეს კოლმეურნეობაზე. ქალაქში წავიდნენ. მიდგნენ-მოდგნენ, ხან რას მოკიდეს ხელი, ხან რას. გული მაინც ვერაფერს დაუდეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ სოფელში დაბრუნდნენ, საერთო შრომის ფერხულში ჩაებნენ და ახლა საუკეთესო კოლმეურნეებად ითვლებიან.

ასეა, მიწას თავისი უხილავი ძალა და ანდამატი აქვს. თუ ადამიანი მატერიალურად უზრუნველყოფილია და სულიერად კმაყოფილია, მას ვერავითარი ძალა ვერ მოგლეჯს მიწიდან.

— ხეხილის ბაღები გაქვთ, ეს ტყეები აგერ არის, ირგვლივ აყვავებული მდელოებია. რატომ არ მისდევთ მეფუტკრეობას?

— სიმართლე გითხრათ, ასეთ რამეზე, რატომღაც, არასოდეს გვიფიქრია. კარგი აზრია. ქართული ფუტკარი მთელს მსოფლიოშია განთქმული. მას არც დიდი მოვლა სჭირდება, მარტო უპატრონე, და მერე თვითონ იცის — ბუნებრივი პირობებიც ხელს გვიწყობს. ისღა დაგვრჩენია, რომ მივიღოთ თქვენი წინადადება და წელს, ცდის სახით, ათი ოჯახი სკა შევიძინოთ კოლმეურნეობაში.

ჩვენ, მაღრაანელები ყველა რეზერვს ავამოქმედებთ, ძალასა და ენერგიას არ დავზოგავთ, რომ ღირსეულად მოვიხადოთ ვალი და ახალი შრომითი მიღწევებით დავამთავროთ მეცხრე ხუთწლედი.

სოფელ მაღრაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ესაუბრებოდნენ „დროშის" კორესპონდენტები — **ზაალ ბახუტაშვილი** და **ოთარ დემეტრაშვილი**.

— ძვირფასო მეგობარო, შენ ფეხი შედგი დიადი მუშათა კლასის რიგებში, შენს წინ ახალი სამყარო გადაიშალა. ახალი ცხოვრება დაიწყო. შენა ხარ მუშათა კლასის იმედი და სიამაყე. შენ კომუნიზმის დიად მშენებელს, მუშის დიდი პასუხისმგებლობა გაკისრია. იყავი შენი საქმისა და მუშური სინდისის ერთგული, თავი გამოიჩინე შრომაში, იყავი შენი კოლექტივის ერთგული მეგობარი.

ქარხანაში ახალგაზრდა მუშების დასტატებისათვის სპეციალური სახელოსნოა, სადაც სამი თვის განმავლობაში სწავლობენ მუშები. გაივლის სამი თვე და იწყება მათი მუშად დალოცვა. ისინი გამოცდას აბარებენ გამოცდილ ოსტატებს. მასწავლებლები შეგირდებს თანრიგს აძლევენ. თვე არ გავა, რომ საამქროებში შრომითი დიდების სალამოებზე, დროშების ქვეშ, საზეიმო ვითარებაში ახალგაზრდა კაცი თუ ქალი მუშად არ დალოცონ.

ეს ფრიად საგულისხმოა, დაუვიწყარია მუშისათვის ის დღე, როცა მას ზეიმით აღუნიშნავ ოსტატის, მუშის დიდ გზაზე გამოსვლას. ამით ხელს უწვდი, მაშინ ის გრძნობს, თუ რა დიდ, საპატიო და საპასუხისმგებლო საქმეს მოსჭიდებია. ის გრძნობს, რაოდენ დიდი და საზეიმო წუთებია მის ცხოვრებაში, ეს მის მუშურ სიამაყეს განამტკიცებს, იმის შეგნებას, რომ მან დღეს ამოარჩია სწორი, ნათელი გზა. არა არის რა იმაზე დიადი, ვიდრე შრომა კაცობრიობის ნათელი მომავლის განსახორციელებლად.

...ტრიბუნაზეა ამწყობი ზეინკალი, ის საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის მთავრობას თავისი კოლექტივის სახელით სიტყვას აძლევს, რომ წარმატებით შეასრულებენ ახალი ხუთწლედის გეგმას.

ქარხანაში შრომითი ვახტი გრძელდება.

ისინი მალე ოსტატები იქნებიან.





# ლესია უკრაინკა და საქართველო

სულ ახლახან ჩვენმა ხალხმა უდიდესი სიყვარულით და პატივისცემით აღნიშნა უკვდავი ლესია უკრაინკას დაბადების 100 წლისთავი. ეს ბრწყინვალე შემოქმედი სამწერლო ასპარეზზე თავიდანვე გამოჩნდა, როგორც ტარას შევჩენკოს სამწერლო ტრადიციების გამგრძელებელი, მისი პატრიოტული და დემოკრატიული იდეების დაუღალავი პროპაგანდისტი.

მწერალი ქალი პირველად 1903 წელს ესტუმრა საქართველოს, პირველი რევოლუციის წლებში იგი ჩვენი ქვეყნის მუშათა მოძრაობის მოწმე და მონაწილე გახდა.

ლესია უკრაინკა 1908 წელს მეორედ ჩამოვიდა ჩვენს სამშობლოში და 1913 წლამდე დარჩა. მან, ჭლექით დაუძლურებულმა განსაკურნებლად მიაშურა სურამს, მაგრამ ამაოდ. იგი აქ, სურამში გარდაიცვალა, ხოლო მისი ნეშტი აქედან წაასვენეს და მშობლიურ უკრაინის მიწას მიაბარეს.

საქართველოში ყოფნის წლები დიდი შემოქმედებითი აღმავლობის ხანა იყო პოეტი ქალის ცხოვრებაში. აქ შექმნა მან მომხიბვლელი დრამატული პოემა „ტყის სიმღერა", განუმეორებელი „ქვის ბატონი" და სხვა მრავალი მხატვრულად ძლიერი ნაწარმოები.

ლესია თავიდანვე ღრმა ინტერესს იჩენდა ჩვენი ქვეყნისადმი. ამ ინტერესს, სხვათა შორის ის მეგობრობაც იწვევდა, რომელიც მას კიევში ჩასულ ქართველ სტუდენტებთან — შიო ჩიტაძესთან, ნესტორ ღამბარაშვილთან და სხვებთან ჰქონდა თავიდანვე; ამ ახალგაზრდა ქართველებმა გააცნეს მწერალ ქალს „ვეფხისტყაოსანი", საქართველოს წარსული, მისი ლამაზი ბუნება, ქართველთა ზნე-ჩვეულებანი და თავისუფლებისმოყვარეობა; ამ საუბრებს ისე გაუტაცნია პოეტი ქალი, რომ ერთხელ მას კიდევაც წამოუძახნია: „რა საინტერესო, რა საუცხოო მხარე ყოფილა საქართველო! რა სიმამაცე და გმირობა უნდა ჰქონოდა ამ ერთ მუჭა ხალხს, რომ გადარჩენოდა ამდენ საშინელ ქარტეხილებს და უბედურებას! მე რომ უკრაინელი არ ვიყო, უეჭველად ქართველობას ვისურვებდიო".

ცნობილია, რომ ლესიას დედა მწერალი იყო, რომელიც ოლენა პჩილკას ფსევდონიმით წერდა. პჩილკას ძმა (ლესიას ბიძა), მ. პ. დრაგომანოვი, ცნობილი ისტორიკოსი და პუბლიცისტი იყო, რომლის გავლენას ერთ ხანს განიცდიდა ახალგაზრდა მწერალი ქალი.

გასული საუკუნის 70-იან წლებში მ. პ. დრაგომანოვთან ახლო ნაცნობობა და მეგობრობა ჰქონდა ჩვენს დიდ საზოგადო მოღვაწეს და მწერალს ნიკო ნიკოლაძეს. ეს ჩანს იქიდან, რომ ვენაში მყოფ დრაგომანოვს ავსტრიის საზღვარზე დიდი დახმარება გაუწევია ნ. ნიკოლაძისათვის იმ ჰექტოგრაფისა და „2 ფუთი აკრძალული წიგნების" გადმოტანისას, რომელიც 1878 წელს ჩვენს პუბლიცისტს საზღვარგარეთიდან საქართველოში არალეგალურად მოჰქონდა.

1876 წლიდან მ. პ. დრაგომანოვი და მისი მეუღლე ლიუდმილა ჟენეველი ემიგრანტები გახდნენ. აქ. მ. პ. დრაგომანოვი სცემდა უკრაინულ კრებულს „გრამოტას" (1878-1888 წწ.).

ლიუდმილა დრაგომანოვაც მწერალი ქალი იყო და უმთავრესად პედაგოგიურ საკითხებზე წერდა. თავის პუბლიცისტურ და პედაგოგიურ წერილებში იგი დიდი ცოდნითა და პრინციპულობით იცავდა უკრაინის სკოლებში მშობლიურ, უკრაინულ ენაზე სწავლების აუცილებლობას, გაბედულად ამხილებდა და ამათრახებდა მეფის მთავრობას უკრაინული ენისა და საერთოდ უკრაინული კულტურისადმი იმ მტრული დამოკიდებულებისათვის, რომელიც ჯერ კიდევ 1863 წელს იმდროინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ვალუევმა შემდეგი სიტყვებით გამოხატა: „არავითარი განსაკუთრებული უკრაინული ენა არ არსებულა, არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდესო".

უკრაინაში უკრაინულ ენაზე სწავლების საკითხს ლიუდმილა დრაგომანოვამ მიუძღვნა 1874 წელს ჟურნალ „ვესტნიკ ევროპის" ფურცლებზე დაბეჭდილი თავისი წერილი „ხალხური კილოკავები და ადგილობრივი ელემენტი სწავლებაში", რომელიც ავტორის თხოვნით, ცალკე ბროშურის სახით, ნ. ნიკოლაძის თაოსნობით 1880 წელს გაზეთმა „ობზორმა" გამოსცა თბილისში. მ. დრაგომანოვის ოჯახთან 1876 წლიდან ახლო მეგობრობა ჰქონდა ოლღა გურამიშვილს, რომელიც შემდეგ ნ. ნიკოლაძის მეუღლე გახდა.

1878 წელს უმაღლესი განათლების მისაღებად საქართველოდან ჟენევაში ჩავიდნენ ქართველი ქალები: ოლღა გურამიშვილი და ნიკო ნიკოლაძის დები — ოლიმპიადა და ეკატერინე ნიკოლაძეები, რომლებიც მალე იქ ქართველი ემიგრანტების მიერ შექმნილი საზოგადოება „უღლის" წევრები გახდნენ.

1876 წლის ზაფხულში ოლღა გურამიშვილი ჟენევიდან თბილისისაკენ გამოემგზავრა. მას ჩემოდნით მოჰქონდა არალეგალური წიგნები, კომუნართა პორტრეტები და სხვა ამგვარი „ფეთქებადი ნივთიერებანი". გზად ოლღა გურამიშვილი ქ. ვენაში შეჩერებულა და ნ. ნიკოლაძის სარეკომენდაციო ბარათით იმ დროს იქ მყოფ ლიუდმილა დრაგომანოვასთან მისულა.

როგორც პროფ. რუსუდან ნიკოლაძე გადმოგვცემს თავისი დედის, ოლღა გურამიშვილის ნაამბობს, დრაგომანოვებს დიდი დახმარება გაუწევიათ ოლღასათვის არალეგალური ლიტერატურით სავსე ჩემოდნის საზღვარზე გადმოტანის დროს.

ვენიდან გამგზავრების დღეს ლიუდმილა დრაგომანოვას და ოლღა გურამიშვილს ერთად გადაუღიათ ის ფოტოსურათი, რომელიც ამჟამად ნ. ნიკოლაძის პირად არქივშია დაცული.

დრაგომანოვები მხურვალედ თანაუგრძნობდნენ ქართველი ხალხის ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ და ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც მათ აკავშირებდა საქართველოსთან.

ცნობილია, თუ რა მჭიდროდ იყო თავიდანვე დაკავშირებული ლესია უკრაინკა თავისი ბიძის მ. პ. დრაგომანოვის ოჯახთან, სადაც ასეთი თბილი გრძნობით იხსენიებდნენ საქართველოსა და ქართველ ხალხს.

ამიტომ ვფიქრობთ, რომ საქართველოსადმი ინტერესისა და სიყვარულის პირველი გრძნობა აქ, ამ ოჯახში უნდა აღძროდა შემოქმედებითად და ინტელექტუალურად ადრე მომწიფებულ მწერალ ქალს.

ვლადიმერ ზამბახიძე

## იანკა კუპალა
ბელორუსიის სახალხო პოეტი

### გენაცვალე

მწვერვალებზე თოვლი ელავს,
ბფიქრობ, აქაც მოთოვს მალე,
მაგრამ ველად ათასფერად
ჰყვავის მიწა, გენაცვალე!

წყალტუბო და თბილი წყლები
დილის ფრთაზე ოქროს ცვარი,
წუთითაც ვერ გივიწყებდი,
შენ გიმღერდი, გენაცვალე!

დამნათოდა, მანათებდა
შენი თვალი — სავსე მთვარე,
ჭაბუკურად ამანთებდა
ეგ ღიმილი, გენაცვალე!

წავალ მალე მე შორ მხარეს,
დროო, ცოტაც დამაცალე,
მარტოობის დარდი მწარე
გამაწამებს, გენაცვალე!

სიზმრად ვნახავ საქართველოს
გასაოცარ მთებს და ჭალებს,
როგორც ვარსკვლავს შუქთამფენელს
სიზმრად გნახავ, გენაცვალე!

ო, ელიკო, სასოებით
კვლავ ჩავხედავ შენს ღრმა თვალებს,
გთხოვ, მიმღერო განშორების
ჟამს „სულიკო", გენაცვალე!

## გიორგი კაიტუკოვი
ჩრდილო ოსეთის ასსრ.

### არაგვს

მთათა და ტყეთა ტალანში მორბის,
ჩქარობს — მზეს შეხვდეს, გავიდეს ბარში,
ნახოს ღიმილი ხილის და ხორბლის,
ზვრებს შეუყივლოს ზღვასავით გაშლილს.

მწვერვალებიდან მოფრენს თუ მოდის,
ევიწროება ქვის კალაპოტი,
და მღვრიე ტალღით ვეება ლოდებს
მოათამაშებს როგორც ნაფოტებს.

მახსოვს, არაგვთან მოხუცი მამა
ცისკარს ხვდებოდა პირღიმიანი,
დღეს მეც ვეწვიე ამ ჭალებს ლამაზს,
შევბედე არაგვს ლექსი გვიანი.

— უცხო სიმღერის ხმად დარხეული
კლდეებს შეხლილი ეგ მღვრიე ჩქერი,
წადი, იჩქარე, მტკვარს ჩახვეულმა
თბილისს გადაეც სალამი ჩემი.

კავკასიონის მშფოთვარე სუნთქვაც,
ქართული მიწის მთრთოლვარე სიმო,
ჩემი გულწრფელი მოკითხვა უთხარ
მეგობრებს — გრიგოლს, ირაკლის, სიმონს.

ჩვენი ლექსებით, ჩვენი ფიქრებით
ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობთ, ერთ გზას მივყვებით,
ერთად ვიყავით, ერთად ვიქნებით
როგორც მტკვრისა და შენი ზვირთები.

მიხვალ იჩქარი, არა გვიანობ,
მიხვალ და მღერის ეგ შენი ჩქერი,
ჰოი, არაგვო, არაგვიანო,
მტკვარს ჩაუტანე სიმღერა ჩემი.

თარგმნა თ. ჯანგულაშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ასი წლის წინათ

ასი წლის წინათ, 1871 წლის 18 მარტს პარიზში, მშრომელთა აჯანყების შედეგად, დამხობილი იქნა ბურჟუაზიის ბატონობა და, კომუნის სახით, მსოფლიოში პირველად პროლეტარიატის დიქტატურა გამოცხადდა. ამ ამბავმა შეძრა მთელი მსოფლიო.

„ძველი ქვეყანა, — წერდა კარლ მარქსი, — გაავთრებით ცახცახებდა იმ წითელი დროშის დანახვაზე, რომელიც თვითმმართველობის შენობაზე ფრიალებდა, როგორც შრომის რესპუბლიკის სიმბოლო“.

პარიზის კომუნამ სამოცდათორმეტ დღეს იარსება. ის სისხლში ჩაახშო საფრანგეთის რეაქციულმა ბურჟუაზიამ. მიუხედავად ხანმოკლე არსებობისა, პარიზის კომუნამ უბრწყინვალესი მაგალითი მისცა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ქვეშ მყოფ მშრომელ კაცობრიობას.

„იმ დროს, — წერდა თავის მოგონებაში ლუიზა მიშელი, — ცხოვრება დუღდა, ადამიანებს ერთბაშად უნდოდათ დაუფლებოდნენ ხელოვნების, მეცნიერებისა და ლიტერატურის საგანძურს. ყველა იჩქაროდა ძველი სამყაროდა ახალ სამყაროში გაქცეულიყო“.

პარიზის კომუნამ კაცობრიობას ამცნო, რომ მან ბოლო მოუღო სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრას. ამ უჩვეულო ფაქტმა დიდი სიხარული და თანაგრძნობითი გამოხმაურება გამოიწვია ყველა ქვეყნის მოწინავე ადამიანთა შორის.

კომუნის ამბების გამოძახილმა ჩქარა მოაღწია საქართველომდე. მას, როგორც დიდი ხნის ნანატრი ოცნების ხორცშესხმას, მიესალმნენ ყველაზე მოწინავე ქართველი მწერლები და პუბლიცისტები — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, ანტონ ფურცელაძე, ნიკო ლომოური, დავით ერისთავი და მრავალი სხვები. იხსენიებდა რა ილია ჭავჭავაძის ლექსს „1871 წელი, 28 მაისი“, ცნობილი მკვლევარი და ჩვენი ახლო მეგობარი ვიქტორ გოლცევი თავის წიგნში „ქართველი მწერლები“ აღნიშნავდა, „რომ არა მარტო ქართულ, არამედ იმდროინდელ რუსულ პოეზიაშიც არ მოიძებნება მეორე ლექსი, რომელიც ესოდენ ძლიერად ადიდებდეს 1871 წლის პარიზის კომუნისათვის მებრძოლებს“. ილია მტკიცედ და გადაჭრით გამოესარჩლა ადამიანის განთავისუფლებისათვის მებრძოლ პარიზელ პროლეტარებს. „აჩრდილის“ ავტორი სხვანაირად ვერც მოიქცეოდა. ჩაგრულთა განთავისუფლება — ეს იყო მისი ყველაზე უწმინდესი ოცნება.

ნ. ნიკოლაძე და ს. მესხი არ შეუშინდნენ მეფის მკაცრ ცენზურას და 1871 წლის 6 აპრილს გამოსცეს გაზეთ „დროების“ სპეციალური ნომერი, მიძღვნილი პარიზის კომუნის გამარჯვებისადმი.

გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტი, ნ. ჩერნიშევსკის იდეური თანამებრძოლი და ახლო მეგობარი ნ. ნიკოლაძე გაზეთის ამ ნომერში წერდა:

„გაზაფხულიც ასეთი უნდა. რა გაცხოველებული სითბო უჯდება კაცს ტანში... რა გახარებია ამ მზეს ასე კასკასით რომ გამობრძანებულა ცაზე, რა ახალი, სასიამოვნო და უცნობი სანახავი მოჩვენებია იმას, ასე უდარდელად რომ იწვევს კაცს გულის გასამხიარულებლად, რა მოხდა ამ ბებერ დედამიწაზე ისეთი, რომ ღირდეს ტაშის კვრად და ხტომა-ცეკვით დატკბობად“.

აქედან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ დიდი აღტაცება გამოუწვევია პარიზის კომუნის გამარჯვებას.

„დროება“ აქვეყნებდა კომუნის მებრძოლ ხელმძღვანელთა, იმ ადამიანთა გვარებს, რომლებიც ხალხის მიერ იყვნენ არჩეულნი, აცნობდა მკითხველს მათ მუშაობას სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მოსპობისათვის.

პარიზის კომუნის ამბებთან დაკავშირებით ქართველი მკითხველი ფართოდ ეცნობა კარლ მარქსს, როგორც პირველი ინტერნაციონალის დამაარსებელსა და მსოფლიო მუშათა კლასის ბელადს. „დროება“ დაწვრილებით მოუთხრობდა მკითხველებს ყველა იმ სოციალურ ღონისძიებებზე, რასაც კომუნა ანხორციელებდა მშრომელთა საკეთილდღეოდ.

„პარიზიდან ერთ ძლიერ შესანიშნავ ამბავს იწერებიან, — აღნიშნავდა „დროება“ — კომუნა აპირებს თურმე განაახლოს მუშაობა იმ ფაბრიკებში და ქარხნებში, რომელნიც შეჩერებულნი არიან, რადგან იმათი პატრონები არეულობას გაქცევიან პარიზიდან. შესანიშნავი ამ საქმეში ის არის, რომ კომუნის განკარგულებით ეს ფაბრიკები და ქარხნები ცალკე პირებს კი არა, მუშების ასოციაციებს (საზოგადოებას) მიეცა, მათ, რომელთაც უნდა მოიყვანონ ისინი მოქმედებაში („დროება“, № 16, 24 აპრილი, 1871 წ.).

„დროებამ“ გამოაქვეყნა პარიზელი კომუნარი ქალების მოწოდება, რომელშიც აღნიშნული იყო:

„პარიზის ქალები, რომელთაც გამოცდილებით იციან, რომ საზოგადოებაში რევოლუცია უმსხვერპლოთ არ მოხერხდება და რომელნიც დარწმუნებული არიან, რომ პარიზის კომუნა მუშათა ხალხის სარგებლობისათვის იბრძვის, ეს პარიზის ქალები საფრანგეთსა და ქვეყანას დაუმტკიცებენ, რომ იმათ თავიანთ ძმებივითა და ქმრებსავით ბრძოლა შეუძლიათ... მუშა ქალს და მუშა კაცს ერთი და იგივე მტერი ჰყავს — კაპიტალი, ამიტომ ორივენი შეერთდნენ ამ მტრის დასამხობად. გაუმარჯოს სოციალურ რესპუბლიკას, კომუნას და შრომას!“. („დროება“, № 23, 1871 წ.).

იმდროინდელი ვითარების დასახასიათებლად მეტად საინტერესოა ზაქარია ჭიჭინაძის ცნობა: „ყველა შეგნებული ქართველი, ვინც კი ევროპის ამბებს თვალყურს ადევნებდა, კომუნის მომხრე და თაყვანისმცემელი იყო — ყველა წრე და ჯგუფი გატაცებული იყო მისი იდეებით და აზრებით. თბილისში არსებობდა ახალგაზრდობის საიდუმლო წრე, რომელიც იმ ზომამდე გაიტაცა პარიზის კომუნის ამბებმა, რომ წრის წევრებმა გადაწყვიტეს პარიზში წასვლა და იქ კომუნარების დახმარება. ამ წრის მონაწილენი იყვნენ მიშო ყიფიანი, ვასო დეკანოზიშვილი, სოსიკო მაყაშვილი და სხვანი“ (იხ. ჟურნალი „დროშა“, 1924 წ. № 10).

ქართველმა ხალხმა დიდი გულისტკივილით განიცადა პარიზის კომუნის დამარცხება. აი რას წერდა ცნობილი ქართველი ხალხოსანი ივანე ჯაბადარი პარიზის კომუნის დამარცხების გამო:

„ჩვენ უცრემლოდ არ შეგვეძლო ლაპარაკი პარიზის დრამაზე, მტრების მიერ დაფლეთილ და დამცირებულ საფრანგეთზე“.

საგულისხმოა ის, რომ გაზეთ „დროებას“ და ჟურნალ „კრებულს“ თავიანთი არსებობის ათეული წლების მანძილზე პარიზის კომუნის შესახებ წერა არ შეუწყვეტიათ.

ნ. ნიკოლაძემ კომუნის დამარცხების მეორე წელს პარიზში ყოფნის დროს აწერა საბარიკადო ბრძოლის ის ადგილები, სადაც გმირულად დაიღუპენ პარიზის კომუნარები. მეტად საყურადღებოა, რომ პარიზის კომუნის ბარიკადებზე გააფთრებულ ბრძოლებში თურმე ქართველებსაც მიუღიათ მონაწილეობა, როგორც ცნობილია, ესენი იყვნენ ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონი და ფავლენიშვილი.

კომუნის დაცემის მეორე წელს მოწინავე ქართველმა მწერალმა ქალებმა — ეკ. გაბაშვილმა, ეკ. მელიქიშვილმა და ელ. ყიფიანმა გამოსცეს „თარგმანი საამო საკითხავთა თხზულებათა“, ამ კრებულში მოთავსებული იყო წერილები პარიზის კომუნის საგმირო საქმეებზე.

როგორც ცნობილია, 1874-1875 წლებში ჟენევა რევოლუციურ ემიგრანტთა ცენტრი იყო. ემიგრანტთა შორის ბევრნი იყვნენ პარიზის კომუნარები, რომლებთანაც ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობას. აი რას მოგვითხრობს ცნობილი ქართველი მოღვაწე ქალი ოლღა გურამიშვილი:

„ჩვენ ხშირად დავდიოდით კომუნარებთან. ისინი გვიწვევდნენ თავიანთ კრებებზე: კარგად მაგონდება კომუნარებიდან ლეფრანსე, მონტელერი, შალენი და მოხუცი გალიარი. ყველაზე დიდ გავლენას ახდენდა ჩვენზე ინტერნაციონალის კომუნისტური სექცია. მათს აღმაფრთოვანებელ გამოსვლებს არსებული წესწყობილების წინააღმდეგ ჩვენ გადავყავდით პარიზის კომუნის ბარიკადებზე და ჩვენში მეტ სიმპათიას ბადებდა მათ მიმართ“.

1874 წელს, გ. წერეთლის თაოსნობით ჟენევაში მოწვეული იქნა უცხოეთში მყოფი კავკასიელი ახალგაზრდობის კონგრესი, რომლის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. კონგრესზე, სხვებთან ერთად, სტუმრად მოწვეული იყვნენ ფრანგი კომუნარი ემიგრანტები. კონგრესის დაწყების წინ დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი უციათ პარიზის ბარიკადებზე დაღუპული კომუნარებისათვის.

პარიზის კომუნის გმირულმა ბრძოლამ უდიდესი გავლენა მოახდინა მთელი რუსეთისა და საქართველოს მოწინავე ახალგაზრდობის მსოფლმხედველობაზე, განუმტკიცა მას სიყვარული თავისუფლებისადმი.

ვ. ი. ლენინმა განსაზღვრა პარიზის კომუნის ისტორიული როლი და მნიშვნელობა; რაზმავდა რა მუშათა კლასს ძველი სამყაროს წინააღმდეგ საიერიშოდ, დიდმა ბელადმა გაითვალისწინა წინა თაობათა სახელოვანი ტრადიციები და დასახა გზა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დასამკვიდრებლად.

ნიკოლოზ ნიკოლაიშვილი,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

# უდაბნოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგო კლდიაშვილი

ნაწყვეტი მოთხრობიდან

აფრიკის ბუნების თავისებურება მრავალ მოგზაურსა და მეცნიერს აქვს აღწერილი. ამას წინათ ერთი მათგანის წიგნი რომ გადავფურცლე, ჩემი ყურადღება იმ სტრიქონებმა მიიპყრო, სადაც უდაბნოს უცნაურობანია ნაამბობი:

„...როცა გატანჯულ ადამიანთა წინაშე უეცრად გამოჩნდება ოაზისის გამოსახულება, მეგზური თავს აქნევს: არ დაუჯეროთო. მან იცის, რომ ოაზისამდე კიდევ რამდენიმე ათეული კილომეტრის გზა დარჩა გავარვარებულ მზის ქვეშ გასავლელი, ხოლო რასაც „საკუთარი თვალით“ ხედავ, მირაჟია და სხვა არაფერი... და მაინც, გამოცდილი გამყოლიც ზოგჯერ ცდება ხოლმე. უდაბნოში მიმავალნი რომ საფრთხეს ააშორონ, სწავლულებმა შეაგროვეს ცნობა იმ ადგილების შესახებ, სადაც უფრო ხშირად წარმოისახებიან მირაჟები. გაირკვა, რომ საჰარაში ყოველწლიურად ას სამოცი ათასი მირაჟი მოჩანს. ტიმბუქტუში და გარდაში იშველიებენ საქარავნო რუკებს, რომელზედაც აღნიშნულია, თუ სახელდობრ სად „ჩანან“ ოაზისები, ჭები, პალმის ხის წარაფები, მთების გრეხილი... მირაჟები სხვადასხვაგვარია: ვერტიკალური და ჰორიზონტალური, მოხეტიალე და სტაბილური. საჰელისა და ელჯუფის ოლქებში მატყუარა მირაჟის გამოცნობა შედარებით ადვილია, — აქ ის ირთის, ფერს იცვლის და მალე ქრება. ერგ-ერ-რაკის უდაბნოში კი მირაჟი მაცდუნებელი და საშიშია. ადამიანის თვალწინ აქ ისე გამოჩნდება ოაზისი, თითქოს იმ ადგილამდე რაღაც ორი ან სამი კილომეტრი დარჩაო. სინამდვილეში კი იქამდე შვიდასზე მეტია. 1904 წელს ბორ-ულადან ოთხასი კილომეტრის დაშორებით მირაჟმა შეიწირა ქარავანი, რომელსაც მიუძღოდა გამოცდილი მეგზური ტუარეგი იუზუფი. სამოცი კაცი და ოთხმოცდაათი აქლემი სხვა მიმართულებით გაიტყუა და ყველა დაიღუპა“...

ეს რომ წავიკითხე, აფრიკაში უკვალოდ დაკარგული ანდრო არდიშვილი მომაგონდა.

უნებურად გავიფიქრებ ხოლმე: მოდი და ნუ დაიჯერებ, რომ ადამიანი თავიდანვე იმზადებს საკუთარ ბედს. ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში წაკითხული მოთხრობების ზეგავლენით, ანდრო არდიშვილს რომანტიკული წარმოდგენა შეექმნა აფრიკაზე. ეგზოტიკით გატაცებული, ხარბად ეწაფებოდა წიგნებს, სადაც ნაამბობი იყო შავკანიანთა და მომთაბარე არაბების ყოფა-ცხოვრება, თვალუწვდენ სავანეებში ათასგვარ ნადირის ნავარდი და, ამ ამბებით მოჯადოებულს, ბევრჯერ ურცნებია საკუთარი თვალით ენახა ის ზღაპრული ქვეყანა.

დრო გავიდა, დაუცხრა ყმაწვილობის გატაცება, ბოლოს კიდევაც მიივიწყა, მაგრამ როცა ინსტიტუტი დაამთავრა და სამხრეთ ალჟირში გეოლოგიური გამოკვლევების ჩასატარებლად წასვლა შესთავაზეს, ძველმა ჟინმა ისევ იჩინა თავი და უყოყმანოდ დათანხმდა.

პირველი წერილით არდიშვილი მატყობინებდა, რომ კმაყოფილი იყო ალჟირში ყოფნით: იქ დახვდა თანამემამულეთა რამდენიმე ოჯახი, ისინი გულთბილად შეეგებნენ და ყველა პირობა შეუქმნეს, რომ სამშობლოს სიშორე და მარტოობა არ ეგრძნო.

ის ამბავი, რომ მალე დაუახლოვდა მანამდე უცნობ ადამიანებს, სულაც არ გამკვირვებია. ხალისიანი და გულღია, ის, ხომ, უცბადვე იზიდავდა ყველას. მაგრამ სტრიქონებში შიგადაშიგ თავს იჩენდა ხოლმე ისეთი კილო, რაც მანიშნებდა, რომ ზომიერებას კარგავდა და ზედმეტად მოხიბლულიც იყო იმ ქვეყნით.

„...— გამოგიტყდები, — მწერდა ის, — განსაკუთრებით მოინადირეს ჩემი გული იმ აბორიგენებმა, რომლებიც, ჩვენი წარმოდგენით, ველურებია. აქ თითქმის პირველყოფილებაა. მათ ჯერ არ შეხებია ევროპული ცივილიზაცია, მოკლებული არიან მრავალ იმ კომფორტს, რაც აუცილებელი გახდა ჩვენთვის, მაგრამ სამაგიეროდ ისინი დაძმობილებული არიან ბუნებასთან, შენარჩუნებული აქვთ საოცარი თვისებები, რომლებიც ჩვენ დიდი ხანია დავკარგეთ და რაც ახლა დაუჯერებელ სასწაულად მიგვაჩნია. მე ჯერ კიდევ შორეული წარმოდგენა მაქვს აქაურ ბუნებაზე, ის, მგონი, მკვეთრად განსხვავდება ჩვენი ბუნებისაგან, მაგრამ, ვფიქრობ, თუ უფრო წარმტაცი და დიადი არა, შეუძლებელია მასზე ნაკლები იყოს. ამას მაფიქრებინებს აქაურთა ხასიათი და სიბრძნე. ბუნება ხომ სწორედ ის გარემოა, რომელშიაც იბადება და იზრდება ადამიანი. ბუნება ხომ თავის დაღს ასვამს და აყალიბებს მის ხასიათსა და გარეგნობასაც. მე ვიცი მთავარი რამ — ისინი სულით სუფთა, წმინდა არიან. ეს კი ყველაფრის მთქმელია, ყველაფრის მაჩვენებელია. ვერ გეტყვი, ბედნიერი არიან თუ არა, მაგრამ იმას კი ვგრძნობ, რომ მრავალ ჩვენთაგანზე უკეთესები არიან...“

აქ გამოვტოვებ ჩვენთვის საჩოთირო რამდენიმე სტრიქონს და მხოლოდ ერთი აბზაცით დავამთავრებ:

„...ხვალ პირველად წავალ იმ გზით, რომელიც უდაბნოზე გადის. წარმოიდგინე, რომ მაცვია გრძელი თეთრი ბურნუსი, თავი წაკრული მაქვს ჩალმით და, არ შეგეხარბოს, ორკუზიან აქლემზე ვზივარ ყეენივით. ისეთი განცდა მაქვს, უძველესი, ხოლო ჩემთვის უცნობი და ახალი საიდუმლო გადაიშლება ჩემს წინაშე. ადვილად მიხვდები, ცოტა არ იყოს, აფორიაქებული ვარ ამის მოლოდინში. მაგრამ მაინც სიტკბოს ვგრძნობ გულში და ჩემი თავისადმი პატივისცემა მომემატა. ღმერთმა ქნას, არ მიმტყუნოს იმედმა, გული არ გამტეხოდეს...“

შემდეგი წერილებიც მხნე იყო. მაგრამ თუ ჩაუკვირდებოდა კაცი, ძალიან დამაფიქრებელიც. ის თითქოს ეთამაშებოდა ბედს და აჩქარებდა გარდუვალის მოსვლას.

„მაფრთხილებ, უდაბნოს ნუ ჭაუთამამდებიო. ზედმეტ მზრუნველობას იჩენ, ჩემო კეთილო. მე რომ კიდევაც მოვინდომო, თვითონ უდაბნო არ მომცემს საშუალებას გავუთამამდე. ნუ შიშობ, ჩემი მეგზური ტუარეგი აბდულა გამოცდილი და დინჯი კაცია; კუშტი გამოხედვა აქვს და სიტყვაძვირია, ხმას ამოიღებს მხოლოდ მაშინ, როცა ეს ნამდვილად საჭიროა, მაგრამ გულითადი, ერთგული და ყოველმხრივად საიმედო. არ გაგიკვირდეს, მალე, მგონი, მეც მივეჩვიო დუმილს. უდაბნო და ლაქლაქი ვერ ეგუებიან ერთმანეთს. უდაბნო საამისოდ არ განაწყობს ადამიანს. აქ უფრო თავის თავს ელაპარაკები. შენთვის იქნებ გაუგებარიც იქნეს, თუ ვიტყვი, რომ აქ სულიერად მდიდრდები. აქ სავსებით შენს თავს ეკუთვნი. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მარტო ხარ და მარტოობას განიცდი. ალბათ, შენი წარმოდგენით, უდაბნო სიცარიელეა. არა, ამ უკიდეგანო სივრცეს თავისი სიბრძნე და სასიცოცხლო ძალა აქვს. ყველაზე უფრო კი საჰარას. ის სრულიად არ არის ქაოსი, რომელსაც ოდესღაც შეეჭიდა ღმერთი და თავისი მარტოობისა და მოწყენილობის გასაქარვებლად კონტინენტები შექმნა... მე უკვე არაერთხელ ვიყავი უდაბნოში და რაც უფრო ხშირად ვნახულობ, მით უფრო მიზიდავს. ბოლო დროს კი ისე შევეთვისე, არ ვიცი მომავალში უმისოდ როგორ გავძლებ. მის უცნაურობაზე დაწვრილებით მოგწერ ამ დღეებში. უფრო ვრცლად კი აქაურ მირაჟებზე. ეს შეუდარებელი სანახაობაა, უსაზღვროდ მომხიბვლელი და ნამდვილი სასწაული. მირაჟს სულ სხვა სამყაროში გადაჰყავხარ, იმ სამყაროში, რომელიც გინდა სინამდვილედ იქცეს და შენც სამუდამოდ მას შეუერთდე. ის, რაც აქამდე ვნახე, მხოლოდ შემზადებაა, რასაც მომავალში მოველი. მუდამ იმას ვნატრობ, რომ ეს ბედნიერი წუთი მალე დადგეს. ჩემი ოცნებაა, უფრო ღრმად შევიჭრა საჰარაში, იქ, სადაც ჯერ ფეხი არავის დაუდგამს. წარმოგიდგენია, რა ფანტასტიკური, რა დიადი სურათი გაიშლება ჩემს წინაშე? დე, ის მირაჟი ცდუნება და ტყუილი იყოს, მაგრამ ის ხომ მაინც ბევრად უკეთესია სინამდვილეზე და, ამასთანავე, ნუგეშის მომცემიც“...

ეს იყო არდიშვილის უკანასკნელი წერილი. მისგან მეტი აღარ მიმიღია. ცოტა არ იყოს, საგონებელში ვიყავი ამის გამო, მაგრამ იმით ვიმედოვნებდი, რომ ალბათ მოუცლელი იყო და ამიტომ არ მწერდა.

ერთ დღეს კი ეს იმედიც საეჭვო მეჩვენა. შუადღისას მთაწმინდის ფერდობზე დავეხეტებოდი, გადავყურებდი მზეში გახვეულ ჩემს დედაქალაქს, გომბორის კალთებს, ზედაზნის მაღლობს. ვინ იცის, რამდენჯერ დავმტკბარვარ ამ სილამაზით, მაგრამ ვინ არის, რომ არ დახარბებულა ისევ და ისევ თვალი შეევლო მათთვის!

მოულოდნელად მახათას თავზე დავინახე მაღლა ცაზე გაშლილი რაღაც უდაბნოს გამოსახულება და ანდრო არდიშვილის მსგავსი კაცი, რომელიც პალმის წარაფისკენ მირბოდა. რატომღაც ცუდად მეწინშნა. გულმა მითხრა, რომ მის თავზე ფარსაგი არაფერია...

თუკი არსებობენ დიდ სივრცეზე მოხეტიალე მირაჟები, რატომ უნდა დავეჭვებულიყავი, რომ ერთმა მათგანმა, სწორედ მან, რომელმაც განსაცდელში მყოფი არდიშვილი ალბეჭდა, ჩვენამდისაც მოაღწია? ახლა ისიც მგონია, რომ მირაჟს ხმაც მოჰყვება. მგონია იმიტომ, რომ იმ წუთში მეგობრის ხმაც შემომესმა. თუმცა არ ვიცი, იქნებ მომეჩვენა...



გივი ჯოხაძე

# ხმა

მოთხრობა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაფხულის შაბათ საღამოს, ჩვეულებრივ, ნოდარის ბინაზე შევიკრიბენით. დათქმული გვქონდა. ვიდრე გაწყობილ მაგიდას მივუსხდებოდით, რომელიმე ჩვენგანს უნდა მოეთხრო რაიმე ამბავი თავისი ცხოვრებიდან. ხუთნი ვიყავით. აქედან სამს უკვე გაეყო ცოლქმრულ უღელში თავი, ორს — მე და გაიოზს კი ჯერ ვიწრო ოჯახური სიამტკბილობის არაფერი გაგვეგებოდა. იმ სამსაც იმხანად თავიანთი ცოლ-შვილი თბილისის სიცხისათვის გაერიდებინა და ახლა ჩვენთან ატარებდნენ დროს.

— ჰო და ასე, — დაიწყო გაიოზმა, — მარტოხელა კაცის ამბავი მოგეხსენებათ, — შინ გვიან მიდის და სამსახურში თუ საქმეც ბლომად აქვს, დილით ადრე მიეშურება. ჩემი საქმეც ასეა. დილით ვერავინ მიმასწრებს სამსახურში, ამის გამო ზოგი დამცინის კიდეც, ზოგი იმასაც ამბობს, უფროსებთან თავს იწონებსო, მაგრამ ასე სულაც არ არის. ეს კი არადა ერთი-ორჯერ კიდეც ვეცადე დამეგვიანა სამსახურში, მაგრამ ვერა და ვერ შევძელი. მე რომ დაგვიანებული მეგონა, სხვაზე ადრე მაინც შევაღე კარი. ამ ჩემს უჩვეულოდ დაგვიანებას ჩვენი დამლაგებელი დეიდა სირანა ისე შეეშფოთებია, რომ ოთახში ველარ მოეთმინა და ქუჩაში გამოსულიყო ჩემს შესახვედრად, ხომ არაფერი გაუჭირდაო.

იმ ჩემთვის ღირსსახსოვარ დღესაც, როგორც ყოველთვის, პირველი მივედი სამსახურში, გადავათვალიერე დილის გაზეთები, და ის იყო გამოვწიე მაგიდის უჯრა, რომ საქმეს შევდგომოდი, ტელეფონი აწკრიალდა.

ჩვენს ოთახში ათი მაგიდა დგას, ტელეფონი კი ერთია და ისიც უფროსის მაგიდაზე. მაგიდებს შორის ვიწრო გასასვლელია და შებრუნება-შემობრუნების გარეშე იქამდე მიღწევა არ შეიძლება. ამიტომაც იყო, რომ დამეზარა და ტელეფონის წკრიალს არ გამოვეპასუხე. ტელეფონი ერთი სამჯერ კი ახმიანდა და მერე მიჩუმდა. თავი ჩავრგე საქმეებში, ხუთ წუთსაც არ გაუვლია, რომ ტელეფონმა კვლავ შემახსენა თავი.

თქვენც არ მომიკვდეთ, წამოდგომა არც მიფიქრია. თავში ქვა გიცია, რეკე რამდენიც გინდა-მეთქი, მაგრამ ალბათ ის, ვინც რეკავდა, ჩემზე ჯიუტი იყო, თავგზა ამებნა, ციფრებს ერთად ველარ მოვუყარე თავი და საქმეს შევეშვი. ტელეფონი განაგრძობდა რეკვას.

სხვა გზა აღარ მქონდა. უნდა გამეცა იმ უჯიათისათვის ხმა, თორემ ეტყობოდა მოსვენებას არ მომცემდა. ყურმილს ისე დავწვდი, რომ ხმა არ ამომიღია.

— ალო, ნაირა! რა ძილისგუდა ხარ, რა არის, ამდენს ვრეკავ და მაინც ვერ გაგაღვიძე, გოგო! — მომესმა ყურმილში ქალის ხმა.

მეგობრებო, რა დაგიმალოთ და იმ ხმამ ერთბაშად მომნუსხა. ასეთი ხმა არც მე და, მაპატიეთ, თქვენც არ გექნებათ გაგონილი. ხმა იყო ისეთი, რომელიც ყველაფერს ამქვეყნიურს დაგავიწყებთ და სადღაც ღრუბლებში დაგაწყებინებთ ბორიალს. გულს ბაგა-ბუგი შეუდგა. მე კი ხმას არ ვიღებდი. მსურდა იმ ხმის პატრონს კვლავ ბევრი ელაპარაკა, რომ ეს სიხარული არ მომკლებოდა.

— ნაირა, ალო! არ გესმის გოგო! რას გაყუჩებულხარ, ამოიღე ხმა!

კიდევ დიდხანს ვიყავი გაჩუმებული, მაგრამ როცა შევატყვე, რომ იმასაც აღარ ეყოფოდა ძალა ამდენი ალო, ალოს ძახილისათვის, გამოვეპასუხე.

— ქალიშვილო, თქვენ იქ არ მოხვდით, სადაც რეკავთ!

— უი, ჩემი სიკვდილი, სხვაგან მოვხვდი? მაპატიეთ!

— არა, რას ბრძანებთ, თვითონ თქვენ მაპატიეთ, რომ ამდენ ხანს ხმა არ გაგეცით. ხდება ხოლმე, ხომ იცით ჩვენი ტელეფონების ამბავი...

— ჰო, მე ამ ნომრებზე ვრეკავ, — და მან დამისახელა რაღაც რიცხვები.

— არა, გენაცვალე, ეს ტელეფონი... — და მეც არ ვიცი რატომღაც ჩვენი ტელეფონის ნომერი ვუთხარი. ასევე არ ვიცი, მან რატომ მკითხა როგორ, როგორაო და კვლავ გავუმეორე ის ციფრები, რითაც ჩვენს განყოფილებაში რეკავენ.

— ბოდიში, მეტს არ შეგაწუხებთ, — მითხრა მან და ალბათ ის-ის იყო ყურმილის დადებას აპირებდა, რომ მე მოვასწარი.

— რას ბრძანებთ, პირიქით, დიდი მადლობა, რომ ასეთი კარგი ხმა გამაგონეთ.

— ვითომ?

— გეფიცებით.

— კარგი, გვეყოფა. ალბათ გაცდენთ, კარგად იყავით, — ველარაფრის თქმა ველარ მოვასწარი, ისე დასდო ყურმილი.

ის დღე ისე მიილია, რომ საათის რბოლა არც შემიმჩნევია.

მთელი ღამე იმ ხმის პატრონზე ოცნებაში გავატარე. ხან ტელეფონით ველაპარაკებოდი, ხან ვხვდებოდი, ხან ვეფერებოდი. ერთი სიტყვით, რას არ წარმოიდგენს უცოლო, მარტოხელა კაცი.

მეორე დილით კვლავ, როგორც ყოველთვის, პირველი გამოვცხადდი სამსახურში. მგონი, ჩვეულებრივზეც ადრე. საქმეები ყელამდე მქონდა, მაგრამ ვერა და ვერ მოვკიდე ხელი. სულ ერთთავად ტელეფონს შევჩერებოდი, მაგრამ ის შეჩვენებული დუმდა. ჩვენი ოთახი ისე აივსო ხალხით, რომ მე ფრჩხილისოდენა საქმის გაკეთებაც ვერ მოვასწარი.



გული დამწყდა. თუმცა სისულელეა, მაგრამ მე ისევ ტელეფონის ზარს ველოდი. რაც დრო გადიოდა, მით უფრო ვმშვიდდებოდი და ჩემს გულუბრყვილობაზე მეცინებოდა. არადა, რატომ უნდა დაერეკა. ვინ მე და ვინ ის. რაღაც ორიოდე სიტყვა ვუთხარით ერთმანეთს, ისიც ტელეფონით და ეს იყო სულ. მაგრამ მე მაინც მადლობელი ვიყავი იმ უცნობის: მან ხომ ერთი ღამის ტკბილი ოცნებები მაჩუქა.

ერთი კვირა გავიდა. მე ის ამბავი კინაღამ დამავიწყდა, მაგრამ... კვლავ დილა. დილის გაზეთების გადათვალიერებას მოვრჩი და ჩვენმა ტელეფონმა თავი შემახსენა.

წამოვხტი. მგონი გადავაფრინდი მაგიდებს. რა იყო ეს, არ ვიცი: თითქოს რაღაც შორეულის და ჯერ კიდევ სულ დაუვიწყებელის გახსენება.

— ალო! — გაისმა ყურმილში. მე მაშინვე ვიცანი ის ხმა, რადგან მას ათას ხმაში გამოვარჩევდი. გულმა შეიფრთხიალა.

— მე ნაირა არა ვარ! — რატომღაც ასე ვუპასუხე. ანდა რამ მომაგონა ერთი კვირის წინ გაგონილი სახელი.

— ნაირასთან არც ვრეკავ, — მიპასუხა იმ ხმამ.

— აბა ვისთან, ქალიშვილო?

— თქვენთან!

— ჩემთან?

— დიახ, თქვენთან!

— მერედა მე ვინა ვარ, ერთი ეს მითხარი, — ჩემისთანა ხეპრეს გარდა, ასე ვინმე გაესაუბრებოდა? ნამდვილი შტერი თუ გინდათ ვინმესთვის გეწოდებინათ, მაშინ მე ვიყავი ნამდვილი შტერი.

— მინდა და გირეკავთ, არ შეიძლება?

— როგორ, არა... — აზრი დამებნა.

— რას აკეთებთ ახლა?

— ვმუშაობ, — გამოვიდე თავი.

— ოჰო, ასე ადრე? ალბათ ბევრი საქმე გაქვთ.

— ისე, რა!

— რა გქვიათ თქვენ? — ეს შეკითხვა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ კინაღამ საკუთარი სახელი დამავიწყდა, — რას დუმხართ, ჰო, თქვენ...

— მე... მე გაიოზი მქვია, — და გავჩუმდი.

— გაიოზი. კარგი სახელია, — შეაქო ჩემი ნათლია იმ ხმამ და იმ წუთს მომაგონდა, რომ მეც სამაგიეროდ უნდა მეკითხა მისი სახელი.

— თქვენ, თქვენ რა გქვიათ?

— აბა გამოიცანი! — ის იყო ვაპირებდი რომელიღაც სახელის დასახელებას, რომ მივხვდი, ასე არ ივარგებდა. იქნებ იმას სულაც სხვა ერქვა და რატომ უნდა გამომემჟღავნებია სიმპათია ამა თუ იმ ქალის სახელის მიმართ, და თავი შევიკავე.

— მე არც ერთი სახელი არ მაგონდება ისეთი, რომ თქვენს ხმას შევუფარდო. მითხარით, რა გქვიათ?

— ო... რა დიპლომატი ყოფილხართ, — სიცილით ჩაილაპარაკა მან, — კარგით, გეტყვით, მე თეონა მქვია.

— თეონა, რა მშვენიერი სახელია. ძალიანაც რომ მეფიქრა, ვერ მოვიგონებდი.

— მოგწონთ?

— ძალიან.

— კარგი, საკმარისია. შეგაწყინეთ...

— რას ამბობთ...

— სხვა დროს გავაგრძელოთ.

— არა, ახლაც გავაგრძელოთ...

— ახლა უკვე ვიგვიანებ.

— სად?

— ინსტიტუტში.

— ჰო, კარგი, არ დაიგვიანოთ. დარეკავთ კიდევ?

— თუ არ გამიწყრებით.

— გაგიწყრებით? რომ იცოდეთ, — და მინდოდა იმ წუთშივე მისთვის მეთქვა, რომ მე ვარ უცოლო, მარტოხელა კაცი, რომ მე ის ძალიან, ძალიან მიყვარს, რომ თუ პასპორტს თან წამოიღებს, გავვარდები და ერთად შევალთ მმაჩის ბიუროში... სისულელეა?! მაგრამ თქვენ ხომ მისი ხმა არ გაგიგონიათ...

— კარგი, ვნახოთ. კარგად იყავით.

— კარგად, თეონა. ველი დარეკვას.

— მომავალ შეხვედრამდე ეთერში, უცნობო გაიოზ!

— ნახვამდის, თეონა!

მან ყურმილი დასდო.

შეყვარებული კაცის გამოცნობა ძალიან ადვილია. იგი თითქოს მიწაზე არ ადგამს ფეხს. სახე მუდამ გაბადრული აქვს, არც უფროსის გაბრაზებას იმჩნევს და სხვას ყოველთვის თავაზიანად ესაუბრება.

არც ჩვენს თანამშრომლებს გამორჩენიათ მხედველობიდან ჩემი ფერიცვალება. ყველა რაღაცის მოლოდინში იყო, ცდილობდნენ რამე დაეცდევინებინათ, მაგრამ მე პირში წყალი მქონდა ჩაგუბებული.

თეონა ყოველ დილით მირეკავდა. ისე გავშინაურდით, რომ უბრალოდ შენობითაც კი დავიწყეთ ლაპარაკი. მან ჩემს შესახებ თითქმის ყველაფერი იცოდა და მეც მგონი მის შესახებ ყველაფერი ვიცოდი.

ერთი თვე გავიდა და მისი თვალით მნახველი არ ვიყავი. რამდენჯერაც ვთხოვე შეხვედრა, ყოველთვის რაღაც მოიმიზეზა და სასხვადროოდ გადამიდებდა ხოლმე.

ერთი თვე გავიდა. ერთ დილას კი, როცა დარეკა და საუბარი გავაბით, უკვე შევბედე:

— თეონა, ღმერთი გწამს?

— ვთქვათ, მწამს, რა იყო, გაიოზ? — „გაიოზი" ასე ტკბილად თუ ჟღერდა, ვერასოდეს წარმოვიდგენდი თეონამდე.

— რა და, რატომ მაწვალებ?

— რატომ გაწვალებ?

— შევხვდეთ, თეონა და ჩემს ტანჯვასაც მოუღე ბოლო.

— ძალიან გინდა?

— ნუთუ ოდნავ მაინც გეეჭვება.

— კარგი, შევხვდეთ! — უცებ დამთანხმდა თეონა. ეს ისე მოულოდნელი იყო ჩემთვის, მაშინ რომ გეკითხათ მართლა მინდოდა თუ არა მისი შეხვედრა, ვერ გეტყოდით. მაგრამ სიტყვას უკან ხომ არ წავიღებდი?

თქვენ გაგიკვირდებათ: მე, თითქოს თანამედროვე კაცმა ვერ მოვახერხე მისი ნახვა მისდა გაუგებრად. მაგრამ აბა, როგორ? მას არ უთქვამს თავისი მისამართი, არც ტელეფონის ნომერი, არც გვარი. ისიც კი არ მითხრა, რომელ ინსტიტუტში სწავლობდა. მას რომ არ დაერეკა, ვერასოდეს მას ვერ დავუკავშირდებოდი.

— სად?

— სადაც მეტყვი.

— არა, შენ აირჩიე...

მან აირჩია. მერე ჩვენ ვუთხარით ერთიმეორეს, თუ რა გვეცმეოდა და თან ის დავუმატე, ხელში გაზეთს დავიჭერ-მეთქი.

— თეონა, არ მომატყუო.

— რახან გპირდები, მოვალ კიდეც.

დავთქვით საათიც.

იმ დღით ყველა ჩვენი თანამშრომელი გავაოცე. უფროსს საათნახევრით ადრე დავეთხოვე, წვერი გავიპარსე, მერე შინ შევირბინე და ჩემი ერთადერთი კოსტუმი ჩავიცვი. თან გროშებიც არ დავივიწყე და გავწიე დათქმულ ადგილისაკენ. იმის შიშით, რომ გაზეთების კიოსკი ვაი თუ დაკეტილი იყოს-მეთქი, გაზეთიც სახლიდან წავიღე.

ბავშვთა სამყაროსთან რომ ტელეფონის ჯიხურია, ის იყო ჩვენი შეხვედრის ადგილი. ადრე მომივიდა მისვლა. ორჯერ ავყევი პუშკინის ქუჩას.

საათის ისრები დათქმულ დროს მიუახლოვდა. ყველა ლამაზ გამვლელს, რომელიც მარტო მოდიოდა, ვაკვირდებოდი, მსურდა ამომეცნო მათში თეონა. ვისაც უფრო მივიჩნევდი ტელეფონში მოსმენილი ხმის პატრონად, ვუღიმოდი. ვუღიმოდი იმიტომ, რომ შეხვედრისას თეონასათვის მინდოდა მეთქვა — აი, ხომ გიცანი-მეთქი. ისინი კი, ვისაც ვუღიმოდი, ერთს შემომიბღვერდნენ და ვინ იცის რად არ მნათლავდნენ გულში — ხულიგნად, სალახნად, უტიფრად.

წუთი წუთს მისდევდა და...

ხალხის ტალღაში დავინახე ისე ჩაცმული ახალგაზრდა ქალი, როგორიც თეონას თქმით თვითონ უნდა ყოფილიყო. რაც უფრო ახლოვდებოდა, მით უფრო ვღელავდი. თეონა იყო, ნამდვილად ჩემი თეონა. ის კი არ მოდიოდა, მოგოგმანებდა, წერწეტა, მაღალი, შოლტივით მოქნილი, თვალწარბგადაკალმული, შეუდარებელი. სწორედ მას უნდა ჰქონოდა ჩემი თეონას ხმა.

ჩემს მიერ შემჩნეული ქალიშვილი კვლავ მოდიოდა. ერთი-ორჯერ ჩემსკენ გამოიხედა და ტელეფონის ჯიხურისაკენ წამოვიდა. ფერი მეცვალა. ჯიხურთან შეჩერდა. ხელჩანთა გახსნა და რაღაცას დაუწყო ძებნა. მე თვალი ავარიდე. მერე იქვე მდგარ გაზეთების კიოსკისაკენ გასწია, მგონი ფული დაახურდავა. თვალს ვერ ვაშორებდი.

ტელეფონის ჯიხურში შევიდა. რეკა, რეკა და მგონი ორკაპიკიანი ტელეფონმა გადაუყლაპა. უკან გამოვიდა. ცოტა კიდევ იტრიალა და მე მომიბრუნდა. მე კი თვალი ვერ გავუსწორე.

— ბოდიში, ორკაპიკიანი ხომ არ გექნებათ?

ტანში დამცეცხლა, შემაჟრჟოლა.

ჩემს გვერდით თეონა იდგა. დავიბენი და ანგარიშმიუცემლად ვკითხე.

— რა ბრძანეთ, რა მითხარით?

— ორკაპიკიანი ხომ არ გექნებათ?

მშვენიერი დღე იდგა. მოედნის გარშემო ჩამწკრივებულ ჭადრებზე — საამოდ უღურტულებდნენ ტოროლები. ადამიანები — სახეგაბადრულნი, სახემოღუშულნი, კმაყოფილნი, უკმაყოფილონი, ჭკვიანები, სულელები მიდი-მოდიოდნენ ჩემს წინ. მე ყველაფრის შეგრძნება დავკარგე. მერე ჯიბეები მოვიქექე და ცოტა ხნის შემდეგ ისე, რომ მისთვის არც შემიხედავს, ვუთხარი:

— არა, არა მაქვს, ბოდიში!

— არა უშავს რა! — მომესმა თეონას ხმა. ყველაზე ძვირფასი ხმა, რაც კი ამ ერთი თვის განმავლობაში მესმოდა ტელეფონით. ხმა კი არა, თვითონ თეონა იდგა ჩემს გვერდით.

შევდრკი, დავიმორცხვე. თავი ვაჟკაცი მეგონა და აი, ახლა ჩემს საოცნებოსთან შეხვედრამ დამაბნია.

გაიოზმა პაპიროსი გააბოლა. მერე ჩვენ შემოგვხედა და გაიღიმა.

— არ იყო საინტერესო ხომ?

პასუხი არავის გაგვიცია. მასპინძელი წამოდგა. სუფრასთან მიგვიწვია. შემოვუსხედით. საუბრის დაწყებას ვერავინ ვახერხებდით.

უხმოდ შეივსო ჭიქები.

— სამსახურში დილით ადრე მისვლა კი მაინც ვერ მოვიშალე, — თითქოს შეწყვეტილი ამბის გაგრძელება უნდაო, დაიწყო გაიოზმა, — ყოველ დილით მას შემდეგ ერთსა და იმავე დროს რეკავს ტელეფონი. ყურმილს მაინც არ ვიღებ. არ ვიღებ, თუმცა კარგად ვიცი, რომ მასში ჩემი თეონას ხმა არის მომწყვდეული. მე კი ისე, ისე ძალიან მენატრება იმ ხმის გაგონება. მას იქნებ მატყუარა, მხდალი ვგონივარ? როგორ გამოვასწორო შელახული პრესტიჟი. რა ვიცი, იქნებ აჯობოს, რომ ავილო. ხომ შეიძლება, მეგობრებო, შემოგთავაზოთ ერთი სადღეგრძელო? ხმას გაუმარჯოს, ხმას, რომელიც გვიყვარს და სხვას არაფერს. ხმას, რომელიც... თეონას ხმის სადღეგრძელო მინდა დალიოთ, ჩემი თეონას ხმისა!

სასმისები ყველამ უხმოდ გამოვცალეთ.



**ხუტა ბერულავა**

# ანთიმოზ ივერიანუ

(ციკლიდან „მოგზაურობა რუმინეთში")

ოდესლაც სტამბოლს გაყიდულმა
და ტყვეყოფილმა,
ვით ჩირაღდანმა,
მთელ რუმინეთს შუქი მოჰფინა.

ამ ქვეყანაშიც არ ელოდა
დიდების გვირგვინს,
მხოლოდ მოძმეთა სასიკეთოდ
იბრძოდა იგი.

ხელთ ეპყრა წიგნი,
ვით სანთელი და ქრისტეს ჯვარი,
რომ კაცის გულში
ცოდვათათვის დაეხშო კარი.

თავისუფლებას ქადაგებდა
და ძმობას ურღვევს,
წყევლას უთვლიდა
ყველა ჯურის მონობის უღელს.

არ მოასვენა
რუმინელთა სევდა-წუხილმა.
ბრძენი, მამაცი
ძალადობას ქედს არ უხრიდა.

ხატავდა, წერდა, აშენებდა,
გალობდა, თრთოდა...
ძმათათვის სურდა,
რაიც ჰქონდა და არა ჰქონდა!

არც ივერიას ივიწყებდა
ბევრის მნახველი:
ვახტანგ მეექვსეს მან აახლა
ბერი ვლახელი,

რომ დაელოცა მეფისათვის
სტამბა ქართული,
მისივე ხელით აღდგენილი
და გამართული...

ურიცხვი ტაძრის
შემქმნელი და აღმშენებელი,
ურიცხვი ღამის
ხატზე ლოცვით გამთენებელი;

დარდთა და ნისლთა
განმფანტველი, განმქარვებელი,
ადამიანთა
მფარველი და გამხარებელი, —

უეცრად, ულვთოდ, უმოწყალოდ
გასწირა ბედმა:
მღვრიე მორევში რომ ჩასძირა,
რაისთვის, ნეტავ?

ვერ გაიხარა მაინც ბოლოს
ბოროტმა ბრბომა, —
ვერ გაატანა იმ შავ მორევს
კეთილი შრომა.

განჰქრა სიცოცხლე
და შეერთო ცას ზეციერი,
დარჩა მგოსანი,
ოქროპირი და მეცნიერი;

დარჩა ამ ქვეყნად
საუკუნო სახელთან ერთად:
ხუროთმოძღვარი, მშენებელი,
ოსტატი ფერთა...

# მაგია ანუ ჯადოქრობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1782 წელს შვეიცარიაში, ქალაქ გლიარუსში ინკვიზიციამ ჯადოქრობა დააბრალა თავის მორიგ მსხვერპლს და კოცონზე გაგზავნა იგი. ამ აქტით დაამთავრა თავისი არსებობა იმ საშინელმა კანონმა, რომელიც რამდენიმე საუკუნის მანძილზე ბატონობდა მთელს ევროპაში და კოცონზე სწვავდა ყველას, ვისაც მიზანში ამოიღებდა. საერთოდ, იმ 9-10 მილიონი ადამიანიდან, რომელიც „წმინდა ინკვიზიციამ" იმსხვერპლა, ბევრს შავი მაგიის ხმარება ან ჯადოქრობა ედებოდა ბრალად.

რასაკვირველია, დასჯილთა უდიდესი უმრავლესობა სრულიად უდანაშაულო იყო. ბევრ მათგანს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა შავ მაგიასა და ჯადოქრობაზე. ზოგს უმიზეზოდ დასწამებდნენ ცილს, ზოგს ეპიდემიის გავრცელებას მიაწერდნენ და ჯადოქრად მონათლავდნენ, ზოგს კი სტიქიური უბედურების გამოწვევას დააბრალებდნენ. სამღვდელოებამ ამ საბაბით ბევრი პროგრესულად მოაზროვნე, ეკლესიისათვის არასასურველი ადამიანი მოიცილა თავიდან. მაგრამ დასჯილთა შორის იყვნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც თავის თავს სერიოზულად მიაწერდნენ ზებუნებრივ უნარს ემოქმედათ საზოგადოებრივ თუ ბუნების მოვლენებზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თვითონვე სწამდათ ჯადოქრობის უნარი შეგვწევსო. ასეთი ადამიანები უხსოვარი დროიდან არსებობდნენ და დღემდეც შემორჩნენ.

მაგია ანუ ჯადოქრობა რელიგიის ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ფორმაა. რელიგიის სხვა უმარტივესი ფორმის — ფეტიშიზმისაგან განსხვავებით, რომელიც მატერიალურ საგნებს მიაწერდა ზებუნებრივ თვისებებს, მაგიას ეს თვისებები ადამიანებზე გადაჰქონდა. პირველყოფილი ადამიანები ფიქრობდნენ, რომ გარკვეული მოქმედებით, ან მოქმედებათა კომპლექსით (რიტუალური ცეკვები, შელოცვები, მრავალგვარი რელიგიური წესის ჩატარება) გავლენას მოახდენდნენ ბუნების მოვლენებზე, ზიანს მიაყენებდნენ მტერს, გაამრავლებდნენ პირუტყვს, წარმატებით ინადირებდნენ, განკურნავდნენ ავადმყოფს, გამარჯვებას მიაღწევდნენ სიყვარულში, სამხედრო საქმეში და ა. შ.

რელიგიის სხვა ფორმების მსგავსად, მაგიასაც ზებუნებრივის რწმენა უდევს საფუძვლად, იმის რწმენა, რომ ზოგჯერ ადამიანს შეუძლია ბუნების ძალები თავის სასარგებლოდ აამოქმედოს. აქ უკვე აღარა აქვს მნიშვნელობა, რისი რწმენა აქვს ადამიანს — კეთილი თუ ბოროტი ძალისა.

მაგიური ჩვეულებები თავდაპირველად ადამიანთა სტიქიური, პრაქტიკული მოქმედებებისაგან წარმოსდგა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს მოქმედებები მოსწყდა პრაქტიკას და დაუკავშირდა ზებუნებრივ წარმოდგენებს, მაშინ გაჩნდა მაგია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მაგიური წარმოდგენები და ჩვეულებები განსაკუთრებით იმ სფეროში ვითარდებოდა, სადაც ადამიანი უძლურებას გრძნობდა ბუნების ძალებთან ბრძოლაში.

მაგიის კვალი უხვად შეიმჩნევა ყველა თანამედროვე მონოთეისტურ რელიგიაში. მაგალითად, იუდაიზმის „წმინდა" წიგნში — „თორაში" ჩვენ ვხვდებით მაგიის თითქმის ყველა სახეს: ვნებისმომტან, სამკურნალო, სასიყვარულო და ა. შ. „თორაში" აღწერილია, როგორ ეჯიბრებოდნენ ებრაელთა წინასწარმეტყველები — მოსე და აარონი ეგვიპტელ მოგვებს ჯადოქრობაში. „თორას" ლეგენდის მიხედვით, მოსემ და აარონმა ათასგვარი უბედურება გაუგზავნეს ეგვიპტელებს: ჯერ მდინარის წყალი აქციეს სისხლად, რათა ადგილობრივ მკვიდრთ მისი სმა არ შესძლებოდათ, ამასთანავე, მდინარეში სრულიად გაწყვიტეს თევზი, რომელსაც ეგვიპტელები ფართოდ იყენებდნენ საკვებად. შემდეგ ადამიანებსა და საქონელს დაახვიეს მუმლი, გაუგზავნეს შავი ჭირი, სეტყვა, კალია, დაუხოცეს პირველშობილი ვაჟები და სხვ. თავის მხრივ ეგვიპტელი მოგვებიც არ რჩებიან ვალში, ისინიც სჩადიან ათასგვარ „სასწაულს", მაგრამ ამ შეჯიბრებაში მაინც მარცხდებიან.

მაგიის გადმონაშთებს უხვად ვხვდებით ერთ-ერთ ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებულ რელიგიაში — ქრისტიანობაშიც. თვით ქრისტე ხშირად გამოდის „სასწაულმოქმედისა" და „ჯადოქრის" როლში. იგი ათასგვარ სასწაულებს სჩადის: ვითომდა აცოცხლებს მკვდრებს, თვალს უხელს უსინათლოებს, ფეხებს უმთელებს კოჭლებს, სდევნის ადამიანის სხეულში ჩაბუდებულ ავ სულებს, მკურნალობს ათასგვარ სნეულებებს და სხვ. აშკარად მაგიური ხასიათისაა ქრისტიანული საიდუმლოებებიც (ნათვლა, მირონცხება, ზიარება, მონანიება, წმინდანობა, ქორწინება, ზეთისცხება). მაგალითად, როდესაც ზიარებისას ქრისტიანი კულტის მსახურები იღებენ პურსა და ღვინოს, ათავსებენ სპეციალურ სასმისში, სადაც იგი თითქოსდა ქრისტეს სისხლად და ხორცად იქცევა, ეს წმინდა წყლის მაგიაა. ქრისტიანი თეოლოგების აზრით, ქრისტეს სხეულად ქცეული პურისა და ღვინის მიღების შემდეგ ხდება ადამიანის განწმენდა და ამის შემდეგ მორწმუნეს შეუძლია უშუალოდ დაუკავშირდეს ღმერთს.

მაგიისაგან თავისუფალი არც სხვა მსოფლიო რელიგია — ისლამია. უკვე მისი „წმინდა" ემბლემა — ნახევარმთვარე მაგიური ხასიათისაა. იგი გამოხატავს იმ ძველ არაბულ შეხედულებას, რომელიც მთვარეს წმინდა მნათობად სთვლიდა და მას მაგიურ უნარს მიაწერდა, ემოქმედნა ადამიანების ბედზე. ისლამი, მართალია, გმობს ზოგიერთი სახის მაგიას, მაგრამ სამაგიეროდ ფართო ადგილს უთმობს სხვა სახის მაგიას, მაგალითად, ასტრალურ მაგიას, მკითხაობას ფრინველთა ფრენის მიხედვით და სხვ.

მაგიის ელემენტებს ვხვდებით მესამე მსოფლიო რელიგიაში — ბუდიზმშიც.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, მაგიის ელემენტები, სხვადასხვა სასწაულების რწმენა უხვადაა შემორჩენილი მონოთეისტურ რელიგიებში. „წმინდა" წიგნებში აღწერილი ბევრი ადათ-წესი და რიტუალი აშკარად მაგიური ხასიათისაა. ამ წიგნებშივეა მოთხრობილი იმ მრავალი „სასწაულის" შესახებ, რომელსაც ქრისტე, ბუდა, მუჰამედი და მოსე სჩადიოდნენ. მათი სასწაულები ბევრით არ განსხვავდება ჩვეულებრივი ჯადოქრობისაგან. ამიტომ, თეოლოგებმა, შავი მაგიის ხმარებისა და ჯადოქრობის ბრალდება რომ თავიდან აიცილონ, სასწაულის რწმენას ორ ნაწილად ყოფენ: კეთილ და ბოროტ სასწაულად. სხვაგვარად — თეთრ და შავ მაგიად. პირველ შემთხვევაში სასწაული ღმერთის მეოხებით და მფარველობით ხდება; შესაბამისად მას ღვთიური (კეთილი) ხასიათი აქვს. რაც შეეხება შავ მაგიას, აქ ბუნებაზე, საზოგადოებაზე ან კერძო პირზე ზემოქმედება ეშმაკის დახმარებით ხდება, ამიტომ მას ბოროტი ჯადოქრული ხასიათი აქვს.

სინამდვილეში მათ შორის არავითარი განსხვავება არ არის. როგორც თეთრი, ისე შავი მაგიაც უაზრობაა, რადგან ორივე შემთხვევაში მათ საფუძვლად უდევთ არარსებული ზებუნებრივი ძალების ცრურწმენა.

* * *

შვეიცარიის ქალაქ გლიარუსში მომხდარი უკანასკნელი ტრაგედიიდან თითქმის ორი საუკუნე გავიდა. ამ პერიოდში უდიდესი ძვრები მოხდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მეცნიერებამ და ტექნიკამ გიგანტური ნაბიჯი გადადგა წინ. საზოგადოების წინსვლას თითქმის სრულებით აღარ უნდა დაეტოვებინა ადგილი მაგიისა და ჯადოქრობისათვის, მაგრამ ჯადოქრობის აღმოსაფხვრელად მარტო მეცნიერული პროგრესი როდია საკმარისი. კაპიტალისტურ სამყაროში ჯერ კიდევ მრავლად ვხვდებით თანამედროვე ჯადოქრებს.

რასაკვირველია, თანამედროვე ჯადოქრები განსხვავდებიან ძველი გრძნეულებისაგან, რომლებიც ტრადიციულად, ყვავთან ერთად, გამოქვაბულში ან ტყეში აშენებულ ქოხში ცხოვრობდნენ. ახალი ტიპის გრძნეულები ხშირ შემთხვევაში, თანამედროვე მოდის მიხედვით, მინი კაბასა და ტყავის ქურთუკში გამოწყობილნი გვევლინებიან. ერთ-ერთი ასეთი ჯადოქარის მონიკა ვილსონის შესახებ მოგვითხრობს იტალიური ჟურნალი „ვიე ნუოვე". ახლად მოვლენილი ჯადოქარი ირლანდიასა და შოტლანდიას შორის მდებარე პატარა კუნძულ მენზე ცხოვრობს მშვენიერ მყუდრო ბინაში, რომელიც მას ქმარმა, ყოფილმა სამხედრო მფრინავმა უყიდა. მისი „სამუშაო" კაბინეტი კარგად მოწყობილ ქიმიურ ლაბორატორიას მოგვაგონებს: აქაა მენზურები, კოლბები, ულიანი სასწორი, ნაირ-ნაირი ხელსაწყოები. მოკლედ, ყველა ატრიბუტი იმისათვის, რომ მისმა მფლობელმა წარმატებით „იმუშაოს".

როცა წლოვანებას ჰკითხავენ, ორმოცდარვა წლის მონიკა ვილსონი უყოყმანოდ პასუხობს — ას სამოცის ვარო. ჯადოქრისათვის, წერს წერილის ავტორი მაიკლ ნაუმანი, ალბათ ეს ასაკი საკმაოდ ახალგაზრდულია. მონიკა ვილსონი ამტკიცებს, რომ ჯადოქრული რიტუალების შესრულებისას მას სხვა, ძველი კელტური სახელი ორვენი ჰქვია. მისივე მტკიცებით, კუნძულ მენზე კიდევ 9 ჯადოქარი ცხოვრობს, რომლებიც მონიკა ვილსონს ექვემდებარებიან და ეხმარებიან შეასრულონ სატანის ნება.

შეიძლებოდა ვინმეს ეფიქრა, რომ ჯადოქრობის კულტი, რომელიც კუნძულ მენზე შემორჩა, ჩამორჩენილობის შედეგია. მაგრამ ჯადოქრობასა და სატანის თაყვანისცემას მარტო ქვეყნის ჩამორჩენილ რაიონებში როდი ვხვდებით. თვით ინგლისის დედაქალაქში — ლონდონში, ნოტინგჰემ-ჰილზე ცხოვრობს ვინმე ალექს სანდერსი, რომელიც ყოველ კვირას თავის ბარში (ეს ბარი ტაძრის ფუნქციებსაც ასრულებს) აწყობს შეხვედრებს, რომელშიც ორმოცამდე კაცი და ქალი მონაწილეობს. თვით ორმოცი წლის ალექს სანდერსი აღიარებულია „გრძნეულების" მეფედ, მისი ქვეშევრდომია დაახლოებით 1.600 ჯადოქარი. ამათ გარდა, ოფიციალური მონაცემებით, ინგლისში რეგისტრირებულია 8.400 ჯადოქარი და გრძნეული, რომელნიც დამოუკიდებლად მოქმედებენ.

როგორც ჟურნალი „ვიე ნუოვე" აღწერს, შეკრებები ალექს სანდერსთან იწყება საყოველთაო სტრიპტიზით. ამის შემდეგ გაშიშვლებული ქალები და მამაკაცები ასრულებენ რიტუალურ ცეკვას, რომელსაც ისინი ექსტაზამდე მიყავს. შეკრება მთავრდება ნაყოფიერებისა და სიყვარულის ქალღმერთის ჰეკატას პატივსაცემად გამართული ორგიით.

ჯადოქრობა და მაგია მარტო ინგლისში როდი ჰყვავის. ასეთივე მდგომარეობაა ევროპის სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებშიც. აი რას წერს ამის შესახებ

# ბარათი და კომენტარები

ბორჯომი. ოსტროვსკაიას აგარაკი.
1926 წელი. 20 VIII.

ძვირფასო პატივცემულო მიხეილ ალექსანდრეს ძევ!

თქვენმა წერილმა დაადასტურა ქართველოლოგებისათვის ის სასიხარულო ამბავი, რომლის თაობაზე „ზარია ვოსტოკამ“ პატარა შენიშვნა გამოაქვეყნა. ეს დიდი საჩუქარია ჩვენთვის. მოუთმენლად ველი ამ ძეგლის გამოქვეყნებას. თქვენ ისე გაგვანებივრეთ, რომ მე ვბედავ და გთხოვთ გამიგოთ, ხომ არ არის აღწერებში XVI საუკუნის დამლევის, ან XVII საუკუნის დამდეგის ელჩობა ქართლის სამეფოში. თუ ასეთი რამ მოიპოვება, ძალიან დაგვავალებთ, თუ ამ ძეგლსაც გამოსცემთ, საქმე ის არის, რომ ჩვენ გვაკლია რუსთა ელჩების მიერ შედგენილი სწორედ საქართველოს ცენტრის, ქართლის სამეფოს აღწერილობა და ასეთი რამის აღმოჩენა შეავსებდა ამ არსებით ხარვეზს, — და საშუალება მოგვეცემოდა შეგვედარებინა რუსთა ელჩების ცნობები ქართული, სპარსული და დასავლეთევროპული წყაროების მონაცემებთან.

თქვენ ფასდაუდებელ სამსახურს უწევთ რუსეთისა და საქართველოს ისტორიას, იძლევით იმდენ ახალ, ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ მასალებს, რომ თქვენი სახელი, როგორც იტყვიან, ოქროს ასოებით ჩაიბეჭდება ჩვენს ისტორიოგრაფიაში და თქვენი შრომები ქართველოლოგებისათვის — კავკასიასა და აღმოსავლეთთან რუსეთის ურთიერთობის მკვლევართათვის ნიადაგსახმარი წიგნი იქნება...

მადლობას მოგახსენებთ წერილისათვის და ვიმედოვნებ, რომ კიდევ გაგვახარებთ ცნობებით თქვენს მუშაობასა და თქვენს წარმატებებზე.

15 სექტემბრამდე ბორჯომში ვიქნები. გისურვებთ ყოველივე კარგს და პირველ რიგში ჯანმრთელობას.

ჩემი ცოლი მადლობას გიძღვნით გახსენებისათვის და მოკითხვას გითვლით.
გულწრფელად თქვენი პატივისმცემელი

ივანე ჯავახიშვილი.

* * *

1926 წელი, აგვისტო, ბორჯომი... აქ ისვენებს საქართველოს ისტორიის მამა, დიდი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი. მაგრამ ამ დასვენების დღეებშიც, ზაფხულში, აგარაკზე მისი ფიქრი ისევ საქართველოს ისტორიას დასტრიალებს; და აი, ერთ დღეს, ფოსტას თბილისიდან გაზეთები მოაქვს. 6 აგვისტოს „ზარია ვოსტოკაში“ დაბეჭდილია პატარა შენიშვნა სათაურით: „ისტორიული დოკუმენტები“. მოგვყავს ეს შენიშვნა მთლიანად:

„საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მიხეილ ალექსანდრეს ძე პოლიევქტოვი ამჟამად მუშაობს მოსკოვის არქივებში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხებზე. მან აღმოაჩინა უაღრესად საინტერესო დოკუმენტები, რომლებსაც უკვე გამოსაცემად ამზადებს. ეს დოკუმენტები ეხება თავად ე. მიშეცკის ელჩობას; მიშეცკი 1640-1643 წლებში იმყოფებოდა თეიმურაზ პირველის კარზე.

ხსენებული დოკუმენტები დღემდე გამოქვეყნებული არ ყოფილა. ისინი ნათელ შუქს ჰფენენ საქართველოს, რუსეთისა და სპარსეთის ურთიერთობას XVII საუკუნის მანძილზე. ამასთან შეიცავენ ბევრ მონაცემებს საქართველოს ისტორიიდან, გვიხატავენ იმ დროის კახეთის მკაფიო სურათს სპარსთა შემოსევის შემდეგ.

დოკუმენტებში აღწერილია ალავერდის მონასტერი, კახეთის მაშინდელი დედაქალაქი გრემი, მოცემულია აგრეთვე ცნობები კახეთის გეოგრაფიისა და ეთნოგრაფიის შესახებ“.

აი ამ შენიშვნამ გამოიწვია ივანე ჯავახიშვილის ზემოთ მოყვანილი ბარათი მ. ა. პოლიევქტოვისადმი.

მიხეილ ალექსანდრეს ძე პოლიევქტოვი (1872-1942) დაიბადა პეტერბურგში. 1890 წელს მან დაამთავრა კალუგის გიმნაზია და იმავე წელს ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტში ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის კურსის დამთავრების შემდეგ იგი დატოვებულ იქნა რუსეთის ისტორიის კათედრასთან სამეცნიერო მუშაობისათვის.

1917 წლიდან მიხეილ პოლიევქტოვი პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორია, იგი კითხულობს ლექციებს რუსეთის ისტორიაში და აგრეთვე ხელოვნების ისტორიაში. აქ უნდა აღვნიშნოთ ერთი მეტად საინტერესო ფაქტი მისი ბიოგრაფიიდან. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მეფის მოხელეებმა ცეცხლი წაუკიდეს პროკურატურის არქივს, სადაც თავმოყრილი იყო რევოლუციური მოძრაობის ისტორიისათვის მეტად საინტერესო დოკუმენტები. მიხეილ პოლიევქტოვმა შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინა, დარაზმა თანამშრომლები, ჩააქრო ხანძარი და ძვირფასი არქივი განადგურებას გადაურჩა. ამ საქმეში მას ხელს უწყობდნენ და ეხმარებოდნენ გამოჩენილი ქართველი სამოციანელი ნიკო ნიკოლაძე და მისი ქალიშვილები — თამარი და რუსუდანი (მიხეილის მეუღლე).

მიხეილ პოლიევქტოვს მთელი გატაცებით უყვარდა საქართველო, მისი დიდი ისტორია. 1919 წელს 9 აგვისტოს, თბილისის უნივერსიტეტს დაარსების ერთი წლის შემდეგ მან ასეთი დეპეშა გამოგზავნა:

„თბილისი, სახელმწიფო უნივერსიტეტი, დეკან კორნელი კეკელიძეს, მზად ვარ ვემსახურო უნივერსიტეტს, თუ შემიძლია რაიმე სარგებლობის მოტანა. პროფესორი პოლიევქტოვი“.

და მართლაც, ოცდაორი წლის მანძილზე მ. პოლიევქტოვი ერთგულად ემსახურებოდა ქართულ კულტურასა და მეცნიერებას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მან დიდი ამაგი დასდო ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეს. ქართული ენა მან ისე კარგად შეისწავლა, რომ გამოცდებს ქართულ ენაზე იბარებდა და ლექციებსაც ქართულად კითხულობდა.

პროფ. მიხეილ პოლიევქტოვმა მრავალი მანამდე უცნობი დოკუმენტი გამოსცა და გამოავლინა, ამით მან დიდი სამსახური გაუწია ჩვენს ისტორიოგრაფიას.

ახლა ორიოდე სიტყვა ივ. ჯავახიშვილის ბარათში მოხსენებულ დოკუმენტებზე. როგორც ზემოთ ვნახეთ, ივანე ჯავახიშვილი სთხოვდა პოლიევქტოვს დაეჩქარებინა დოკუმენტების გამოცემა. და აი, 1928 წელს მკვლევარი აქვეყნებს ნაშრომს: „თავადი მიშეცკისა და დიაკი კლუჩარევის ელჩობა კახეთში 1640-1643 წწ.“ (უფრო ადრე, 1926 წელს მანვე გამოსცა „სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იევლევის ელჩობა იმერეთში 1650-1652 წწ.“).

ორივე წიგნს დართული აქვს პოლიევქტოვის ვრცელი შესავალი წერილი და სათანადო კომენტარები.

ვისაც წაკითხული აქვს ივ. ჯავახიშვილის ფუძემდებლური ნაშრომის — „ქართველი ერის ისტორიის“ მეოთხე ტომი, კარგად მოეხსენება, თუ რამდენ ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს დიდ მკვლევარს საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის დროს პოლიევქტოვის მიერ მიკვლეულმა და გამოქვეყნებულმა დოკუმენტებმა.

ალექსანდრე სიგუა

---

ფრანგული ჟურნალი „პარი-მატჩი“: „არასოდეს, დაწყებული 1000 წლიდან, ისე ძლიერი არ ყოფილა იმქვეყნიური ძალებისაკენ ლტოლვა, როგორც დღევანდელ დღეს. საფრანგეთში დღითიდღე იზრდება სექტების რიცხვი. „შავი წიგნების“ გამომცემელთ აყვავების ჟამი დაუდგათ. სოკოსავით მომრავლდნენ ყველა ჯურის მკითხავები, წინასწარმეტყველნი და ხირომანტები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ, მხოლოდ ჩვენა ვართ მაგიურ საიდუმლოებათა მფლობელნიო“.

ამავე ჟურნალის ცნობით, საფრანგეთში იზრდება ავგაროზებით, საუცხოო ნელსაცხებლებითა და მაგიის სხვა ატრიბუტებით ვაჭრობა.

1967 წელს „მომავლის წინასწარმეტყველთა“ შემოსავალმა 15 მილიონ ფრანკს გადააჭარბა. ჟურნალის აზრით, ეს ციფრი იმ ფულის მხოლოდ მცირე ნაწილია, რაც ამ ყალთაბანდებმა ჩაიჯიბეს.

დასავლეთ გერმანიაში მილიონიანი ტირაჟით გამოდის ყოველკვირეული ჟურნალი, რომელიც მთლიანად მაგიის პრობლემებისადმია მიძღვნილი.

ედინბურგის უნივერსიტეტის ერთი პროფესორის მტკიცებით, შოტლანდიაში ცხოვრობს 80-მდე ქალი, რომლებსაც ღრმად სწამთ, ჯადოქრები ვართო.

მაგია ფართოდაა გავრცელებული ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. აქაც ხშირია ჯადოქრობის, განსაკუთრებით კი მისი ერთ-ერთი სახის — გათვალვის რწმენა. საინტერესო სოციოლოგიური გამოკვლევა მოეწყო სტენფორდის უნივერსიტეტში: როგორც უნივერსიტეტის 1.300 სტუდენტის გამოკითხვამ გვიჩვენა, ავი თვალის, ანუ გამთვალავის სჯერა გოგონების 84 პროცენტს და ვაჟების 72 პროცენტს. ასე რომ, ამ საკითხში არცთუ ისე დიდი განსხვავებაა განვითარების პირველყოფილ საფეხურზე მდგომ ავსტრალიელ აბორიგენებსა და მალანეზიელების რწმენას შორის, ერთის მხრივ, და, მეორეს მხრივ, ცივილიზებულ ამერიკულ საზოგადოებას შორის.

რით აიხსნება მაგიისა და ჯადოქრობის ასე ფართოდ გავრცელება ატომის, ხელოვნური თანამგზავრებისა და მეცნიერების არნახული განვითარების ეპოქაში? რით აიხსნება თანამედროვე ცივილიზებული საზოგადოების რწმენა ასეთი აბდაუბდისა და უაზრობისადმი, როგორიცაა შავი მაგია და ჯადოქრობა? რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა, უკუღმართი სოციალური პირობებით. სრულიად მართალნი არიან ის მიმომხილველები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ „კეთილი“ თუ „ბოროტი“ ზებუნებრივი ძალების რწმენა — ეს არის ასახვა იმ მიწიერი ტკივილისა და წუხილისა, რომელიც სტანჯავს თანამედროვე დასავლეთის საზოგადოების გაუცხოებულ ადამიანს. საბოლოო ჯამში ეს მიწიერი ტკივილი წარმოშობს წარმოდგენებს „პატარა“ და „დიდი ეშმაკების“ შესახებ, ყოველგვარი ზებუნებრივი არსებების შესახებ.

თეიმურაზ ფანჯიკიძე

# თრითინოს ზღაპარი

ალექსანდრე ბარამიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

1899 წელს მოსკოვში გამოქვეყნდა წიგნი, რომელსაც სათაურად აქვს «Сборник грузинских легенд» (გვ. 468), ავტორად დასახელებულია Гульбат. გულბათის წიგნში დაბეჭდილია 23 ლეგენდა და მოთხრობა. მათი დიდი უმეტესობა მოიცავს ძველი საქართველოს ამბებს. პირველი მოთხრობაა „წვიმა", მისი თემაა მეფე გიორგი პირველის სპასპეტის ასულ თამარისა და ბერძენი ჭაბუკის უიღბლო სიყვარული; მეორე მოთხრობაა „თრითინო", რომელსაც ეძღვნება ჩვენი ნარკვევი; მესამე — „ფარნაოზი" (ფურცელი საქართველოს ისტორიიდან). აქ დამუშავებულია „ქართლის ცხოვრებით" შემონახული ცნობები მეფე ფარნაოზზე. ისტორიულ თემებზეა აგებული მოთხრობები თუ ლეგენდები „წმინდა ნინო", „მეფე მირიანი", „წმინდა მურვანოსი" (პეტრე იბერის ცხოვრება) და სხვ.

როგორც ვთქვით, ამჯერად ჩვენს ყურადღებას იპყრობს ლეგენდა „თრითინო", რომელიც უფრო ადრე გაზეთში დაიბეჭდა („მოსკოვსკიე ვედომოსტი", 1891, № 82). სწორედ საგაზეთო პუბლიკაციაზე დამყარებით ალ. ხახანაშვილმა გაკვრით შენიშნა, იგი ამირანზე თქმულების გამოძახილი უნდა იყოსო (ნარკვევები, II, მოსკოვი, 1897, გვ. 164-165).

გულბათის წიგნის გამოსვლისთანავე მას პატარა, მაგრამ ფრიად საინტერესო რეცენზია მიუძღვნა აკაკი წერეთელმა (აკაკის კრებული, 1899, № 2). წერილის დასაწყისში რეცენზენტი აცხადებდა: „გ უ ლ ბ ა თ ი ფსევდონიმია და რადგანაც ავტორს არა სურს თავისის სახელისა და გვარის გამომჟღავნება — არც ჩვენ გვაქვს უფლება მისი ვინაობა ავვიაროთ. ამას კი ვიტყვით მხოლოდ, რომ ის არის ქართველი, დიდი ჩამომავლობისა და ოჯახის ასული, რომელიც რუსეთში დაბადებულა, იქვე გაზრდილა და, რასაკვირველია, დედაენა ვერ შეუსწავლია. მაგრამ უცხო ენებიდან კი რაც გაუგონია და გაუგია მისი სამშობლოს შესახებ, უყურადღებოდ არ დაუგდია — გულსმოდგინებით და სიყვარულით უდევნებია თვალ-ყური. შეუსწავლია უფრო, რასაკვირველია, წარსული ჩვენი ცხოვრება და იმ **ძველთაგან გამოუკრებია ეს ქართული ლეგენდები**" (ხაზგასმა ჩვენია — ა. ბ.). აკაკი წერეთელი მკითხველს აცნობდა, რომ გულბათის მოთხრობები დროდადრო დაიბეჭდებოდა მის კრებულში. აკაკისვე ეკუთვნის ამ გულბათზე დაწერილი პატარა საალბომო ლექსიც. მოგვყავს მისი ტექსტი:

**უცხო ენით მოსაუბრემ**
**აღარ იცი შენ ქართული,**
**მაგრამ მაინც შეგრჩენია**
**ჩვენებური სული... გული!**
**შენს ნაწერში ორივე ჩანს**
**ჩაქსოვილი, ჩაქარგული...**
**მადლობა ღმერთს, რომ შენ მაინც**
**არ ხარ ჩვენთვის დაკარგული!**

აკაკი მოერიდა მისი თანამედროვე მწერლის ფსევდონიმის გაშიფრვას. როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, გულბათი ყოფილა ფსევდონიმი გიორგი XII შვილის, ილია ბატონიშვილის ასულ ოლღა გრუზინსკაიასი (ბაგრატიონისა). იგი დაბადებულა 1846 წელს და გარდაცვლილა 1913 წელს.

აკაკიმ დაპირებისამებრ იმავე 1899 წელს დაბეჭდა გულბათის წიგნის ერთი მოთხრობა — „თრითინო" (აკაკის კრებული, V).

სანამ სადაო ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებს შევეხებოდე, საჭიროდ მიმაჩნია მკითხველს გავაცნო მისი შინაარსი.[1]

სპარსეთს განაგებდა მოხუცი შაჰი ჯემშიდი, რომელსაც შვილი არ ჰყავდა. „ეშმაკის (იბლისის) მოწაფემ აჟდეჰაკმა მოახერხა ჯემშიდის მოხიბლვა"[2]. შაჰმა იგი იშვილა და ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა. შემდეგ ეშმაკმა აჟდეჰაკს მამობილი მოაკვლევინა. „მოხდა თუ არა ეს ბოროტმოქმედება, მყისვე მოჰყვა მას სასჯელიც. მკვლელის თვითეულის მხრითგან ამოძვრა თითო ვეებერთელა გველი... ეს გველები იკვებებოდნენ მხოლოდ ადამიანის ტვინით". ჯემშიდისა და აჟდეჰაკის დროს ცხოვრობდა ყველასგან პატივცემული, კეთილშობილი და მდიდარი მოხუცი **მოსე**, რომელსაც ჰყავდა ერთადერთი მშვენიერი ასული **ნანა**. ნანას ნიშნობის გამო მამამ დიდი მეჯლისი გამართა. სასიძო იყო სპარსეთის სამეფო ოჯახის შვილი, „პრინცი პიშ-დადიანი", სახელად **თრითინო** მეჯლისს დაესწრო და სასიძოს ნიშნობა მიულოცა თვითონ აჟდეჰაკმა. იმ ღამესვე თრითინომ შეიტყო, რომ აჟდეჰაკის გველეშაპების გამოსაკვებად წილი ერგო ნანას. ნანა სასახლეში მიაცილეს თრითინომ და გამდელმა, ებრაელმა ქალმა. გამდელი ლოცულობდა და დახმარებას სთხოვდა ისრაელთა ღმერთს. თრითინო მიეჭრა აჟდეჰაკს „როგორც გრიგალი", მიწაზე დაანარცხა და შეკრა, შემდეგ წაათრია მაღალ და მიუვალ დემავენდის მთისკენ, „მიამსჭვალა იგი კლდეზედ". „აჟდეჰაკის სიკვდილის შესახებ არის ორგვარი თქმულება: ერთი ამბობს, რომ ისიცა და გველებიც შიმშილით დაიხოცნენო, მეორე — ვითომ გველებმა ჯერ მოჰკლეს თვითონ იგი, მისი ტვინი შეჭამეს და შემდეგ კი თვითონაც დაიღუპნენ შიმშილითო. თრითინო კი სპარსეთის მეფედ გამოცხადდა. მან ცოლად ნანა შეირთო, სასახლეში წაიყვანა გამდელი, რომელიც უხვად დაასაჩუქრა და აგრეთვე მოსეც, რომლის გონივრული რჩევით ხელმძღვანელობდა სამეფოს მართვა-გამგეობაში".

„მოსეს რჩევით გაგზავნა მან სპასალარი არდამი ქართლში, რათა დაეპყრა ეს კურთხეული ქვეყანა. არდამმა დახოცა იქ მოპარპაშე ხაზარნი, დაიპყრა ყველა ქალაქები და ციხეები და აღაშენა კასპიის ზღვის ნაპირზედ ქალაქი დარუბანდი, რომელიც ნიშნავს „დახურულ კარს". მან შემოავლო ზღუდე მცხეთას: ეს პირველი შენობა იყო ქვიტკირისა. ამაზე წინათ ქართველები სახლებს ან ხისას აკეთებდნენ, ან კლდეში გამოკვეთილს და ან ქვისა და ალიზისას... ქვითა და კირით აღაშენეს ციხის კედელი არმაზში და ასევე დამთავრებულ იქმნა ციხის კედელი არმაზის მთის მიყოლებაზე მდინარე მტკვრამდე".

„ქართველნი მადლობით იხსენიებენ თრითინოს მეფობას, რომელსაც ქართულად აფრიდუნს უწოდებენ". ქართველების დახმარებით არდამმა განდევნა ხაზარები. განთავისუფლებულმა ხალხმა „მადლობის ნიშნად აფრიდუნი გაამეფა". დასასრულ გულბათი ურთავს: „პლინი ამბობს, რომ აფრიდუნის დროს დარიელის კარის სამხრეთით, მთაზე ამართულ იქნა ციხე, „პუმანიად" სახელწოდებული. ეხლა ქართველობა ამ ადგილს უწოდებს სოფელს „ქუმნის ციხეს". იქაური მცხოვრებნი ეხლაც აკეთებენ იარაღს, რომელიც განთქმულია მთელ აღმოსავლეთში. მეტადრე ცნობილია და დიდათაც ფასობს იქაური მოწამლული დანები, რომელსაც ბებუთს უწოდებენ".

აკაკი წერეთლის მიერ გამოქვეყნებული „თრითინოს" გაცნობამ კ. კეკელიძეს საფუძველი მისცა დაესკვნა: „შაჰნამეს ეპიზოდები, ზოგიერთები მაინც, უძველესი დროიდან დადიოდა ჩვენში. ამას, სხვა არა იყოს, ადასტურებს ზღაპარი „თ რ ი თ ი ნ ო" (ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1941, გვ. 87).

კ. კეკელიძის მოსაზრება განავითარა და მისი დასაბუთება სცადა სოლ. ყუბანეიშვილმა (ლიტერატურული და ხალხური ზააქიანი, „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მ ო ა მ ბ ე", ტ. XIV, № 6, 1953, გვ. 377-382). დაბეჭდვაზე ადრე თავისი ნაშრომი ს. ყუბანეიშვილმა სამეცნიერო საზოგადოებას გააცნო მოხსენების სახით (27.I.42). კ. კეკელიძის შენიშვნისა და ს. ყუბანეიშვილის მოხსენების გათვალისწინებამ გ. ახვლედიანს აფიქრებინა, რომ ა ვ ე ს ტ ა ს თ ა ნ „გარკვეულ კავშირშია ქართული ზღაპარი თრითინო" (ავესტა, ჲასნა 9, თარგმანი და კომენტარი, ლიტერატურული ძიებანი, II, 1944, გვ. 1-4). გ. ახვლედიანის ვარაუდით, „ავესტის ჲიმა მეფე იგივე ჩვენი ზღაპრის ჯემშიდია, ავესტის თრაეტაონა — იგივე ქართული თრითინო".

კეკელიძე-ყუბანეიშვილის თვალსაზრისი გაიზიარეს ქართველმა ირანისტებმა — დ. კობიძემ და ალ. გვახარიამ. დ. კობიძე პირდაპირ ამბობს: „შაჰნამეს სპარსულ რედაქციაში წარმოდგენილი ზოგი თქმულება რომ ჩვენში გაცილებით ადრე ყოფილა შემონახული, ვინემ შაჰნამე გაფორმდებოდა ახალ სპარსულ ენაზე, ამას **ნათლად ადასტურებს** თრითინოს ამბავი, რომელიც ჩვენში ძველად ყოფილა გავრცელებული და **ჩაწერილია** როგორც ქართული თქმულება" (ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, II, 1969, გვ. 102; კურსივი აქაც და ქვემოთაც ჩვენია — ა. ბ.). უნდა შევნიშნოთ, რომ დ. კობიძეს არ აქვს დასახელებული რაიმე წყარო. ალ. გვახარია თავის ჯერ გამოუქვეყნებელ სადისერტაციო ნაშრომში წერს: „ირანული ლეგენდები თავისებურად აირეკლა ქართულ ფოლკლორში. ამ მხრივ აღსანიშნავია ზღაპარი თრითინოს შესახებ. ზღაპარი **ჩაუწერია** და რუსულად გამოუქვეყნებია გულბათს (ოლღა გრუზიანსკაიას)... აქ მოთხრობილია აჟეჰაკისა და იბლისის დამეგობრების შესახებ" (სპარსული ხალხური დასთანების ქართული ვერსიები, თბ., 1970, გვ. 179. წყაროდ ალ. გვახარია იმოწმებს ს. ყუბანეიშვილის ნარკვევს).

ეტყობა, ფოლკლორისტი მ. ჩიქოვანიც იზიარებს კეკელიძე-ყუბანეიშვილის თვალსაზრისს. იგიც ზოგადად აცხადებს (უშუალო წყაროზე მიუთითებლად): „ჩვენში თრითინოს ზღაპარი არსებობს, რომელსაც კავშირი აქვს არა შაჰნამესთან, არამედ ძველს ირანულ ეპოსთან" (მიჯაჭვული ამირანი, თბ., 1947, გვ. 270; მისივე, ქართული ეპოსი, II, თბ., 1965, გვ. 202; მისივე, Амираниани, Тб., 1960, გვ. 196).

ამრიგად, წყაროზე მითითებით თუ მიუთითებლად და რაიმე ახალი საბუთის მოუხმობლად მკვლევარნი ჩვეულებრივ იმეორებენ კეკელიძე-ყუბანეიშვილის დებულებას „თრითინოს" უძველესი დროიდან წარმოშობის თაობაზე.

უწინარეს ყოვლისა, გასარკვევია გულბათის „თრითინოს" წყაროს საკითხი. ს. ყუბანეიშვილი ორგზის შენიშნავს, რომ „თრითინოს" ამბავი **ჩაწერილია** გულბათის მიერ (გვ. 378, 381). დ. კობიძეც ამბობს, რომ იგი „**ჩაწერილია** როგორც ქართული თქმულება" (გვ. 102). ალ. გვახარია მკითხველს არწმუნებს, რომ ზღაპარი თრითინოს შესახებ „**ჩაუწერია** და რუსულად გამოუქვეყნებია გულბათს" (გვ. 179). **ჩაწერა** (ჩაწერილია, ჩაუწერია) ფოლკლორისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის ენაზე სრულიად გარკვეული შინაარსის მქონე სიტყვა-ცნებაა. ეს სიტყვა-ცნება უსწოროდ არის მოხმობილი მკვლევარების მიერ. გულბათი არსად არაფერს ამბობს, თითქოს მან ჩ ა ი წ ე რ ა ლეგენდა

---

1 გულბათის წიგნიდან „თრითინო" გადმობეჭდა პროფ. მ. ჩიქოვანმა („თქმულებები და ლეგენდები", 1963 წ. რუსულ ენაზე).

2 ბრჭყალებში ჩასმული ტექსტები მოყვანილია „აკაკის კრებულის" მიხედვით.

თრითინოს ან სხვა ამბის შესახებ. წიგნის შესავალში ავტორი აღნიშნავს, რომ ძველი ლეგენდები და გადმოცემები მან შეკრიბა. ავტორის სიტყვებიდან ისიც კარგად ჩანს, თუ როგორ და საიდან შეკრიბა (თუ გამოკრიბა) ეს მასალები. გულბათი სინანულს გამოთქვამს, რომ მისი ნაამბობი არ არის სრულყოფილი, იგი იმედოვნებს, რომ გამოჩნდებიან ნიჭიერი ახალგაზრდა თანამემამულენი, რომლებიც არ დაიზარებენ აღადგინონ ამ ლეგენდების თავდაპირველი მომხიბლაობა. თავის ნაამბობს (მოყოლას) გულბათი უწოდებს „მოხუცის ლუღლუღს“, სხვაგანაც იგი ისევ და ისევ გულისტკივილით იმეორებს, რომ ხანდაზმულს, სნეულს, ხელმოკლეობითა და დარდით შეჭირვებულს სად შეუძლია გადმოსცეს, უკეთ, აღწეროს ძველი ლეგენდების ამოუწურავი საგანძურის შნო და ლაზათი („გრაცია“). აქ ერთი რუსული ციტატიც უნდა დავიმოწმო:

«У меня нет больше тех юных, пылких слов, тех нежных красок, которыми следует **писать** народные светлые картинки».

«**Я их пишу** только потому, что **их здесь никто не знает** и жаль будет, если, с моею смертию, они пропадут вовсе».

და კვლავ იმედი, იქნებ გამოჩნდეს ახალგაზრდა, დახელოვნებული მწერალი, რომელიც უფრო მიმზიდველს გახდისო მის მიერ მოყოლილ ამბავს. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ აკაკი წერეთელი გულბათის ნაშრომების თაობაზე ხმარობს გამოთქმას „ნაწერს“ („შენს ნაწერში...“).

გულბათის დამოწმებული სიტყვები აშკარად ცხადყოფს, რომ „ქართული ლეგენდები“ მას არვისგან არ ჩაუწერია: გულბათი მოგვითხრობს, გვიყვება (მისი სიტყვით, უბრალო, მიამიტური ენით) ქართველთა ძველი საამაყო ადათჩვევებისა და სასახელო ზნეობის ამსახველ ამბებს. შესაძლებელია ზოგი რამე მას ზეპირადაც ჰქონდა გაგონილი, მაგრამ უმთავრესი ცოდნა მაინც ნაკითხობით, წიგნებით შეუძენია. აკაკი წერეთელი ხომ გარკვევით მიგვანიშნებს გულბათის „ლეგენდების“ წყაროებზე (აკაკი პირადად კარგად იცნობდა ოლღა გრუზინსკაიას). აკაკის მოწმობით, „ლეგენდების“ ავტორი იყო დიდად განათლებული პირი, უცხო ენების მცოდნე, რომელიც მოწყდა მშობლიურ ნიადაგს, არ იცოდა დედაენა, თუმცა ქართველურად უცემდა გული, ბევრს კითხულობდა, სწავლობდა. ასე გაუცნია მწერალს საქართველოს წარსული, ასე „გამოუკრებია“ და დაუმუშავებია მას ის მასალები, რაც შეადგენს „ქართული ლეგენდების“ შინაარსს.

საყურადღებო ის არის, რომ ს. ყუბანეიშვილიც აღიარებს, გულბათს გარკვეულად უსარგებლია რიგი ლიტერატურული წყაროთი, სახელდობრ, ლეონტი მროველისა და პლინიუსის მასალებით. მკვლევარმა ერთმანეთს შეუდარა ლეონტის ცნობები გულბათის მონათხრობის „ბოლო ნაწილს“ (აფრიდუნის მიერ არდამის გაგზავნა ქართლში და მისი საქმიანობა) და ასეთი დასკვნა გამოიტანა: „როგორც ვხედავთ, ხალხური (!) და ლიტერატურული ცნობები ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს. ამ შემთხვევაში ჩამწერს (!) ლეონტის ცნობა უნდა ჰქონდეს გამოყენებული, რომელსაც ის გაეცნობოდა ბროსეს ფრანგული თარგმანით“ (გვ. 381). სავსებით სწორი დასკვნაა. ასევე სწორია ს. ყუბანეიშვილის მოსაზრება, რომ გულბათი პლინიუსის ცნობებსაც იყენებდა (იქვე). ამისდა მიუხედავად, ს. ყუბანეიშვილი დაბეჯითებით ცდილობს დაგვარწმუნოს თითქო „თრითინოს“ უმთავრესი ამბავი ზეპირი გზით არის ჩვენში შემოსული და ჩაწერილია გულბათის მიერ. ფრიად მნიშვნელოვანია ს. ყუბანეიშვილის დაკვირვება, რომ გულბათის „ჩაწერილ“ ლეგენდას „ვარიანტები არ მოეპოვება“ (გვ. 381).

იბადება კითხვა, როგორ გაქრა ასე უკვალოდ ეს საინტერესო ამბავი: როგორ მოხდა, რომ „თრითინოს“ ნაკვალევი არსად ჩანს ფოლკლორით ეგოდენ მდიდარ საქართველოში, ხოლო იგი ჩაუწერია უცხოეთში მცხოვრებსა და მშობლიური ენის უცოდინარ პირს? ნუთუ მარტო ეს გარემოება არ ხდის საეჭვოდ „თრითინოს“ ფოლკლორული წარმოშობის ვერსიას?! მერე და, თუ ზააქის შესახებ თქმულება ძველთა ძველი დროიდან გავრცელდა ჩვენში, როგორ შეინარჩუნა ხალხურმა მეხსიერებამ საუკუნეების მანძილზე სრულიად უცვლელად თქმულების მთავარი პერსონაჟის ძნელად გამოსათქმელი სახელწოდება აჟდეჰაკი? (თარგმანით ის ერთგვარად გამარტივებულია — აჯეჰაკი). აჟდეჰაკის ვითომც მამობილ სპარსეთის შაჰს გულბათის მიერ „ჩაწერილი“ ლეგენდით ეწოდება ჯემშიდი. ყველა ქართული წყარო კი მის სახელს იცნობს ფორმით ჯიმშედი. ჯემშიდი სწორი სპარსული მწიგნობრული ფორმაა, მაგრამ ქართულ მწერლობაში მან ფეხი ვერ მოიკიდა, რალა ხალხურმა თქმულებამ შეუნახა უცვლელად ეს მწიგნობრული იერი? როგორც ვთქვით, წმინდა მწიგნობრულია ფორმა აჟდეჰაკი. ს. ყუბანეიშვილს მხედველობიდან არ გამორჩენია ის გარემოება, რომ აჟდეჰაკის ამბავი „ჩაწერილი“ აქვს ძველ სომეხ ისტორიკოს მოსე ხორენელს (გვ. 380). ოღონდ, შენიშნავს, აჟდეჰაკი ზააქის ეპითეტია, სომხურში ეს პერსონაჟი სრული სახელწოდებით არის მოხსენიებული — „ბიურასპ აჟდაჰაკად“. ქართულში სახელწოდება შეცვლილია, აქ იგი აჟდაჰაკად ანუ აჯეჰაკად იწოდება მხოლოდ. ს. ყუბანეიშვილის სიტყვით, „როგორც ირკვევა, ზააქი ამ ორი სახელით ყოფილა ჩვენშიც ძველად ცნობილი“.

ჯერ ერთი, ს. ყუბანეიშვილი გარკვევით არაფერს ამბობს იმის თაობაზე, თუ საიდან ირკვევა (—„როგორც ირკვევა“!), რომ ზააქი ჩვენში ორი სახელით იყო ცნობილი. თითქო საამისო საბუთს მკვლევარს აძლევს ლეონტი მროველი: XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი „ზააქის ნაცვლად ბევრასპის (!) აღნიშნავსო“ (380). თანაც ირწმუნება, ლეონტი ზეპირი ცნობებით კი არ ხელმძღვანელობდა, არამედ პირდაპირ ფირდოუსის შაჰნამეთიო; შაჰნამეში კი ზააქია ნახსენებიო, ამბობს და სვამს კითხვას: „მაშ, რაშია საქმე?“ პასუხი მზადაა: „საფიქრებელია, რომ ლეონტი მროველმა **განგებ შეცვალა ზააქი ბევრასპად**. ალბათ მის დროს ზააქი ამ ეპითეტით ყოფილა ფართოდ ცნობილი. **რა თქმა უნდა, თქმულების გზით,** და ფირდოუსის გმირი რომ **ფართო მასისათვის (!) ყოფილიყო გასაგები,** ამიტომ უცნობი ზააქი შეცვალა ცნობილ ბევრასპად“ (გვ. 380).

ამრიგად, ს. ყუბანეიშვილის თანახმად, სომხური წყარო (მოსე ხორენელი) ზააქს უწოდებს **ბიურასპ აჟდაჰაკს**, ქართული ხალხური თქმულება — **აჟდაჰაკს ანუ აჯეჰაკს**, ლეონტი მროველი კი — **ბევრასპის თუ ბევრასპს**.

ს. ყუბანეიშვილის ფიქრით, ლეონტი მროველს ზააქის სახელი ბევრასპად იმიტომ შეუცვლია, რომ მაშინ ზეპირი თქმულების კვალობაზე ზააქი სწორედ ამ სახელწოდებით ყოფილა ფართოდ ცნობილი („ფირდოუსის გმირი რომ ფართო მასისათვის ყოფილიყო გასაგები, ამიტომ უცნობი ზააქი შეცვალა ცნობილ ბევრასპად“). კეთილი და პატიოსანი. აღნიშნულის გამო ჩვენ გვებადება რამდენიმე კითხვა;

1. ნუთუ ლეონტი მროველი მართლაც „ფართო მასისათვის“ წერდა თავის საისტორიო თხზულებას, რომ იმის გემოვნებისა და ინტერესებისათვის შეეფარდებინა თავისი მონათხრობი?!

2. უნდა ვიცოდეთ, რომ ბევრასპს უწოდებს ზააქს თვითონ ფირდოუსიც. პოეტი საგანგებოდ განმარტავს ამ ზედწოდების შინაარსს, ბევრასპი ფალაურად ათი ათას ცხენს ნიშნავსო (შაჰნამე სპარსულ ენაზე, I, 84-85, მოსკოვი, 1960). საქმე ისაა, რომ ზააქი ცხენის დიდი ჯოგის პატრონი იყო, ამიტომაც შეურქმევიათ ბევრასპი: ამ სიტყვა-კომპოზიტის პირველი ნაწილი **ბევრ** ნიშნავს ათი ათასს (აქედანაა ქართული ბევრი), **ასპი,** ცხენია (შდრ. **ასპარეზ**). რა თქმა უნდა, ფირდოუსი ხშირად ხმარობს ზააქის მეორე ეპითეტს — აჟდეჰაკს, ოღონდ ახალი სპარსული ფორმით — აჟდეჰა. თუ იმასაც მოვიგონებთ, რომ ს. ყუბანეიშვილის სწორი მოსაზრებით, ლეონტი მროველი იცნობდა ფირდოუსის შაჰნამეს და იმით სარგებლობდა, ქართველი ისტორიკოსი იქიდანვე (შაჰნამედანვე) აიღებდა ზააქის სახელწოდება ბევრასპსაც. ს. ყუბანეიშვილი მაინც დაჟინებით ამბობს, შაჰნამეში ზააქია ნახსენები, თქმულებაში აჯეჰაკად ყოფილა ცნობილი ის გმირი, რომელსაც ფირდოუსმა ზააქი დაარქვა (გვ. 380). უცნობი ზააქი ქართულში შეცვლილია ცნობილი ბევრასპით ზეპირი თქმულების ზემოქმედების შედეგადო.

ს. ყუბანეიშვილის მსჯელობა ლოგიკის კანონს არ ეგუება: თუ ლეონტი მროველი ფირდოუსის შაჰნამეთი სარგებლობდა, როგორც ვთქვით, იქიდანვე აიღებდა ეპითეტ ბევრასპს. რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ეპითეტს ისტორიკოსი იმ თქმულებას დაესესხებოდა, რომლის არსებობა ჯერ კიდევ დასამტკიცებელია. ს. ყუბანეიშვილს უნდა მოეხსენებოდეს, რომ შაჰნამე იცნობს როგორც ზააქს, ისე ამ გმირის ორივე ეპითეტს — აჟდეჰასა და ბევრასპს. ს. ყუბანეიშვილი შაჰნამეს ქართული ვერსიით სარგებლობდა და ეს მნიშვნელოვანი გარემოება ველარ გაითვალისწინა.

3. და ბოლოს: თუ ძველი თქმულებით ზააქი მართლაც იმდენად ფართოდ იყო ცნობილი ეპითეტით ბევრასპი, რომ ლეონტი მროველიც კი აიძულა გმირისათვის სახელი შეეცვალა, რატომ არ შერჩა თვითონ თქმულებას ეს პოპულარული სახელწოდება (ბევრასპი) და გულბათმა აჟდეჰაკად „ჩაიწერა“ იგი? რად დაიკარგა თითქო ცნობილი და ფართოდ გავრცელებული ბევრასპი და რა გზით გაჩნდა იმის სანაცვლოდ აჟდეჰაკი? საიდან აიღო გულბათმა სახელი აჟდეჰაკი? ხალხურ გადმოცემაში ხომ მისი არსებობა მოსალოდნელი არ იყო, იქ გვქონია ბევრასპი?! როგორ მიიღო და საუკუნეების მანძილზე უცვლელად როგორ შეინახა ხალხმა წმინდა მწიგნობრული ფორმები აჟდეჰაკი და ჯემშიდი?

თუ ყოველივე ამას გავითვალისწინებთ, მაშინ ცხადი გახდება, რომ გულბათს არავითარი ხალხური ლეგენდა არ ჩაუწერია, ის სარგებლობდა რუსულ და უცხო ენებზე არსებული მწიგნობრული წყაროებით. რასაკვირველია, მისი უმთავრესი წყარო იყო ლეონტი მროველი (ფრანგული თარგმანის მეშვეობით), მას უნდა ესარგებლნა მოსე ხორენელის ისტორიითაც (1858 წელს დაიბეჭდა მოსკოვში ხორენელის ემინისეული თარგმანი). საფიქრებელია, რომ სწორედ აქედან აიღო გულბათმა თავისი პერსონაჟის სახელწოდება აჟდეჰაკი. გულბათისათვის თარგმანების საშუალებით ხელმიუწვდომელი არ დარჩებოდა არც თვითონ სპარსული წყაროები, მას ადვილად შეეძლო გაცნობოდა ავესტასა და შაჰნამეს, მწიგნობრული წყაროებიდან აქვს აღებული გულბათს თავისი მოთხრობის პერსონაჟთა სახელები: იბლისი, აჟდეჰაკი, ჯემშიდი, აფრიდუნი. ამავე ლიტერატურული წყაროებიდან მომდინარეობს აჟდეჰაკის მხრივ ჯემშიდის მოკვლის, მხრებზე გველების ამოსვლის, შურის გების, დემავენდის მთის კლდეზე მიჯაჭვის ამბები (შესაძლებელია, რომ თრითინოც თრაეტაონას გააზრება იყოს). მწიგნობრული წყაროებით ცნობილ ამ სიუჟეტში გულბათს ჩაურთავს მის მიერ მოგონილი ამბავი თრითინოსა და ნანას რომანტიკული სიყვარულის თაობაზე. ავტორის ფანტაზიის ნაყოფია მოთხრობის პერსონაჟები — მოსე, ებრაელი გამდელი. რომ მისი მოთხრობა საკითხავად უფრო საინტერესო და მიმზიდველი ყოფილიყო, მწიგნობრული წყაროებით კარგად ცნობილი ამბავი ოლღა ბაგრატიონმა შეავსო მის მიერ მოგონილი ახალი ეპიზოდებით, კერძოდ, თრითინოსა და ნანას სიყვარულის ისტორიით. ამდენად, „თრითინოსაც“ და „ქართული ლეგენდების“ დიდ ნაწილს გარკვეული ლიტერატურული მნიშვნელობა აქვს, იგი ავტორის შემოქმედებითი შრომის ნაყოფია, თუმცა ზოგჯერ მწერალი უთუოდ სარგებლობდა საკუთრივ ფოლკლორული მასალებითაც (ასეთია, მაგალითად, ეთერიანი). „ქართული ლეგენდების“ მწიგნობრული თუ ფოლკლორული წყაროების ძიება უნდა გაღრმავდეს. ურიგო არ იქნებოდა ოლღა ბაგრატიონისა და მისი ლიტერატურული მოღვაწეობის დაწვრილებითი, მონოგრაფიული, შესწავლა.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ილუსტრაცია კონსტანტინე გამსახურდიას რომანისათვის „დიდოსტატის მარჯვენა“. მხატვარი ელგუჯა ბერძენიშვილი.



შემოდგომა.



პეიზაჟი.



ეტიუდი.



ეტიუდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გურამ ქუთათელაძე

გურამ ქუთათელაძე ახალი ქართული ფერწერის შესანიშნავი ოსტატია. მან საფუძვლიანი განათლება მიიღო რუსეთისა და საქართველოს უმაღლეს სამხატვრო სასწავლებლებში. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ომისშემდგომ წლებში. თავის ნაწარმოებებში მხატვარი ჭეშმარიტი შთაგონებით აცოცხლებს ლანდშაფტსა თუ ადამიანს, მისი ყოველი სურათი გამთბარია ღრმა სიყვარულით მშობლიური ბუნებისა და ხალხისადმი.

ქუთათელაძისათვის ბუნება, ისტორია და აწმყო ხალხისა ერთი მთლიანი და განუყოფელი სიცოცხლეა; იგი განეკუთვნება ქართველ მხატვართა იმ რიცხვს, რომელთათვისაც მხატვრული აზროვნების ამოსავალს გამოსახვის საშუალებათა მეტაფორულობა წარმოადგენს. სახვითი ხელოვნების ფორმის ყოველ ელემენტს მის ნაწარმოებში იგივე ფუნქცია აკისრია, რაც პოეზიაში სიტყვას, მეტაფორას.

გ. ქუთათელაძის შემოქმედება მრავალფეროვანია, მან უკვე სთქვა თავისი სიტყვა საპორტრეტო, საპეიზაჟო ჟანრებში და ისტორიულ-რევოლუციურ თემებზე შექმნილ სურათებში.

მხატვრის კომპოზიცია „იარაღის არალეგალური გადატანა" (1953 წ.) თავისი დიდი რომანტიკულობით, პერსონაჟთა ფსიქოლოგიური დახასიათებით დღესაც რჩება ქართული სახვითი კულტურის ერთ-ერთ საუკეთესო ქმნილებად.

ქუთათელაძის პეიზაჟი გამოირჩევა თავისი განწყობილებით და ფილოსოფიური სიღრმით.

შალვა კვასხვაძე



ნატურმორტი.



ნატურმორტი



ზემო ქართლი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ილუსტრაცია კონსტანტინე გამსახურდიას რომანისათვის „დიდოსტატის მარჯვენა". მხატვარი ელგუჯა ბერძენიშვილი.

# სიმონ ჯანაშია

ეროვნული ბიბლიოთეკა



## პორტრეტის მონახაზის ცდა

სიმონ ჯანაშიას გავეცანი ოცდათორმეტი წლის წინათ, როდესაც საასპირანტო გამოცდებს ვაბარებდი ახალდაარსებულ ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში. გარედან მისული კაცი ვიყავი და მან, როგორც ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, რა თქმა უნდა, ჩემთან წინასწარ გამოსაუბრება მოიწადინა.

იმ წარმოსადეგს, მამაცურად მშვენიერს, დარბაისელსა და შინაგანი ძალით ალსავსე ვაჟკაცს ჯერ კიდევ ჩემი მოწაფეობა-სტუდენტობისას ვიცნობდი და დიდად ვცემდი პატივს შორიდან. დავსწრებოდი მის რამდენსამე პრინციპულსა და გონივრულ გამოსვლას არც თუ უწყინარ დისპუტებში; დიდი კმაყოფილებით მომესმინა მისი შთამაგონებელი, ნათელი და მტკიცედ ნაქსოვი საჯარო ლექცია-მოხსენებანი, თან კი არ ვიცოდი, რომ ის სავსებით ჩამოყალიბებული და უკვე სახელოვანი პროფესორი სულ თოთხმეტი წლით იყო ჩემზე უფროსი, 1900 წელს დაბადებული.

გამოცდები რომ ჩავაბარე, სიმონმა მიმიხმო თავის კაბინეტში. ჩემდა საუხერხულოდ, ზეზე წამოდგა, დაკვირვებით, მაგრამ არა შემაწუხებელი დაჟინებით შემავლო სახეზე თვალი და ხელის ლონივრად ჩამორთმევით მომილოცა წარმატება. მერე დაჯდომა შემომთავაზა და მითხრა, რომ ასპირანტურას გავივლი ჩემი მთავარი გამომცდელის, ძალიან კარგი მეცნიერისა და ადამიანის, პროფ. გიორგი ნიორაძის ხელმძღვანელობით. „მაგრამ, — დასძინა მან თვალგალიმებით, — ეს სრულიადაც არ ნიშნავს თქვენი ინტერესების შემოფარგვლას მარტოდენ ქვის ხანით, როგორც თურმე აპირებთ! ხომ ხედავთ, თვით თქვენი მომავალი მასწავლებელი, დრო და დრო, სხვა პერიოდებზედაც არა ნაკლებ ნაყოფიერად მუშაობს. ახლა ჩვენ ისეთ დიდ საქმეს შევეჭიდეთ მცხეთაში, რომ ყოველი ახალი სერიოზული ახალგაზრდის ჩაბმა იქ შარშან დაწყებულ გათხრაში ერთ რამედ გვილირს, თქვენ კი ჯერ სულ მეოთხე იქნებით ჩვენი არქეოლოგი ასპირანტი და „დედა მცხეთაში", — ისევ ოდნავ გაილიმა, — ყველას მოგიწევთ გარჯა. იქ კი, მოგეხსენებათ, ჩვენთვის ბევრად უფრო მახლობელი დროის ძეგლები ძევს მიწაში, ვიდრე მღვიმეებშია!"

ამგვარი, გეზის ტაქტიანად მომცემი დამოძღვრის შემდეგ ფრთაშესხმული შევუდექი მეცადინეობას — ჩემთვის, ცოტა არ იყოს, ახალ დარგში, გიორგი ნიორაძის მართლაც გულისხმიერი ხელმძღვანელობით. არქეოლოგიამ დიდად გამიტაცა და არჩევანისა ფრიად კმაყოფილი ვიყავი. სიმონს იშვიათად თუ ვხვდებოდი, მაგრამ მან „დაუსწრებლივაც" ზედმიწევნით იცოდა ყოველი ჩვენგანისა და კერძოდ ასპირანტების ამბავი.

1938 წლის ზაფხულში ჩამრიცხეს იმ მცირე ჯგუფში, რომელმაც წინა წელს არმაზისხევის შესართავთან ანტიკური აბანო და სხვა ძეგლები გამოავლინა და ცხოველი გამოხმაურება აღძრა. მას მეთაურობდა ლენინგრადში ასპირანტურაგავლილი, ჩვენი ინსტიტუტის უფროსი მუშაკი ალექსანდრე კალანდაძე — ერთი იმ ახალგაზრდათაგანი, თავიდანვე რომ მოიხვეჭეს სიმონის სრული ნდობა. შემოდგომაზე ის ჯგუფი მთლიანად შეერწყო მცხეთის ახალ ექსპედიციას.

ჩვენ საზოგადოებას — და არა მარტო მეცნიერულ წრეებს — კარგად მოეხსენება, თუ რა დიდი ნაყოფი გამოიღო იმ რთული, შესანიშნავად აწონილ-დაწონილი ამოცანების გადაჭრამ, რომელიც ხელმძღვანელობამ დაუსახა მცხეთის ექსპედიციას. იგი დღესაც ცოცხალი, მოქმედი ორგანიზმია და თავისი წარმატებული შრომის მესამედს საუკუნეს ითვლის უკვე, მრავალი სახახელო საქმითა და აღმოჩენით, „ვერცხლისგან ანაწონები" მეცნიერული საგანძურის შემქმნელი. მისი ნამდვილი საფუძველ-ჩამყრელნი და დამავაჟკაცებელნი ივანე ჯავახიშვილი და სიმონ ჯანაშია იყვნენ.

მცხეთის ექსპედიციაში ათეულობით ქალსა თუ ვაჟს მიუღია მონაწილეობა, სხვადასხვა დროს. ზოგი მათგანი ომმა შეიწირა, თითო-ოროლამ გული ველარ დაუდო ველად მუშაობას, მაგრამ დიდი უმეტესობა მართლაც შენაძენი გამოდგა ქართული არქეოლოგიისათვის და ბევრი მათგანი დღეს სასახელო, გამძღოლ მეცნიერთა სახით გვევლინება, ხოლო აქტიურად მომუშავე არქეოლოგთა საერთო რიცხვმა ასს მიაღწია ჩვენში. თითქმის ყველა მათგანისათვის სწორედ მცხეთის ექსპედიცია იყო პირველი სერიოზული სკოლა.

სიმონი — მარტო, ან კოლეგების თუ სხვათა თანხლებით — ხშირ-ხშირად ჩამოაკითხავდა ხოლმე ექსპედიციას. მახსოვს, რა გულით შემოგვნატროდა, გარუჯულებსა და გაკაჟებულთ რომ დაგვინახავდა: „ნეტავი თქვენ, დღე და ღამე რომ ველადა ხართ და ეგრე მზედაკრული და დაკუნთულები ჯანმრთელად, ნამდვილი სპორტსმენებივით გამოიყურებითო!" ამ ნათქვამის ფარული მტკივნეულობის ნამდვილი ფასი ვიგრძენით სულ რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ის ნებაგაუტეხელი კაცი ჩვენ თვალწინ ფიზიკურად დაგვითრგუნა მძიმე სენმა.

1940 წლის ბრწყინვალე, მაგრამ ივანე ჯავახიშვილის უეცარი თავზარდამცემი სიკვდილით ჩამწარებული კამპანია ექსპედიციას თითქმის შუა ზამთრამდე გაუგრძელდა, ისე რომ ნაბდებში გამოხვეულნი და ჩაუქრობელი ცეცხლის თანხლებით-ღა ვმუშაობდით ველზე. სიმონი ერთხელ კიდევ გვეწვია, ჯერაც დაღვრემილი. სათითაოდ მოგვიკითხა, „ძალიან ხომ არ გიჭირთ ამ ამინდებშიო?" ახალი განათხარი დაათვალიერა, მონაპოვარი გასინჯა და გამომშვიდობებისას გვითხრა: „ყოჩაღად იყავით, თქვენ იცით! თავს მოუარეთ და ისე იმუშავეთ. ამ ერთ თვესაც ვთხაროთ, ბარემ ეგებ მოვათავოთ ეს მდიდრული უბანი და მერე კი საგაზაფხულოდ გადავდოთ. ოღონდ ზამთარში დასვენებას ნუ ელით: ახლა სხვა დიდი საშური საქმე გვაკისრია: ახალგაზრდები ხართ და არა გიშავთ რა, ეგრევე ერთობლივ უნდა ჩავუსხდეთ ჩვენი მონაპოვრის კარგი გამოფენის მოწყობას. საბჭოთა საქართველოს ოცი წლის თავი გვიახლოვდება და, რას იტყვით? ხომ ჩვენც შეგვიძლია, ცოტა რამ ვაჩვენოთ იუბილეზე ჩამოსულ სტუმრებს? მე მგონია, ჩვენი კოლექტივი ამითაც ღირსეულ საჩუქარს მიართმევს დაბადების დღეზე... საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას... დიახ!.. გადაწყვეტილი საქმეა და თქვენთვისაც მომილოცავს!"

დაგვიტოვა ეს, დანამდვილებული და ძლიერი სიხარულით მოსასმენი ამბავი, თავი დაგვიკრა დინჯად ყველას და მანქანისაკენ გაემართა.

იმ გამოფენის მოწყობაზე სიმონმა, მიუხედავად მოუცლელობისა და დრო და დრო შეუძლოობისა, ისე გულმოდგინედ იმუშავა და დარაზმულნი ჩვენც გვამუშავა, რომ ორიოდე თვეში მართლაც დიდი საქმე გაკეთდა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (ახლა რომ სიმონის სახელს ატარებს) მანამდე არსებულს, რუსთაველის ეპოქის კულტურის შესანიშნავ გამოფენას არანაკლები ექსპოზიცია ამოუდგა მხარში: „მცხეთა და თრიალეთი — საქართველოს უძველესი კულტურული კერები". იგი გაიხსნა 1941 წლის თებერვალში და დიდხანს წარმოადგენდა არსებითად პირველ გამოქვეყნებას ორი სათანადო ყოვლად ნაყოფიერი ექსპედიციის აღმონაჩენ-ნააზრევისა და მას ამ მხრივაც ისევე ეწაფებოდნენ სპეციალისტები თუ სხვანი, როგორც ორი წლის შემდეგ სიმონის რედაქციით გამოსულ „საქართველოს ისტორიას" — მეტადრე მის საწყის თავებს, არქეოლოგიურ ძეგლებს რომ მოიცავენ.

სულ მალე მძვინვარე ომი დაგვატყდა თავს. ყმაწვილკაცობის დიდმა უმეტესობამ ფრონტს მიაშურა და ორიოდე-ღა თუ დარჩა ვინმე ინსტიტუტსა და მუზეუმში. მალე მწვავედ დაისვა მუზეუმის ფონდებისა და გამოფენების გასახიზნავად გამზადების საკითხი და სიმონის დავალებით არქეოლოგებმა სასწრაფოდ დაამუშავეს, ამ მხრივ, მცხეთური მონაპოვარიც. საბედნიეროდ, კოლექციები მალევე დაუბრუნდა მუზეუმს და, მიუხედავად ყოვლად მძიმე პირობებისა, რამდენიმე კაცი განათხართა მეცნიერულ შესწავლასაც კი შეუდგა, გარდა ვრცელი კატალოგიზაციისა. სიმონს ძალიან ახარებდა ენთუზიაზმის ასეთი ჩაუქრობლობა და მეტიც დაავალა არქეოლოგებს: მცხეთის ექსპედიციის შედეგების პუბლიკაციისათვის სამზადისი. „ თქვენ დაიწყეთ, ფრონტზე წასული მეგობრებიც მალე გამარჯვებულნი დაგვიბრუნდებიან და ერთად დააწინაურებთ მაგ შესანიშნავ საქმეს. აბა, უკეთესი გასაკეთებელი რა გექნებათ? შესავალი წერილი კი ჩემზე იყოსო!"

მისი ყოველთვის გამამხნევებელ-წამაქეზებელი, მეგობრულად ტაქტიანი შემოძახილებისა და ყოველნაირი იმხანად შესაძლო დახმარების წყალობა იყო, რომ ჯერ კიდევ შუა ომიანობის დროს ორი არქეოლოგიური საკანდიდატო დისერტაცია იქნა ინსტიტუტში დაცული. მაგრამ განსაკუთრებით იმან აღვაფრთოვანა, რომ 1943 წლის შემოდგომაზევე შეიძლო სიმონმა თხრის გაგრძელება არმაზისხევთან, ხოლო 1944 წელს — ბაგინეთ-არმაზციხის შესწავლის დაწყებაც—, თავისი უკვე თითქმის ყოველდღიური, აქტიური მონაწილეობითა და ახალგაზრდობის შემოკრება-დაწინაურებით. თან ყოველივე ილონა იმისა-

თვის, რომ ექსპედიციას არც ალჭურვილობა მოჰკლებოდა და არც ე. წ. „მომარაგება“ (იმხანად ფრიად მნიშვნელოვანი რამ). უნდა დავძინო, რომ 1948 წლისა და მომდევნო კამპანიებიც ფრიად შინაარსიანი აღმონაჩენით დაგვირგვინდა.

მახსენდება უკანასკნელად ყოფნა ველზე სიმონთან ერთად 1946 წლის სექტემბერში, ბაგინეთის კლდეკარში გამოვლენილი ქვის სარკოფაგის გახსნისას. სალამომდე გრძელდებოდა ის ჩვენი მორიგი „საველე დღესასწაული“, მრავალი საპატიო სტუმრის თანდასწრებით. სიმონს თითქმის არ ჩაუმუხლებია, მიუხედავად შეუძლებლობისა, ისე იყო ჩვენთან ერთად გატაცებული საქმით. სახეზე ერთთავად ეფინა ჩვეულებისამებრ შეკავებული და თან უკვე ძალზე სევდიანი, მოქანცული, თვალმინისლული ღიმილი... შემოდგომის ის, თითქოს საამური, მაგრამ თან ღრმა შინაგანი წუხილით აღსავსე დღე დაუვიწყარია...

1948 წლიდან მოკიდებული 1948 წლამდე (მცირე ხარვეზით) ვიმუშავე ჩემი გამომზრდელი ინსტიტუტის სწავლულ მდივნად, სიმონის დავალებით. ამ გარემოებამ განსაკუთრებით დამაახლოვა სიმონთან, ჩემდა საბედნიეროდ, და უამრავი რამ დამიტოვა მეხსიერებაში—მისი, როგორც ინსტიტუტის შემქმნელ-სრულმყოფელისა და წინამძღოლის შესახებ.

ინსტიტუტის წინარეისტორიასაც რომ გავეცანი, საჭიროებისამებრ, ჩემთვის სრულიად უეჭველი შეიქნა, რომ ის შესანიშნავი დაწესებულება თითქმის „ცივ ქვაზე დაესახლებინა“ (მოხდენილი დასავლური თქმა რომ მოვიშველიოთ) სიმონს, მის თაოსნობას, საზოგადოებრივ ტაქტსა და ავტორიტეტს, პრინციპულობა-შემართებას და მუშაკთა შეუცდომელი შერჩევის უნარს.

თვით სიმონიცა და მის ირგვლივ შემოჯარული თანამოაზრე-თანამოსაქმენიც — მასზე უფროსნიც, ტოლნიც და უმცროსნიც — ახალი ქართველთმცოდნეობის ღირსეული დაწინაურებისათვის მებრძოლნი იყვნენ და ინსტიტუტის სწავლული კონსულტანტის, თითქმის ყველა მათგანის გამომზრდელის ივანე ჯავახიშვილის საზოგადო რჩევა-მეთვალყურეობით მუშაობდნენ. მუშაობდნენ გატაცებით, ხელახლა აფეთქებული ძალ-ღონით, თავდაუზოგავად, ხალისიანად. მეცნიერული შემოქმედება დუღდა და გადმოდუღდა, ნაბეჭდი პროდუქცია უცბად მოზღვავდა და ძალიან მაღალ დონეზე გაიმართა. ატმოსფერო ხომ ნანატრი იყო ინსტიტუტში: წმინდა, საქმიანი, მეგობრული.

სიმონი ძმასავით და მამასავით ეპყრობოდა კოლექტივის ყველა წევრს, მხცოვან პროფესორთაგან ვიდრე სამდივანმწიგნობრომდე (ასე უწოდებდა იგი კანცელარიას ოფიციალურ ანგარიშში!) და მემანქანეთა ბიურომდე. ვისაც კი რამე გაუჭირდებოდა, ან ჯანმრთელობა უღალატებდა, სიმონის დაუყოვნებელი ზრუნვის საგნად იქცეოდა:

— ეგ კაცი სულ კარგად უნდა გვყავდეს: მაგას რომ რამე დაემართოს, ვერც ერთი ჩვენგანი ვერ შეეცნაცვლებით, ისეთი ნიჭის მქონე, იმოდენა რამის მცოდნე და გამკეთებელია!

— როგორმე უნდა შევუწყოთ ხელი და ფიზიკურად შემოვინახოთ ამ ომიანობა-გაჭირვებაში ჩვენი ჯერ უცენზო მუშაკები!

— ნეტამც ეს მოხუცი ერთი ათიოდე წელს გვიცოცხლა და ჩვენს ბედს ძაღლი არ დაშყეფს! (მოხუცი, საბედნიეროდ, დღესაც დგას და ნაყოფიერად მუშაობს).

— ადგილკომმა როგორმე ფრთხილად გამოიძიოს, ამა და ამ ასპირანტს შინ მძიმე ვითარება ხომ არა აქვს? რაღაც შეუფერხდა მუშაობა ამ ბოლო დროს და თვითონ კი არაფერს გვეუბნება. თუ გაირკვა, რომ რამე უჭირთ, უნდა დავეხმაროთ!

— იცით, რა? მოდით, აი ეს წამალი სცადეთ: მე საკმაოდ მშველის და ეგებ თქვენც გარგოთ?

თან ისიც უნდა ითქვას, რომ არც ერთი ეს, სიმონისათვის ფრიად დამახასიათებელი წარმონათქვამი და არც სხვა მრავალი არ დარჩენილა ლიტონ სიტყვად: მათ ყოველთვის აქტიური და პრაქტიკული ნაბიჯები მოსდევდათ. მთავარი კი ის არის, რომ ასეთი ნაბიჯები ზოგჯერ ავადობაზე გაცილებით უფრო მძიმე გასაჭირიდან დახსნის მხრივაც ყოფილა გადადგმული...

ყოველივე ამის გამო ინსტიტუტი ერთ დიდ ოჯახად და მშობლიურ თბილ კერად მიგვაჩნდა ყველას (და ეს დღემდე გრძელდება!). თვით სიმონისათვის კი იგი თითქმის მესამე ღვიძლი და სათუთად ნაზარდი შვილი იყო. მწამს, არ ვაზვიადებ!..

მაგონდება, ერთი საკანდიდატო დისერტაციის შემდეგ რა კმაყოფილი შემობრუნდა სიმონი დირექციაში (ოპონენტიც იყო) და თქვა: „აი, რა მშრომელი და მიზანმსწრაფველი, დალაგებით მოქმედი ყმაწვილია, ნიჭს გარდა! ეგ შორსაც წავა და ბევრსაც გააკეთებს!“ (არც აქ შემცდარა: ის ყმაწვილი ახლა ფრიად სახელგანთქმული და აღიარებული მეცნიერია).

ერთხელ სიმონმა სიამოვნებით გვითხრა: „რა კარგია, ეს არქეოლოგები რომ ყველა თავ-თავისებურად და თან კი ერთნაირად მდიდარი, ძარღვიანი ქართულითა წერთ — არც ზედმეტი ბავშვური სიმარტივით, ზოგს რომ დიდი რამ ჰგონია, და არც სქოლასტიკური სიმძიმით! თქვენ ხელთ რომ ძეგლებია, სწორედ ეგრე წერა შეშვენით!“ ეს, ასე ვთქვათ, კოლექტიური შექება ორკეც საამური იყო: ქართული ისტორიული პროზის ერთერთი შესანიშნავი დიდოსტატი და მრავალი რამის თვალმახვილი, ფაქიზი რედაქტორი გვეუბნებოდა.

ერთ ჩვენ ამხანაგზე, ასპირანტურაში ახალშემოსულზე, მხიარულად წამოიძახა: „ერთი ნიჭიერი ქართლელიც გაიზარდოს ჩვენს ინსტიტუტში, თორემ ეს კუთხე რაღაც დაგვეჩაგრა და არ ეგების!“ (ის ასპირანტი ხომ ახლახან დავკარგეთ, როგორც ჩვენი უნივერსიტეტის თვალსაჩინო პროფესორი).

მაგონდება მეგობრული საყვედურიც, ამხანაგების შეკრებისას თქმული: „ხომ ხედავთ, ეს ნამდვილად განახევრებული უკვე—რაღაც-რაღაცეებს—ვაქვეყნებ, რაც მიხერხდება. თქვენ რატომ-ღა პასიურობთ? უკვე დროა, რომ ხშირად წეროთ და ბეჭდოთ: თქვენ თუ არა, აბა ვიღასა აქვს საფიქრალი და სათქმელი?“.

ჩვენ კი ჩვენივე ხელით ამომზეურებული ზღვა ძეგლების სიდიადე და უკიდეგანობა გვიბორკავდა ხელ-ფეხს, თუნდაც ფსიქოლოგიურად, მაგრამ სიმონმა ეს მობოდიშება არ შეიწყნარა.

დირექციაში მუშაობამ სულ მალე ცხადყო ჩემთვისაც, თუ რით იწვევდა სიმონი საყოველთაო სიყვარულს, რიდსა და პატივისცემას, რატომ ეკიდებოდნენ იმედითა და ნდობით მის ყოველ, დინჯად აწონილ-დაწონილ აზრსა თუ ნაბიჯს არა მარტო კოლეგები და მოწაფეები, არამედ გარეშენიც, მისით მოხიბლულნი. ახალს კი ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: იმ კაცში, მის უნიკალურ პიროვნებაში საუცხოოდ, თანაბრივ იყო შერწყმულ-შედნობილი მეცნიერული, პედაგოგიური, საზოგადოებრივი, ორგანიზაციული და პოლიტიკური სიბრძნე, გამჭრიახობა, გამბედაობა. თვით მასზედაც ზედგამოჭრილია ის, რასაც იგი შესანიშნავი მასწავლებლის, ივანე ჯავახიშვილის შესახებ წერდა თავის დროზე: „მეცნიერული კვლევა-ძიება მისთვის საზოგადოებრივი აქტივობის ერთერთი ფორმა იყოო მხოლოდ!“

საკავშირო აკადემიკოსი, ჩვენი აკადემიის უცვლელი ვიცე-პრეზიდენტი, ორგზის ლაურეატი, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი სიმონ ჯანაშია ემზადებოდა დიდ საერთაშორისო ტრიბუნაზე შესადგომადაც, მაგრამ აღარც ეს დასცალდა, ისევე როგორც მრავალი სხვა რამ. გავიხსენოთ მისი, რომ იტყვიან, „ჩაფხუტახდილი“ გამოსვლა ტოკარსკის ყოვლად არაკეთილსინდისიერი ნაშრომის წინაალმდეგ; მისი სულიერი კმაყოფილება „საქართველოს ისტორიის“ II ტომზე მუშაობის სამზადისის გამო: „ახლა კი პატიოსნად დაიწერება ჩვენი, ბევრი რამით მართლაც თავმოსაწონი ისტორია XIX-XX საუკუნეებისაო!“; მის მიერ პრინციპულ-შემართებული დაზუსტება ერთი ცნობილი ადრინდელი დებულებისა ქართველი ერის წარმოქმნის დროისა და ვითარების თაობაზე; მისი ნამდვილად თავდადებული სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა ომის მძიმე წლებში...

დასასრულ, მინდა გადმოგცეთ ნაწყვეტი სიმონის ერთ-ერთი უკანასკნელი გამოსვლის საოქმო ჩანაწერიდან. ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტის 1946 წლის ანგარიშის, სამეცნიერო საბჭოზე მოსმენა-განხილვის შემდეგ იგი ამბობდა: „ჩვენი პატარა კოლექტივი ქართველი საბჭოთა ინტელიგენციის ერთ-ერთ მოწინავე რაზმს წარმოადგენს და ეს ძალიან ბევრს რამეს გვავალებს... საბოლოოდ, ჩვენი კოლექტივი ჩამოყალიბდა როგორც შედუღებული, წესიერი და საქმით დაინტერესებული. მაგრამ 1947 წლის ანგარიში უკეთესად უნდა გამოიყურებოდეს, ვიდრე 1946 წლისა გამოიყურება“.

ეს სიტყვები ანდერძივით გაისმა, მით უმეტეს, რომ 1947 წლის ანგარიშის განსჯას სიმონი ველარ მოესწრო. ინსტიტუტი კი მას შემდეგ განუხრელად იზრდება, ღონივრდება, მრავალფეროვანდება, როგორც მოსალოდნელი იყო. ის თავდაპირველი დვრიტა ფრიად კეთილი და ნაყოფიერი გამოდგა: დამაარსებლის აზრისა და გულის მადლი დღემდე მოჩნათის ამ, უკვე ნამდვილად დიდი კოლექტივის დაძაბულს შემოქმედებითს მუშაობას...

სიმონის „ულვთო“ გარდაცვალებამ მწვავე ელდა დამცა, მრავალ სხვა ქართველთან ერთად. თუმცა იმ საბედისწერო ფინალის გარდაუვალობის შიშმა თითქოს თანდათან, მძიმე დარდად მოიკიდა ფეხი ჩვენს გონებაში — მეტადრე 1946 წელს შემდგომ,—გული მაინც არ ეთანხმებოდა და ის სიკვდილი მაინც ყველამ აღვიქვით, როგორც საშინელი უსამართლობა, ბრმა შეცდომა. ჩემს მაშინდელ ჩანაწერს ეპიგრაფად უძღვის ერთი სტრიქონი ლვაით გურამიშვილის მიერ ვახტანგ მეექვსის გლოვიდან და ეს სიტყვაც იმ სტრიქონით მინდა გავათავო:

„ვაი რა ბოძი წაიქცა!....“

და რა გულდასაწყვეტად ადრე წაიქცა, რამდენი რამ გაიყოლა თან გასაძლოლი, დასაწერი, გამოსაქვეყნებელი, განსახორციელებელი, გასაუმჯობესებელი, მოსაგვარებელი, წამოსაწყები, დასაგვირგვინებელი!

გიორგი ლომთათიძე.

# ბარიკადები ქუჩაში და სცენაზე

ნახევარი საუკუნის წინ, ნაგვიანევ შემოდგომაზე, ქართველმა ხალხმა მწუხარებით მიაცილა სამარის კარამდე ლადო მესხიშვილი.

გავიდა ცოტა ხანიც და მას, ერთ-ერთ პირველთაგანს, გარდაცვალების შემდეგ, მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება.

ის მართლაც იყო ხალხის სულისა და გულის, მისი ფიქრის, მისი ტკივილის ჭეშმარიტი გამომსახველი. ქართულ სცენაზე მან პირველმა იპოვა ცოცხალი ნერვი ქართველი კაცის რომანტიკული ბუნებისა, მანვე აზიარა ქართული სცენა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის კლასიკურ დრამატურგიას.

ეს იყო ნამდვილი ტრიბუნი, რომელიც ხალხს რევოლუციისაკენ მოუწოდებდა. ჟანდარმერიის ერთი ცნობით „ოცდახუთ აგვისტოს, წარმოდგენის შემდეგ თეატრიდან გამოსული ხალხი ქალაქის ცენტრისაკენ გაემართა „მარსელიოზის“ სიმღერით“. ეს იყო 1905 წელს. მესხიშვილის სპექტაკლები ხშირად დემონსტრაციას დაემსგავსებოდა ხოლმე. ჩაბნელებულ დარბაზში ქანდარებიდან მოფრიალებდნენ მოფარფატე პროკლამაციები. ემოციური აღტკინების და ბრძოლის ცეცხლი ენთო სცენაზე, როცა მესხიშვილი თამაშობდა.

ლადო მესხიშვილის გულწრფელი, ალალმართალი და მგზნებარე ხელოვნება საოცარი ძალით მოქმედებდა მასების ფსიქიკაზე, ერთი გრძნობითა და აზრით მსჭვალავდა ყველას — უღვიძებდა ეროვნულ თვითშეგნებას, კაცური კაცობის მაგალითს აძლევდა ახალგაზრდობას. ამის საილუსტრაციოდ, როგორ არ უნდა გავიხსენოთ მისი სიტყვა ქუთაისის თავად-აზნაურთა შეკრებაზე (ეს სიტყვა შემდეგ ჟურნალ „მოგზაურში“ დაიბეჭდა). მესხიშვილი ამაყად დადგა ტრიბუნაზე და დამსწრეთ მიმართა: „ბატონი იაშვილი მაყვედრის, რომ ჩვენ ფული შევუკრიბეთ ჩვენს არტისტს, მოვარჩინეთ და ის კი ისეთ წარმოდგენებს მართავდა, რომ აზნაურებს სამარეს უთხრისო. მოვახსენებ იაშვილს, რომ მე აზნაურობას არ ვეკუთვნი, მე ვეკუთვნი მთელ ერს, ფულს როდი ვემსახურები, არამედ სცენას, ჩემს რწმენას და ვერავინ ვერ მომისყიდის და ვერ მათქმევინებს იმას, რაც ჩემს რწმენას ეწინააღმდეგება... მესხიშვილი კიდევ შეგაკრებინებთ ფულს, როცა მართალი სიტყვის გაგონება მოგინდებათ სცენიდან“.

რომელი იყო ის სპექტაკლი, რომელმაც ესოდენ აალელვა მაღალი წოდების ადამიანები? ეს იყო ვ. მონტის „კაი გრაკხი“. მესხიშვილი გრაკხის როლს ასრულებდა და მისი სიტყვაც ისე თანადროულად ჟღერდა, თითქოს პიესა სწორედ იმ დღეებისათვის ყოფილიყოს დაწერილი. სპექტაკლის მსვლელობის დროს დარბაზში ისმოდა რევოლუციური შეძახილები და თვით სიმღერაც კი. ძველი მსახიობი ნიკო გვარაძე თავის მოგონებაში ამბობდა: „გრაკხის რევოლუციური მონოლოგები, მესხიშვილის მიერ წაკითხულნი, ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდნენ მაყურებლებზე, როგორსაც ვერც ერთი დაბეჭდილი პროკლამაცია ვერ მოახდენდა“. აი რატომ იყვნენ ასე შეშფოთებულნი წარჩინებული წოდების ადამიანები.

ასე შეერწყა ერთმანეთს მსახიობი და მოქალაქე, ხელოვნება და სინამდვილე. მესხიშვილი საოცრად მთლიანი პიროვნება იყო, მისი რეპერტუარი ზუსტად გამოხატავდა მისსავე მოქალაქეობრივ მრწამსსა და ესთეტიკურ იდეალებს. დიდი მსახიობი სცენიდან იბრძოდა დესპოტიზმისა და ტირანიის წინააღმდეგ, ხალხში აღვიძებდა რევოლუციურ გრძნობას, აქ უნდა დავასახელოთ მისი ურიელი, გრაკხი, კარლ მოორი და მრავალი სხვა როლი.

...როდესაც დასავლეთ საქართველოსაკენ დაიძრა ალიხანოვ-ავარსკი და გზად ცეცხლის ალში გაახვია სოფლები და ქალაქები, ლადო მესხიშვილმა მგზნებარე სიტყვით მიმართა თავის კოლექტივს. თეატრის ირგვლივ აღმართეს ბარიკადები. ქუჩებში გამოიტანეს დეკორაციები, მათ შორის იმ სპექტაკლებისაც, რომლებიც სწორედ ტირანიისა და ძალადობის წინააღმდეგ მოუწოდებდნენ ხალხს. თითქოს სცენიდან ცხოვრებაში გადმოვიდნენ სპექტაკლები, ჯარისკაცებივით აღიმართნენ ბარიკადებზე გუშინდელი წარმოდგენის გმირები — მსახიობები. პირველთა შორის, იარაღით ხელში იდგა მესხიშვილი.

მარტო ქუთაისში როდი ბობოქრობდა მესხიშვილის მებრძოლი სული, მას ნახავდით ყველგან — თბილისსა თუ ბათუმში, ზესტაფონში, სურამში, ტყიბულში და სხვა ქალაქებში, სოფლებში. ერთხელ ზესტაფონში ისე მგზნებარედ წაიკითხა ლექსი რვასაათიანი სამუშაო დღის შესახებ, რომ მუშამაყურებლებმა ხელში აყვანილი გაიყვანეს თეატრიდან.

1918 წელს, იუბილეზე ლადო მესხიშვილს აურაცხელი დეპეშა და ადრესი მოუვიდა მუშებისა და გლეხებისაგან. წარმოიდგინეთ, მეტეხის ციხის ტუსაღებიც მიესალმნენ დიდ მსახიობს.

ლ. მესხიშვილმა შექმნა რომანტიკული სკოლა ქართულ სცენაზე. მას ჰყავდა თავისი მოწაფეები, მიმდევრები, შემდეგ წლებშიაც არ ჩამქრალა ის ცეცხლი, რომელიც მან თეატრში დაანთო. თაობიდან თაობას გადაეცემოდა მისი ტრადიცია, არაერთი ლექსი დაიწერა მის სადიდებლად. „ქართული სცენის მშვენება“ უწოდა მას დიდმა ვაჟამ, ეს ლექსი ნ. სულხანიშვილის გუნდმა იმღერა მსახიობის იუბილეზე.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადო მესხიშვილი ლევან ხიმშიაშვილის როლში (დავით ერისთავის „[illegible]“).

აპოლონისა ტაძარი
შენს თვალთ ცრემლს დაესველაო,
ქართულად ეხვეწებოდი
ქართველებს მიეც შველაო.

ასე უმღეროდა მთის არწივი ქართული სცენის ტრიბუნს.

განუზომელი იყო ხალხის სიყვარული მსახიობისადმი.

...სცენაზე ქარიშხალივით შემოიჭრებოდა კარლ მოორი და მთელი დარბაზიც მღელვარებით უსმენდა რომანტიკოსი ჭაბუკის მოწოდებას ტირანების წინააღმდეგ. ეს იყო პიესა, რომელიც დიდ სიხარულს ჰგვრიდა უბრალო ხალხს. „მუდამ შფოთიანი, მუდამ მოუსვენარი ქანდარა“ მაყურებლებით იყო გაჭედილი, პარტერში არც ერთი ადგილი არ იყო ცარიელი. მაგრამ ეს სულ „შავი ხალხი“ ანუ „მესამე წოდება“ იყო, „დიდები არ ჩანდნენ“, რადგან მათთვის სასარგებლოს ვერას გაიგონებდნენ, — წერდნენ იმდროინდელი გაზეთები.

მისი ჰამლეტიც ხომ ბნელეთში გაბრწყინვებულ შუქსა ჰგავდა?

მესხიშვილი იყო სცენის პოეტი, გულწრფელი და მგზნებარე მომღერალი ახალი და ლამაზი ქვეყნისა, რომელზედაც ოცნებობდნენ მისი გმირები, ასეთები იყვნენ მისი საკაცობრიო გმირებიცა და ისინიც, რომლებიც თავისი ხალხის ეროვნულ ტკივილებს გამოხატავდნენ. ყველგან, ყველა სპექტაკლში იგრძნობოდა მესხიშვილის დიადი რომანტიკული ბუნება, რომელსაც საოცრად შვენოდა ხალხის ქომაგისა და ტრიბუნის როლი.

ვასილ კიკნაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რაც პარიზში ვნახე



პარიზელი მაგდანა და მისი ლურჯა

პარიზის მეტრო.




ფეხით უფრო ადრე მიხვალ.



ეიფელის კოშკი (მარცხენა მხარეს). „ეს რკინის ჩონჩხი არც ლამაზია, არც მახინჯი, — წერს მასზე ანდრე მორუა თავის წიგნში „პარიზი“, — საწყენი იქნება, თუ მას აილებენ იმიტომ, რომ ვინც კი პარიზში ჩამოდის, გაგონილი აქვს ამ კოშკის სახელი და სურს მისი ნახვა. თქვენც ხომ გაოცებული დარჩებოდით, რომ ვერ დაგენახათ იგი“.

ალებას კი მართლაც უპირებდნენ. პარიზის პრეფექტმა დიბომ კოშკის ალება მოითხოვა იმ საბაბით, რომ 81 წლის მანძილზე იგი დაიჟანგა, კოროზიამ შეჭამა და არის საშიშროება, რომ წაიქცეს. ქალაქის ხელისუფალნი არ დაეთანხმნენ მას და ეიფელის კოშკის რემონტისათვის გამოჰყვეს 82 მილიონი ფრანკი. სპეციალისტების აზრით რემონტის შემდეგ კოშკი 50 წელს კიდევ გასძლებს.



ლუვრის წინ.



კონცერტი ქუჩაში.

ფოტო ავტორისა.

პარიზული მოდები.







პარიზელი ბიჭები.



* * *

ფოტოები (მარჯვნივ) მოგვითხრობენ, თუ როგორ ებრძვიან „მინი“ და „მაქსი“ ერთიმეორეს. მოდა „მაქსი“ კვდება ისე, რომ გაფურჩქვნაც კი ვერ მოასწრო. მას აუმხედრდნენ არა მარტო ახალგაზრდა ქალები, არამედ მათი ქმრებიც, რომელთაც ეს „რეფორმა“ ძალიან ძვირი უჯდებათ. „მაქსის“ მოდას მხარს უჭერენ უმთავრესად სამკერვალო ფაბრიკების პატრონები, მაგრამ, როგორც ჩანს, მათ მარცხი მოელით. წლევანდელი საზაფხულო სეზონისათვის მოდის პარიზელმა კანონმდებლებმა „მაქსი“ უკვე აითვალისწუნეს. იმ დღეებში, როცა ჩვენ პარიზში ვიყავით, მოდების კანონმდებელთა შორის ყველაზე სახელგანთქმულმა ივ სენ ლორანმა გაზეთ „ფიგაროში“ დაბეჭდა ახალგაზრდა ტანწერწეტა ქალიშვილის პორტრეტი „მინის“ ფორმის კაბით და ფოტოს შემდეგი წარწერა გაუკეთა: „ჩვენს ქალიშვილებს ისეთი ლამაზი და ჩამოქნილი ფეხები აქვთ, რომ ცოდვაა მათი დამალვა“. ამის შემდეგ მოდების სხვა მსხვილი ატელიების პატრონებმაც განაცხადეს, რომ წელს საზაფხულო მოდა უმთავრესად „მინი“ იქნება, ქალიშვილებმა პარიზის ქუჩებში შორტებითაც კი შეიძლება ისეირნონ, ხოლო „მაქსი“ შეინახონ მხოლოდ საღამოს მეჯლისებისათვის.

ოთარ თურქია

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეგზური

ნარკვევი

მწვანე, პატარა მანქანა მინდვრისაკენ კი არ მიდის, მისცურავსო, იფიქრებდა ადამიანი, ვინც შორიდან შეხედავდა.

მანქანაში ოთხნი ისხდნენ. ერთი, რა თქმა უნდა, მესაჭე იყო; მის მშვენიერ, ვაჟკაცურ სახეს მზისა და ქარისაგან წენგოსფერი დასდებოდა. მკაცრად გადაკვანძილი შავი, სქელი, წარბების ქვემოდან ზაქივით ფართო, ნათელი თვალებით მშვიდად გაჰყურებდა გზას. მხარბეჭგანიერი ვაჟკაცი ამ პატარა მანქანაში ისე ჩანდა, თითქოს ძალით ჩაუჭედიათო.

წინ ვრცელი მინდორი გადაშლილიყო. მექათმეობის ფერმა უკან მოიტოვეს, ელიის ყელთან, გადასახვევზე შოფერმა საჭე მარჯვნივ გადაატრიალა. სქელი კისერი ოდნავ შეაბრუნა და ერთ თანამგზავრს გადაულაპარაკა:

— საით ავილო გეზი, მეგზურო?

— ჯერ მარჯვნივ, ვენახებისაკენ და მერე კი პირდაპირ ოლესაკენ, — შემკრთალი, მაგრამ ტოროლასავით წკრიალა ხმით უპასუხა ამ პატარა მანქანის კუთხეში მიბუზულმა გოგომ. მას თეთრი სახე ჰქონდა, გრძელი წამწამებით შემკობილი ციმციმა თვალები რომელიღაც ყვავილს მიუგავდა, და ეს იყო მთელი მისი ქალური მშვენება. ოდნავ ხვეული თმა თავზე თივის ბულულივით ედგა. თავის ტოლებთან ხუმარა, ამ უცხო ადამიანებთან უხერხულად იჯდა.

შუადღე მოახლოებულიყო. მზის მცხუნვარებით სავსე იყო მთელი სივრცე ცასა და დედამიწას შორის. მანქანა გულის გამაწყალებლად ჭრაჭუნობდა. შოფერმა თეთრი ბლუზა გულთან მარცხენა ხელის ტლანქი თითებით განზე გასწია და რამდენჯერმე გააფრიალა.

— თავზე ცეცხლი დაგვანთო ამ მზემ! — თქვა შოფრის გვერდით მჯდომმა ჭაბუკმა. ისიც იმ გოგონასავით მომცრო ტანისა იყო, მაგრამ ნაზი კი არა, ჩასუქებული. ჩალისფერი ქოჩორი მარჯვნივ გადავარცხნილ-გადატკეცილი ჰქონდა. მან ჭროლა თვალებით გადახედა მანქანის კუთხეში მიბუზულ გოგონას და გაუღიმა. გოგოს თვალები აუციმციმდა.

— ჩვენ რა გვიჭირს, აი ეს გვიფარავს, — თვალით უჩვენა მანქანის თალზე, — იმათ რაღა თქვან, ვისაც ხელში თოხი ან ფიწალი უჭირავს?! — თვითონაც ხომ ბევრჯერ ყოფილა ამაზე უარეს სიცხეში მათთან, ვისთვისაც ახლა წუხდა.

— რაღა ეთქმით, იმის გარდა, რომ ჩქარა გაათაონ საქმე და მზეს აჯობონ! — საუბარში ჩაერია მანქანის მეორე კუთხეში მჯდომი ჭაბუკი, რომელსაც გივის ეძახდნენ.

— სიტყვით ყველაფერი ადვილია, — ჩაილაპარაკა ნანიმ.

ქერა ახალგაზრდამ ჯიბიდან თეთრი ცხვირსახოცი ამოაფრიალა, კისერსა და შუბლზე გადაისვა ისე, რომ ქოჩრის ვარცხნილობა არ დაშლოდა. მერე ნანის გადახედა, „ყოჩაღი გოგოა, თავის ტოლებში თოხშიაც პირველია და სხვა საქმეშიაც. სიტყვის ფასიც იცის და შრომისაც", გაიფიქრა, ხმა კი არ ამოუღია.

გავარვარებული მზე რომ არა, ბაღ-ვენახებით სავსე მინდვრის ცქერაზე უკეთესი რა იქნებოდა. სიცხე თონიდან ამოსულ ალივით ლაპლაპებდა, გზის ნაპირებზე ყურებჩამოყრილი მტვრიანი ბალახები სიცხისაგან გაბრუებულებივით იდგნენ, ისინი მიჩვეულნი იყვნენ ამ დიდი მინდვრის სიცხიან დუმილს, გზაზე მიმავალი პატარა მანქანის ხმაური რომ არღვევდა. მანქანა ჰკეცავდა თითქოს დაულეველ გზას. ახალგაზრდული ბრიგადა ოლეზე აგროვებდა სასილოსე თივას და ესენიც იქით მიეშურებოდნენ. გივიმ ისევ მეგზურად წამოყვანილ ნანის გადახედა. გოგო ვენახების ბოლოს დააკვირდა, იქიდან ზევით ააყოლა თვალი და ფერდობებზე შეფენილ თავის ახალგაზრდული ბრიგადის წევრებს შორიდან შეუყივლა.

— აი, ისინიც! — ყველამ იქით გაიხედა. ნანიც, როგორც ყოველთვის, დღესაც მათთან უნდა ყოფილიყო, მაგრამ თავმჯდომარის განკარგულებით კანტორაში დატოვეს — მოანგარიშეს დაეხმარე შრომადღეების დარიცხვაზეო. მიუხედავად იმისა, რომ მეგზურად წამოიყვანეს, ბრიგადასთან მისასვლელი გზა მაინც აერიათ.

უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი, მორიდებული გოგო უფრო მოიბუზა.

— ოლეს ზევიდან რომ დაგვევლო, პირდაპირ მივიდოდით! — გამოტყდა ბოლოს.

— ხა... ხა... ხა... ხა! მეგზურო, კარგად გამოიცანი, — გადაიხარხარა შოფერმა, — შე გასაქრობო, აქამდე ვერა თქვი ეგა! — შოფერი სარკეში ხედავდა მის პატარა ციმციმა თვალებს და იმასაც, თუ თეთრ სახეზე ფერი როგორ ეცვლებოდა. მალე მან მანქანა შეაბრუნა, შორი გზა მოიარა და ისე მიუახლოვდა სამუშაო ადგილს, მაგრამ ახლა ღრმა თხრილი დახვდათ, რაზედაც მანქანა ვერ გაივლიდა. ფერდობზე შეფენილმა, თივის ზვინებს შორის მოფუსფუსე ახალგაზრდებმა შენიშნეს მომავალი მანქანა, რომელზედაც წითელი დროშა თითქოს საგანგებოდ აღემართათ, ერთბაშად მიხვდნენ ყველაფერს და ყიჟინა დასცეს.

— გოგოებო, ბიჭებო, გარდამავალი დროშა ჩვენ დაგვრჩა!

შუადღე მოსულიყო, შესვენების დრო იყო და ყველა რგოლმა ერთად მოიყარა თავი, ერთი დიდი ხის ჩრდილში. მანქანაც იქ გაჩერდა, იქიდან ყველაზე ადრე სიღნაღის კომკავშირის რაიკომის მდივანი ოთარ შინჯიაშვილი გადმოვიდა და ხელის აწევით შესძახა:

— გამარჯობათ, მეგობრებო! — ახალგაზრდებმა ჟრიამულით გასცეს პასუხი. გოგოებმა თავიდან თეთრი მოსახვევები მოიგლიჯეს და აფრიალებდნენ, ბიჭები ქუდებს ისროდნენ მაღლა.

შოფერი მანქანის საზურგეზე გადაწვა და ისე გადაჰყურებდა ახალგაზრდების ალტაცებულსა და ალმოდებულ სახეებს.

მანქანიდან გადმოსულ ნანის გოგონები ჟრიამულით შემოეხვივნენ. ნანიმ ტუჩებზე საჩვენებელი თითი მიიდო, მერე გოგოები ორივე ხელით განზე მისწია, ოთარის ნაფეხურებზე გაიარა და წამოიძახა:

— ოი, იმას კი ვენაცვალე, გოგოებო! იმ ლამაზ ბიჭსაც ჩემს სიგრძე ნაბიჯი ჰქონია! — გოგოებმა გადაიხარხარეს, ყაყაჩოსავით წამოწითლებულმა თინამ ნიშნის მოგებით უთხრა:

— კარგი ჩუმი მელია ხარ შენც. იმ ბიჭთან დიდხანს სეირნობა გინდოდა და შოფერს იმიტომ აურიე გზა, მოატარე შორიდან და ბოლოს მაინც თხრილთან მოიყვანე!

— თხრილთან კი მოიყვანა, მაგრამ ის დანჯღრეული მანქანა თხრილზე ხომ ვერ გადმოფრინდებოდა, მეორედ მოვლა დასჭირდათ და მაგასაც ეგ უნდოდა, — დაუმატა გრძელნაწნავებიანმა მზექალამ. გოგოების კისკისი სიცხით დადუმებულ მინდორს ეფინებოდა.

საერთო მხიარულებაში შოთამ, გივიმ და სოსომ დროშა მანქანას მოხსნეს და ხის ტოტზე დაამაგრეს, ისე რომ ხის ქვეშ შეგროვილ ახალგაზრდებს თავზე დაჰფრიალებდა.

— მეგობრებო, — გაისმა გივის ხმა, — სოფელ ქვემო ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდული ბრიგადის მიტინგს გახსნილად ვაცხადებ. სიტყვას ვაძლევ სიღნაღის კომკავშირის რაიკომის მდივანს ოთარ შინჯიაშვილს.

ოთარი მხრებში გასწორდა და დაიწყო:

— ამხანაგებო, თქვენმა ახალგაზრდულმა ბრიგადამ თავი ისახელა, თორმეტი ჰექტარი ვენახი გათოხნეთ, ცამეტი ჰექტარი ვენახის კოკოლები დაშალეთ და ახალი ნერგი გაწმინდეთ ჭიებისაგან. სიმინდის პირველი თოხნა დროზე დაამთავრეთ და, რაც ყველაზე მთავარია, სასილოსე თივა ყველაზე მეტი თქვენმა ბრიგადამ დაამზადა. გილოცავთ ამ შრომითს წარმატებას და გისურვებთ ახალ-ახალ მიღწევებს! რაიონმა გარდამავალი დროშა თქვენ მოგაკუთვნათ, ხოლო გივი ლაზარიაშვილი ქების სიგელით დააჯილდოვა, — რაიკომის მდივანმა გარდამავალ დროშაზე მიუთითა და კომკავშირის კომიტეტის მდივანს ხელი ჩამოართვა, — ეს თქვენი ბეჯითი შრომით დაიმსახურეთ, ამხანაგებო, და, იმედია, შეინარჩუნებთ!

ახალგაზრდები წამოიშალნენ, ორატორის ბოლო სიტყვები ტაშმა დაფარა.

მიტინგი დამთავრდა. რაიკომის მდივანი ახალგაზრდებს გამოეთხოვა და მანქანისკენ წავიდა.

გოგოებმა ნანის ხელი ჰკრეს, მანქანასთან მიიყვანეს და ძალით ჩასვეს:

— ხომ სული გიკაწკაწებს და ბარემ შენც ჩაჯექი, — შესძახა მზექალამ, რაიკომის მდივნის გასაგონად კი განუცხადა:

— ჩვენი შრომადღეები ამან უნდა დაგვირიცხოს და ახლავე ისევ უკანვე უნდა წაიყვანოო! — ოთარმა თავი დახარა, ღიმილით გადახედა ყველას, მერე იმავე კუთხეში მიკუნჭულ ნანის შეაფრქვია ღიმილი.

მანქანა ხმაურით დაიძრა ადგილიდან და მტვრის კორიანტელი კუდივით გამოიბა.

დღის მეორე ნახევარი უფრო მეტი ხალისიანი შრომით დაალამეს ახალგაზრდებმა. საღამოს მათ წასაყვანად მოსულ საბარგო მანქანაზე ჯერ დროშა დაამაგრეს და მერე თვითონ მოთავსდნენ. მინდვრიდან სოფლისაკენ მიჰქროდა მანქანა და ახალგაზრდების მხიარული სიმღერა მიდამოს ეფინებოდა.

ქეთო ხაჩიაშვილი

# ვინ იყო იოსებ ქართველი

XVIII საუკუნის პოეტი იესე ტლაშაძე თავის პოემაში „კათალიკოზ-ბაქარიანი“ რამდენიმე სტრიქონს უთმობს ვინმე იოსებს, რომელიც კონსტანტინოპოლში საფრანგეთის საელჩოს თარჯიმანი ყოფილა. ევროპულ წყაროებში იგი იოსებ ქართველის სახელით არის ცნობილი...

1722 წლის ოქტომბერი იდგა. ოდესღაც ძლევამოსილ სეფიანთა სატახტო ქალაქი ისპაანი სულს ღაფავდა. ავღანთა ექვსთვიანმა ალყამ მოწყვიტა ქალაქი გარესამყაროს და სურსათ-სანოვაგის გარეშე დატოვა.

ალყაშემორტყმულ ისპაანში ერთიანად გაწყვიტეს ძაღლი, კატა და სახედარი. ჭამდნენ ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდათ და რაც ყელში გადადიოდა. საცაა ერთმანეთს დაერეოდნენ დამშეული ადამიანები, როდესაც სასოწარკვეთილმა შაჰ-ჰუსეინმა კაპიტულაცია გადაწყვიტა. სახელგანთქმული შაჰ-აბასის უნიჭო და უნიათო შთამომავალი თავისი ფეხით ეახლა ავღანთა წინამძღოლს მირ-მაჰმუდს, რომელიც ისპაანის მახლობლად, თვით შაჰ-ჰუსეინის მიერ აგებულ უბრწყინვალეს სასახლეში იყო დაბანაკებული.

ირანის შაჰი ერთი საათი ალოდინეს გარეთ, მცხუნვარე მზის ქვეშ. მოიმიზეზეს, მირ-მაჰმუდს სძინავსო. ბოლოს და ბოლოს შეუძღვნენ მისაღებ დარბაზში. „სალამ ალეიქუმ“, — თავმდაბლად მიესალმა შაჰი მირ-მაჰმუდს. დასხდნენ დარბაზის სხვადასხვა კუთხეში.

უკიდურესი ღვთისმოსაობის გამო „მოლად“ წოდებულმა შაჰ-ჰუსეინმა ახლაც ყურანიდან დაისესხა სათქმელი: „ალაჰ, ხელმწიფება შენ ხელთ არი! მიანიჭო, ვინცა ინებო და წაართვა, ვინცა ინებო. აამაღლო, ვინცა ინებო და დაამდაბლო, ვინცა ინებო. კეთილი შენ ხელთ არი, ვინაიდან ყოვლად ძლიერ ხარ!“ დაასრულა ყურანის ლექსი და მერე თავისი სიტყვებიც დააყოლა: გემორჩილები შვილო ჩემო, კეთილი იყოს შენი მეფობა! (შაჰ-ჰუსეინი ორმოცდათოთხმეტი წლისა იყო, მირ-მაჰმუდს კი ოცდახუთიც არ შესრულებოდა). შემდეგ გვირგვინი მოიხადა და ავღანთა სარდალს ამანოლას გადასცა. ეს უკანასკნელი მიუახლოვდა მირ-მაჰმუდს, მაგრამ მან ხელი აუკრა და შაჰი იძულებული გახდა საკუთარი ხელით დაედგა საკუთარი გვირგვინი ავღანთა წინამძღოლის თავზე.

სეფიანთა უკანასკნელი მბრძანებლის მრისხანე წინაპრები საფლავში გადატრიალდებოდნენ, ამ შემაძრწუნებელი სურათისათვის სასწაულებრივ რომ მოეკრათ თვალი. ძლევამოსილი იმპერიის ასეთ უმსგავსო დასასრულს ერთი საუკუნის წინ უმდიდრესი ფანტაზიის პატრონიც კი ვერ წარმოიდგენდა.

სტუმრებს ყავა და ყალიონი მიართვეს. მირ-მაჰმუდი კარგ გუნებაზე დადგა და მოუნდა, ოდნავ მაინც ენუგეშებინა გვირგვინმოხდილი. „ნუ დაისადგურებს მწუხარება შენს გულში, — ასე მიმართა მან შაჰ-ჰუსეინს, — ხელმწიფება ხელიდან ხელში გადადის, ყველაფერი ალაჰის ნებაა“.

ეს იყო და ეს. შაჰმა გააკეთა თავისი საქმე. შაჰს შეეძლო შინ წაბრძანებულიყო. მას მეტი აღარაფერი მოეთხოვებოდა და ავღანებმა სატახტო ქალაქში დაბრუნების ნება მისცეს...

საიდან ვიცით ასე ზუსტად ყოველივე ზემოთქმული?

მირ-მაჰმუდი, რა თქმა უნდა, დღიურებს არ წერდა, ხოლო სპარსელი ისტორიკოსები, გასაგებ გარემოებათა გამო, ერთობ ძუნწად აშუქებენ მოცემული პერიოდის ამბებს და ალბათ უცნობი დარჩებოდა ჩვენთვის ამ საბედისწერო შეხვედრის დეტალები. მაგრამ ესოდენ იშვიათ ცერემონიალს ესწრებოდა კაცი, რომელმაც დაწვრილებით აღწერა სეფიანთა დინასტიის უკანასკნელი დღეები, ისპაანის ალყა და ირანის შაჰის კაპიტულაცია.

ეს კაცი იყო იოსებ ქართველი. მან თავისი თხზულებანი ე. წ. „სპარსეთის რევოლუციების“ შესახებ შეადგინა ქართულ, იტალიურ, ფრანგულ და თურქულ ენებზე. პირველი ორი ჯერჯერობით აღმოჩენილი არაა. თურქული ხელნაწერი ინახება გლაზგოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ხოლო ფრანგული — საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში. ისინი მთლიანი სახით არავის გამოუქვეყნებია (არსებობს მხოლოდ გლაზგოს ხელნაწერის მოკლე ინგლისური თარგმანი), მაგრამ იოსების სხვადასხვა მასალებით უხვად სარგებლობდნენ XVIII საუკუნის ისტორიკოსები: ფრანგი მამი-კლერაკი, ინგლისელი ჯონას ჰანვეი, პოლონელი თადეუშ კრუშინსკი, სომეხი სარგის გილანენცი; აგრეთვე ჩვენი თანამედროვე ინგლისელი მეცნიერები ლ. ლოკარტი და დ. ლენგი.

იოსები, გვარად აბესალამაშვილი, დაიბადა 1687 წელს, თბილისში. მისი მშობლები — გასპარ და ანა კათოლიკური სარწმუნოებისა იყვნენ (სახელი „გასპარ“ ფართოდ იყო გავრცელებული კათოლიკურ სამყაროში, რადგანაც ქრისტიანული ლეგენდის მიხედვით, ახლადშობილ იესო ქრისტეს თაყვანსაცემად აღმოსავლეთიდან მოსულ მოგვებს ერქვათ: გასპარ, ბალთაზარ და მელქიორი). მესხეთიდან გადმოსახლებულ აბესალამაშვილთა გვარი ცნობილ და გავლენიან გვარებს მიეკუთვნებოდა. იოსების მამა წლების მანძილზე ქალაქის ნაცვალი იყო. ნაცვალს უშუალოდ მეფე ნიშნავდა და მას წამყვანი ადგილი ეჭირა ქალაქის მმართველობაში.

იოსებმა დაწყებითი განათლება მიიღო თბილისის კათოლიკე მისიონერთა სასწავლებელში, სადაც ასწავლიდნენ ლათინურ და იტალიურ ენებს, გრამატიკას, აგრეთვე სარწმუნოების უმთავრეს საგნებს და ლოცვებს. ეს სასწავლებელი ფრიად პოპულარული ყოფილა თბილისის მოსახლეობის ფართო წრეებში. სხვათაშორის, მისიონერებთან სწავლობდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი („სულ ალასრულა ყოველი სწავლა ლათინთა ფრანგული“, — აღნიშნულია იმდროინდელ ქართულ პოემაში).

სასწავლებლის აღზრდილთა ნაწილი ევროპაში აგრძელებდა სწავლას, მაგრამ საქართველოდან იქ ჩასვლას იმდენი გაჭირვება და სიძნელე ახლდა, რომ კათოლიკე მისიონერები რომის პაპის წინაშე შუამდგომლობდნენ, თვით საქართველოში გახსნილიყო უმაღლესი სასწავლებელი, სადაც ნიჭიერი ახალგაზრდები დაეუფლებოდნენ სამოქალაქო თუ საეკლესიო მეცნიერებას.

მოწინავე ქართული საზოგადოება მზად იყო, საქართველოში კათოლიკობა გაევრცელებინა და ქართული ეკლესია რომის ტახტისათვის დაემორჩილებინა, ოღონდ კი ევროპის (კერძოდ საფრანგეთის) პოლიტიკურ-ეკონომიური დახმარება მიეღო ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მაგრამ კათოლიკობას მოკეთესთან ერთად მტერიც ბევრი ჰყავდა. როდესაც ეროვნული დამოუკიდებლობის მედროშე და კათოლიკეთა მფარველი გიორგი XI ირანს გადაიხვეწა და ქართლის ტახტზე დამკვიდრდა სპარსოფილი ნაზარალი-ხანი (ანუ ერეკლე I), კათოლიკეებს ცუდად წაუვიდათ საქმე.

სულხან-საბა ორბელიანი მონასტერს შეეხიზნა. გასპარ აბესალამაშვილს კათოლიკობის უარყოფა მოსთხოვეს, მან კატეგორიული უარი განაცხადა, ამის გამო გადააყენეს და თბილისიდან გააძევეს. „გაფრანგდა მამა ამისი, იყო ქალაქის ნაცვალი, გააგდეს მოქალაქეთა, დაუნიავეს ნაცარი“, — მოგვითხრობს იესე ტლაშაძე. ხოლო უცხოური წყარო (სახელდობრ „კარმელიტთა ქრონიკა“) გასპარს მოიხსენიებს ქართველ კეთილშობილად, რომელსაც ჩამოართვეს მთელი ქონება კათოლიკური სარწმუნოების ერთგულებისათვის.

დარბეულმა და გაძევებულმა გასპარ აბესალამაშვილმა ოჯახითურთ მალე ირანში ამოჰყო თავი. 1699 წელს იგი გაჰყვა ისპაანის კათოლიკეთა ეპისკოპოსის ელიასის ელჩობას ევროპაში და გიორგი XI-ის წერილები წაიღო დასავლეთ ევროპის ხელმწიფეთა კარზე. თორმეტი წლის იოსებიც გაუდგა გზას მამასთან ერთად, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა ევროპაში მიებარებინა შვილი სასწავლებლად.

მოგზაურობამ თითქმის სამი წელიწადი გასტანა. ელჩობის მარშრუტი ასეთი იყო: ისპაანი — შემახა — ასტრახანი — მოსკოვი — კიევი — ლვოვი— ვარშავა — კრაკოვი — ვენა — ვენეცია — რომი. ასე რომ, იოსებს სიყმაწვილეშივე დაებედა უცხოეთის გზები და ქალაქები. ხუმრობა საქმეა, ჯერ ულვაშიც არ ამოსვლოდა და უკვე ნახევარი ევროპა შემოიარა!

გასპარ ქართველმა დიდი დახმარება აღმოუჩინა ელიასის ელჩობას მოსკოვს ემიგრაციაში მყოფი არჩილ მეფის წყალობით, რომელიც ახლო იყო პეტრე I-თან. მაგრამ რომში ჩასვლა თვით გასპარს აღარ ეწერა. იგი 1701 წელს გარდაიცვალა ვარშავაში და შვილისათვის არავითარი მემკვიდრეობა არ დაუტოვებია, გარდა ფსევდონიმისა. უცხოეთში მას გასპარ ქართველს უწოდებდნენ. სულ მალე მის შვილს იოსებ ქართველად გაიცნობენ რომსა და პარიზში, ისპაანსა და კონსტანტინოპოლში. გასპარის ძვლები ვარშავის მიწამ მიიბარა, ხოლო დაობლებულ იოსებს ეპისკოპოსმა ელიასმა და კაპუცინმა პატრმა, სახელად ამადეომ გაუწიეს პატრონობა.

1702 წლიდან იოსები რომშია. ჯერ ჩარიცხეს მონტეფიასკონის სემინარიაში, სადაც შეისწავლა ცოტაოდენი გრამატიკა, ერთი წლის შემდეგ კი დაშვებულ იქნა ურბანოს კოლეჯში, რომელიც ამზადებდა სხვადასხვა ეროვნების მისიონერებს. სწავლის და კურთხევის შემდეგ ისინი უნდა დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში და ეშრომათ კათოლიკური სარწმუნოების გასავრცელებლად. ურბანოს კოლეჯში ორი ადგილი იყო განკუთვნილი ქართველი ახალგაზრდებისათვის.

საინტერესოა, რომ, ათიოდე წლის შემდეგ ამ სასწავლებელს ეწვია სულხან-საბა რომაელ კარდინალ-ეპისკოპოსებთან ერთად და ხაესწრო ღვთისმეტყველების გაკვეთილს (ამ დროს იოსები უკვე წამოსული იყო რომიდან). სულხან-საბა გვაუწყებს, რომ მოწაფეთა შორის იყვნენ: ბერძენი, რუსი, გერმანელი, სომეხი, ებრაელი, არაბი, სპარსელი, თურქი, ეგვიპტელი, ეთიოპი, ბოსნიელი. „მათმა ეპისკოპოსმა კიდეც მიხუმრა: ქართველები გვაკლია, ყმაწვილები გამოგზავნეო, ასე ვასწავლიო და იქავ გამოვგზავნიო. მაგრამ ეს არც ხუმრობა იყო. მართლა მთხოვა პაპის ბრძანებითა“.

იოსებმა კოლეჯში შეისწავლა ფილოსოფია და თეოლოგია, ზედმიწევნით დაეუფლა ევროპულ ენებს და ამრიგად, ჩინებული განათლება მიიღო. მაგრამ, როგორც ჩანს, მას არ იზიდავდა კათოლიკე მისიონერის კარიერა. იოსებისთვის კათოლიკო-

ბის საკითხი უფრო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი იყო, ისევე როგორც ქართველი მეფე-ბატონიშვილებისა და ფეოდალებისათვის. საერთოდ, საქართველოში ღვთისმეტყველებას მაინცდამაინც არ ეწაფებოდნენ, გული „საერო“ მეცნიერებაზე მიუწევდათ. იოსებმაც ვეღარ გაძლო ურბანოს კოლეჯის ატმოსფეროში, თავგადასავალმოწყურებულს სასწავლებლის ოთხ კედელში რა გააჩერებდა!

1709 წელს სამშობლოში დაბრუნების ნებართვა ითხოვა. ნება დართეს და ცოტაოდენი ფულიც გაატანეს გზის ხარჯად. იოსები რომიდან წამოვიდა, ხოლო ურბანოს კოლეჯის მოწაფეთა დავთარში სამუდამოდ დარჩა მისი მკაცრი ატესტაცია: „ჭეშმარიტად მშფოთვარე და დაუმორჩილებელი სულისაა, და ღმერთმა უწყის, რა დაემართება მას“.

ვნახოთ, რა დაემართა იოსებ ქართველს, როგორ აეწყო მისი დამოუკიდებელი ცხოვრება. ერთხანს ვენეციაში იმყოფებოდა, შემდეგ კონსტანტინოპოლში გადაბარგდა, საფრანგეთის საელჩოს დაუახლოვდა. თურქული ენის ცოდნა განიმტკიცა. აქვე გაიცნო სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც ევროპიდან საქართველოში ბრუნდებოდა და წელიწადნახევარი დაყოვნდა კონსტანტინოპოლში. სახელოვანი ქართველი მწერალი „სიტყვის კონას“ ამუშავებდა, იოსებს ქართულ-იტალიური ლექსიკონის შედგენაში შეუტანია წვლილი.

ბოლოს ვეღარც კონსტანტინოპოლში მოისვენა. ახალი გზები და ქვეყნები ეძახდნენ. მისი ნიჭი და უნარი უფრო მჩქეფარე ცხოვრებას ელტვოდა. 1716 წელს იგი თარჯიმნად ჩაირიცხა საფრანგეთის ელჩობაში, რომელიც ირანს მიემგზავრებოდა ანჟე დე-გარდანის ხელმძღვანელობით.

ისინი ჯერ ალეპოში ჩავიდნენ. დაბინავებულან ქალაქგარეთ, სადაც გარდანი ერთხანს ნადირობით იქცევდა თავს. ამასობაში იმარაგებდა თავისი ამალისათვის ოსმალეთში გავრცელებულ ტანისამოსს და კარგ ცხენებს (გარდანს ინსტრუქცია ჰქონდა მიღებული მთავრობისაგან, რომ არ გაემჟღავნებინა, თუ სად და რატომ მიემგზავრებოდა. საფრანგეთის მთავრობას არ სურდა, რომ ოსმალეთს რაიმე სცოდნოდა ირან-საფრანგეთის ურთიერთობის შესახებ). ცხადია, იოსები განუზომელ სამსახურს უწევდა გარდანს, რომელმაც არ იცოდა აღმოსავლური ენები და ზნე-ჩვეულებანი.

გავიდა ორი თვე და ერთ მშვენიერ ღამეს გარდანის ელჩობამ მალულად მიატოვა იქაურობა. მაგრამ ოსმალეთის ხელისუფალნიც ფხიზლობდნენ. მათ გაიგეს გარდანის გაქცევა და სასწრაფოდ დაადევნეს სამხედრო რაზმი. ოცი დღის შემდეგ დაეწივნენ და ყველანი დააპატიმრეს. ბრალად დასდეს ჯაშუშობა ავსტრია-ვენეციის სასარგებლოდ (ამ ხანებში ოსმალეთს ომი ჰქონდა მათთან). მოათავსეს ალეპოს საპყრობილეში, სადაც ძალიან ცუდად ექცეოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ გარდანი და მისი ელჩობის წევრები საფრანგეთის ქვეშევრდომნი იყვნენ. ბოლოს წაიყვანეს კონსტანტინოპოლში და საფრანგეთის ელჩმა ძლივს დაიხსნა ისინი პატიმრობიდან.

კონსტანტინოპოლიდან გარდანის ელჩობა ხელახლა გაუდგა გზას. ჯერ ზღვით ჩავიდნენ ტრაპიზონს, აქედან კი ხმელეთით, არზრუმისა და ერევნის გავლით, 1717 წლის ზაფხულში ირანს ჩააღწიეს.

გარდანი ორჯერ მიიღო ირანის შაჰმა. თარჯიმნობდა იოსებ ქართველი. მან წყალივით იცოდა თურქულიც და სპარსულიც. თურქული სალაპარაკო ენა იყო სეფიანთა სამეფო კარზე, მაგრამ სახელმწიფო დოკუმენტები სპარსულ ენაზე იწერებოდა. ასე რომ, თარჯიმნისათვის ორივე ენის ცოდნა იყო აუცილებელი.

ძნელი სათქმელია, რომელი ენები უფრო კარგად იცოდა: ევროპული თუ აღმოსავლური. ალბათ ერთიმეორეზე უკეთესად. გარდანთან ფრანგულად ბაასობდა, იტალიელ მისიონერებთან — იტალიურად. კათოლიკეთა ეკლესიაში წირვა-ლოცვას ისმენდა ლათინურ ენაზე. კიდევ რომელი ენები იცოდა? შესაძლოა არაბული, შესაძლოა ბერძნული, შესაძლოა სომხურიც. ერთი სიტყვით, ყველაფერი შესაძლოა.

უბრალო თარჯიმანი როდი იყო იოსებ ქართველი. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივის საბუთებში იგი კონსულ გარდანის მდივან-თარჯიმნად არის მოხსენიებული. მართლაც, აქტიურად მონაწილეობდა დიპლომატიურ მოლაპარაკებებში. სწორედ იოსების საშუალებით დაამყარა კავშირი გარდანმა ირანში დაწინაურებულ ქართველებთან, მათ შორის ვახტანგ VI-თან, რომელიც ამ დროს ირანის სპასალარი იყო (მართალია, სულხან-საბას ელჩობა ევროპაში მარცხით დამთავრდა, საფრანგეთს კვლავ აინტერესებდა „საქართველოს საკითხი“).

გამოხდა ხანი. 1722 წლის დამდეგს ირანს ავღანები შემოესივნენ. გადამწყვეტ ბრძოლაში, ისპაანის მისადგომებთან სასტიკად დაამარცხეს საზეიმოდ მორთული, მაგრამ ომისთვის მოუმზადებელი და გაუწვრთნელი ლაშქარი და სეფიანთა სატახტო ქალაქს ალყა შემოარტყეს.

როდესაც ისპაანმა დაკარგა ყოველგვარი იმედი დახმარებისა, გარდანისათვის ნათელი გახდა, რომ გარდუვალი კაპიტულაცია კარზე იყო მომდგარი. მან უბრძანა იოსებ ქართველს, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, მიეღწია ავღანთა ბანაკამდე და მათი წინამძღოლის წინაშე ეთხოვა მფარველობა საფრანგეთის ქვეშევრდომთათვის.

იოსებმა უყოყმანოდ მიიღო ეს პასუხსაგები და სახიფათო დავალება. მან მოახერხა სპარსელთა და ავღანთა საფრონტო ხაზების გადაკვეთა და მირ-მაჰმუდს ძვირფას საჩუქრებთან ერთად გარდანის თხოვნაც მიართვა. ავღანთა წინამძღოლმა, ნასიამოვნებმა იმით, რომ უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელმა იცნო იგი ირანის შაჰზე ადრე, აღუთქვა ფრანგებს მფარველობა და დაჰპირდა, რომ არ ჩამოართმევდა შაჰის მიერ ბოძებულ სასახლეს ისპაანში, ხოლო კათოლიკე მისიონერებს არ აუკრძალავდა ღვთისმსახურებას.

ავღანებმა ორი-სამი დღით დატოვეს თავის ბანაკში იოსები და ამგვარად დაესწრო იგი მირ-მაჰმუდისა და შაჰ-ჰუსეინის შეხვედრას. ეშმაკმა უწყის, რატომ დატოვეს და რისთვის! თითქოს განჰვრიტეს, რომ მათი ტრიუმფის უშუალო მოწმე და თვითმხილველი იოსები ყველაფერს კეთილსინდისიერად აღწერდა და მისი უნიკალური ინფორმაცია დაიბეჭდებოდა სხვადასხვა ავტორთა წიგნებში ლათინურ, ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე. სეფიანთა დინასტიის დაცემის ყველაზე დეტალური და უტყუარი სურათი ისტორიას შემოუნახა ქართველმა მწერალმა.

რაც შეეხება გარდანის მიერ დაკისრებულ მისიას, აშკარაა, რომ იოსების დიპლომატობას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. მირ-მაჰმუდი გაცილებით რბილად მოეპყრო საფრანგეთის ქვეშევრდომთ, ვიდრე ინგლისელ, ჰოლანდიელ, ინდოელ და სომეხ ვაჭრებს, რომელთაც უზარმაზარი კონტრიბუციები შეაწერა და გაჩენის დღე აწყევლინა. ფრანგები კი სულ რაღაც ოცდაათი თუმნით დაზარალდნენ. ავღანთა მიერ მოხვეჭილი ზღაპრული ნადავლის ზღვაში ეს მართლაც ერთი წვეთი იყო.

იოსები დიდხანს აღარ დარჩენილა ისპაანში, სადაც დამპყრობელთა განუკითხავი ტერორი ბატონობდა. 1724 წლიდან იგი უკვე კონსტანტინოპოლში იმყოფება საფრანგეთის საელჩოს თარჯიმნად.

აქ შეხვდა საქართველოს კათალიკოს დომენტის (ვახტანგ VI-ის უმცროს ძმას) და დაესწრო ოსმალეთის დიდვეზირთან აუდიენციის მიღებაში, თუმცა უმტკიცებდა ოსმალთა იმედზე დარჩენილ კათალიკოსს, რომ „საფრანგეთი სჯობს ამასო“ (ე. ი. ოსმალეთს). იოსები ამასვე იმეორებს კლერაკის მიერ დამოწმებულ იტალიურ თხზულებაში, ქართული ანდაზის მოშველიებით („თუნდა ოსმალოს დანდობიხარ და თუნდა ტალღას დაყრდნობიხარო“). ხსენებულმა ისტორიკოსმა სწორედ კონსტანტინოპოლში გაიცნო იოსებ ქართველი და ყველაზე უხვი ცნობები დაგვიტოვა მისი ვინაობისა და მოღვაწეობის შესახებ.

კლერაკი მოგვითხრობს, რომ ირანში მომხდარმა სენსაციურმა ამბებმა ისეთი ხმაური და მითქმა-მოთქმა გამოიწვია კონსტანტინოპოლში, რომ სხვა არაფერზე აღარ ლაპარაკობდნენ, თუმცა ისიც კი არ იცოდნენ წესიერად, აიღეს თუ არა ავღანებმა სეფიანთა სატახტო ქალაქი.

ამ დროისათვის კლერაკს ხელთ ჰქონდა ზოგიერთი მასალა ისპაანის ალყაზე, მაგრამ განსაკუთრებით აღაფრთოვანა იგი იოსების თხზულების წაკითხვამ და შემდეგ თვით ავტორის გაცნობამ. გადაწყვიტა დაეწერა ისტორია. „ამის შესახებ ვესაუბრე ბატონ იოსებს, — გვიამბობს კლერაკი,—რომელმაც მომიწონა ეს აზრი“.

ნახევარი წლის განმავლობაში იოსები თითქმის ყოველდღე ხვდებოდა კლერაკს და აძლევდა ვრცელ შენიშვნებს და ახსნა-განმარტებებს. ამიტომაც უწოდებს მას ფრანგი ისტორიკოსი თავის „მეგზურს“ და იოსების მასალებს მიიჩნევს ყველაზე ძვირფას წყაროდ თავისი წიგნისათვის. ამასთან ერთად აღნიშნავს, რომ „ამ ქართველმა“ იცოდა მრავალი ევროპული და აღმოსავლური ენა, ჰქონდა მდიდარი მეხსიერება, ცოცხალი და სალი გონება, ფართო ერუდიცია ისტორიასა და გეოგრაფიაში.

კლერაკის სამტომიანი წიგნი „სპარსეთის ისტორია ამ საუკუნის დამდეგიდან“ გამოქვეყნდა 1750 წელს პარიზში. წიგნში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს ნაწყვეტებს იოსებ ქართველის მიერ იტალიურ და ფრანგულ ენაზე დაწერილი თხზულებებიდან.

ასე გააცნო იოსების კალამმა ევროპელ მკითხველს ქართველ მეფეთა (გიორგი XI, ქაიხოსრო, ვახტანგ VI) სახელები და საქმენი.

რა დაემართა საბოლოოდ იოსებ ქართველს? საფიქრებელია, რომ იგი დაბრუნდა ირანში, გარდანის დასახმარებლად. თვით გარდანის წერილში აღნიშნულია, რომ როდესაც იგი გამოემგზავრა ისპაანიდან 1730 წელს, საფრანგეთის კონსულის რეზიდენციაში დარჩენილან კაპუცინი პატრი და ქართველი თარჯიმანი. მაგრამ ამაზე ზუსტი ცნობა არ მოგვეპოვება და იოსების შემდგომი ბედიც გაურკვეველია. დღემდე არ ვიცით, სად, როდის და როგორ განუტევა თავისი „მშფოთვარე და დაუმორჩილებელი სული“ ამ შესანიშნავმა პიროვნებამ.

**დ. ხაზარაძე**



# ჩვენ ვეძებთ ტალანტებს



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა კანდელაკი

თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ ახლა არ არსებობს არც ფაბრიკა და არც ქარხანა, უნივერმაღი თუ სამინისტრო, არტელი, სარემონტო კანტორა თუ კოლმეურნეობა, რომ თავისი საკუთარი, ასე ვთქვათ, ადგილობრივი მნიშვნელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი არ ჰყავდეს.

ერთი სიტყვით, ტალანტებს ჩვენს ქვეყანაში დიდი გასაქანი მიეცა. გეხვეწებიან, გემუდარებიან, პირი დააღე, ხმა ამოიღეო, ტაშს გიკრავენ და ყვავილების წვიმას გაფრქვევენ. თუ საჭიროა, მასწავლებლებსაც დაგინიშნავენ, ოღონდაც კი ასახელე შენი დაწესებულება შენივე ხელოვნებით.

ჰოდა, ხომ გაგიგიათ, თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამაო, ტალანტები, რა თქმა უნდა, ჩვენს ქარხანაშიაც გამოიძებნა და ჯერ კიდევ ოცი წლის წინათ ათი კაცისაგან შემდგარი სიმღერისა და ცეკვის მინიატურული ანსამბლი ჩვენც შევქმენით.

ახლა ადვილი სათქმელია — ანსამბლი გვყავს, ანსამბლი ჩამოვაყალიბეთ, მაგრამ იცით თუ არა თქვენ, რა ნერვების ფასად დაგვიჯდა მისი დაარსება? ასე კი არ იყო წინათ. ერთი სიმღერა რომ შეესრულებინა ვინმეს, ერთი კვირა მუხლის ჩოქვით უნდა გედევნა მისთვის.

ქარხნის ადმინისტრაცია და ძირითადად მე, კლუბის გამგე და კულტურულ-მასობრივი მუშაობის მაჯა და ძარღვი, ლამის გადავყევით ამ საქმეს. თვითეულ მუშას ბავშვივით ვეხვეწებოდით, ვემუდარებოდით, ვეალერსებოდით, ოღონდაც ჩაწერილიყო ანსამბლში. მაგრამ, გაგიგია? კაცი სათოფედ არ გვეკარებოდა.

— რა გჭირთ ასეთი? რამ შეგაძულათ ეს ცეკვათამაში? უსიმღეროდ გაგონილა ქართველი კაცის ცხოვრება? რა კრიჭა შეგეკრათ, თქვე დალოცვილებო! — ვგრძნობდი ხელი მეშლებოდა, ანსამბლის საქმე ვერ მიდიოდა კარგად და გამწარებულს ცეცხლი მეკიდებოდა.

— სიმღერა და ცეკვა როგორ არ გვიყვარს, ბიცოლა ცაცუნა, მარა...

— დამიხედეთ მაზლიშვილს... ვინ არის, ქალიშვილო, შენი ბიცოლა? აღუ, ნეკზე არ მიკბინო. ბავშვი გგონია შენი თავი?!

— ჩემი სიკვდილი ახლავე, საწყენად კი არ მითქვამს...

— საწყენად არც მე მითქვამს, მორჩი ზლუქუნს და გამაგებინე წესიერად, რატომ არ გინდა სიმღერა?

— დედა გამიჯავრდება, ქალბატონო ცაცუნა... გადირევა ქალი, სცენაზე გამოსული რომ მნახოს, სახლში აღარ შემიშვებს. არ უყვარს არტისტები.

— ვერც მე ვიმღერებ. მამაჩემი სახლიდან გამაგდებს, არტისტობა რომ გამიგოს.

— ჰმ! გადასარევია სწორედ... — დაბოლმილმა ლამის იყო საკუთარი ხელით დავიხრჩე თავი, — ხალხი საგანგებოდ ამთავრებს ინსტიტუტს, რომ არტისტის სახელი მიენიჭოს, თქვენ დიპლომის გარეშე მინდა გიბოძოთ ეგ სიკეთე და უარს ამბობთ?!

— შავ დღეს დაგვაყრიან, სახლში არ შეგვიშვებენ, რით ვერ გაგაგებინეთ?

აქ კი იფეთქა დირექტორმა:

— არ შეგიშვებენ და არც არის საჭირო. აგერ ერთ თვეში დავამთავრებთ ახალ საცხოვრებელ სახლს და პირობას გაძლევთ, ანსამბლის ყველა წევრს, თითო ოთახი მოგეცემათ. შეუდექით დამოუკიდებელ ცხოვრებას, დედის კალთას გამოკერილები როდემდე უნდა იყოთ? ოღონდაც ამ ღონისძიებას ნუ ჩაგვიგდებთ, გვასახელეთ თვითმოქმედების ოლიმპიადაზე და უფასო საგზურებითაც დაგაჯილდოვებთ, საუკეთესო კურორტებზე დაგასვენებთ, — შთამბეჭდავად და მრავალმნიშვნელოვნად განაცხადა დირექტორმა.

უფროსის სიტყვას და დაპირებას მაინც სულ სხვა ძალა ჰქონია. შეკრებილებმა არც აციეს, არც აცხელეს, ერთხმად შესძახეს: — მზად ვართ გემსახუროთ! და ე, მაშინ იყო სწორედ ბრძანებაც რომ დაიწერა ანსამბლის ჩამოყალიბების თაობაზე.

ხო, ხო, ხო, რა დღეები გამოვიარეთ! რაც მართალია, მართალია, ნამდვილად თავს არ ზოგავდნენ ჩვენი ანსამბლის წევრები. დიდი შრომა და დიდი ჯაფა დაადგათ... დღისით მუშაობდნენ დაზგებთან, სალამოთი კი რეპეტიციები ჰქონდათ კლუბში ან გასვლით კონცერტებს მართავდნენ.

იცოცხლეთ, სახელი და დიდება არც ჩვენ, ანსამბლის მესვეურებს გვაკლდა და თვითონაც ქვეყანას გააცვნეს თავი. მოდიოდა და მოდიოდა მადლობები, სიგელები და დიპლომები.

— ბატონო სპირიდონ! — ერთხელ მორიდებით შევკადრე ჩვენს დირექტორს, — ხომ კმაყოფილი ხართ ჩვენი ანსამბლით?

— ნამეტანი, — სახე გაებადრა სპირიდონს, — ყოჩაღ, ცაცუნა!

— ჰოდა, ის მინდა მოგახსენოთ, ნამეტანს ხომ არ შრომობენ ჩვენი არტისტები? მანქანა რომ მანქანაა, იმასაც სჭირდება მოფერება, დასვენება...

— მიკიბულ-მოკიბულ ლაპარაკს შეეშვი, ცაცუნა, პირდაპირ მითხარი, რა გინდა?

— დიახ, პირდაპირ გეტყვით, შეღავათია საჭირო, ბატონო სპირიდონ!

— რას გულისხმობ?

— კიდევ უფრო პირდაპირ გეტყვით: უნდა გავათავისუფლოთ ანსამბლის წევრები ძირითადი სამუშაოდან. ახლა მაინც მოდაშია მრავალი დაზგის მომსახურება, ჰოდა, შრომის გმირები ვართო რომ გაიძახიან ზოგიერთები, ე ბატონო, გამოიჩინონ თავი. ანსამბლის წევრებს კი ისედაც არ აკლიათ სახელი და დიდება. ტალანტებს, ბატონო სპირიდონ, გაფრთხილება უნდა!

— ყოჩაღ შენ!.. აი, იდეა ამას ჰქვია! ბრავო, ცაცუნა! — პირი ყურებამდე დააფჩინა გახალისებულმა დირექტორმა. მაშინვე გამოუძახა საამქროს უფროსებს და წუთში დანერგა ჩემი რაციონალიზატორული წინადადება.

თქვენ წარმოიდგინეთ, იმ დღეს ქარხანაში ხმა არავის ამოუღია. წყნარად, მშვიდად მიიღეს დირექტორის განკარგულება. მეორე დღეს კი გათენება არ აცალეს, ერთბაშად რომ იხუვლა ხალხის ნაკადმა და რომ იწყეს დინება ანსამბლში მუშაობის მსურველებმა, იმათი შეჩერება აღარ შეიძლებოდა და მართალი გითხრათ, არც მიცდია არავისთვის ხელის შეშლა.

ხელგაშლილი ვიღებდი ყველას.

ასე ვიზარდეთ, ვიზარდეთ და დღეს ქარხნის მთელი მუშა-მოსამსახურეები დიდ-პატარიანად სიმღერისა და ცეკვის გამსხვილებულ ანსამბლში არიან გაერთიანებული. მაგათ ვენაცვალე, რომ გამოიშლებიან ქარხნის ვეებერთელა ეზოში (რა ვქნათ, ჭირიმე, კლუბის სცენაზე ველარ ვეტევით) და რომ დააგუგუნებენ გულში ჩამწვდომ, ნარნარსა და ტკბილ სიმღერას და მერე რომ ასტეხავენ ჩვენი ბიჭები ცეცხლოვან ცეკვას, იმათ მოსმენას და ნახვას ნამდვილად არაფერი სჯობია.

თავი მომქონდა, მედიდურად დავგოგმანობდი, დღედღეზე ველოდებოდი ხელმძღვანელობისაგან მადლობას და პრემიას კულტურულ-მასობრივი მუშაობის უმაღლეს დონეზე დაყენებისათვის, მაგრამ ამ დილით გამომიძახა დირექტორმა და ისეთი ხმით დამიღრიალა, ლამის გული საგულედან ამომივარდა.

— მლუპავ, ცაცუნა?

— ჩემი სიკვდილი, მაგი რამ გაფიქრებინათ, ბატონო სპირიდონ!

— სად არის ხალხი?

— კლუბში არიან, მღერიან, ცეკვავენ.

— კარგი, მაგრამ გეგმა?

— გეგმა, ბატონო სპირიდონ, მე 1200 პროცენტით მაქვს შესრულებული.

— თავს ნუ იგდებ, ცაცუნა, — ვეფხვივით დამიბრიალა დირექტორმა თვალები, — მე ქარხნის გეგმაზე გელაპარაკები.

— უი, მაგაზე კი აღარ მიფიქრია...

— ჰოდა, იფიქრე, იფიქრე, ცაცუნა, თორემ მაგ შენი ანსამბლიდან ბუნდღას აღარ დაგიტოვებ. მიხედოს ყველამ თავის საქმეს, გეყურება? სიმღერა შრომის შემდეგაა კარგი, შრომის შემდეგ! შეხედე შენ მაგათ, არ გამიმართეს აქ ტაშ-ფანდურა?!

— ბატონო სპირიდონ, ტალანტებს გაფრთხილება უნდა.

— მე ჩემი ტალანტები დამიბრუნე, ჩემი ხარატები და ზეინკლები, ახლავე, დღესვე, თორემ, ვაი შენი ბრალი!

— კარგი, მაგრამ მე რა მეშველება, ბატონო! მირღვევთ საათივით აწყობილ საქმეს?

— შენ წადი რედაქციაში და სთხოვე გაზეთში დაგიბეჭდონ განცხადება: „ჩვენც ვეძებთ ტალანტებს!“ მე შენ გეტყვი, არ დაგესევიან ხვალ დილასვე ფუტკრებივით!

სპორტული კლუბი „დროშა“

სკ

როგორც ჟურნალის წინა ნომერში ვწერდით, ჩვენს რედაქციასთან დაარსდა სპორტული კლუბი „დროშა“. ამ კლუბის წევრად მიიღება სპორტის ყველა ნამდვილი გულშემატკივარი. წევრებს შემდეგი პრივილეგიები აქვთ. ისინი უფრო ახლოს გაეცნობიან ჩვენს სახელოვან სპორტსმენებს, გაიგებენ მათს საინტერესო გამოსვლებზე შინ თუ უცხოეთში, კლუბში თვითონ სპორტსმენები მოგვითხრობენ თავიანთი სპორტული ბიოგრაფიის დასამახსოვრებელ ეპიზოდებს, გაგვაცნობენ თავიანთ ამხანაგებს.

დღეს ჩვენი სპორტული მიმომხილველი გივი გამრეკელი მოგვითხრობს სპორტის დამსახურებულ ოსტატზე — ალექსანდრე მეტრეველზე და მის მეტოქეებზე როგორც შინ, ისე გარეთ, მსოფლიო კორტებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეტრეველი და მისი მეტოქეები

## ხომ გახსოვთ ნიკოლოზ ოზეროვი?

ხომ გახსოვთ ნიკოლოზ ოზეროვი?! თუმცა რა კითხვაა — რა თქმა უნდა, გახსოვთ! კიდევაც რომ დაივიწყოთ, გამოჩენილი სპორტული მიმომხილველი მაშინვე გაგახსენებთ თავს. მისი ხმა გაისმოდა შორეული ჩილედან, ლონდონსა და მეხიკოდან, რომსა და პარიზიდან. ეს ყველაფერი შედარებით მოკლე დროის წინ იყო; უფრო ადრე კი ოზეროვი საბჭოთა კავშირის № 1 ჩოგბურთელი გახლდათ. აბა ის რა სეზონი იქნებოდა, ოზეროვი თბილისში რომ არ ჩამოსულიყო. რა თვალწარმტაცი და მძაფრი იყო მისი მუდმივი ორთაბრძოლა მეორე გამოჩენილ ჩოგბურთელთან — ედუარდ ნეგრებეცკისთან. წლების განმავლობაში გრძელდებოდა ეს ბრძოლა. ხან ერთი მხარე იმარჯვებდა, ხან მეორე. რევანშს რევანში მოსდევდა. ორივე მხარე მხოლოდ შეტევაზე ფიქრობდა. მაგრამ როდესაც დრომ თავისი გაიტანა და ორივე ვეტერანმა დასთმო ასპარეზი, საბჭოთა ჩოგბურთი როგორღაც აშკარად გაღარიბდა. ვერც ოზეროვის შემცვლელი გამოჩნდა და ვერც ნეგრებეცკისა. რაინდული, მიმომხილავი ბრძოლა შეცვალა ქულებისადმი დაუოკებელმა სწრაფვამ. მოხდა ისე, რომ ჩოგბურთის „პოეტები“ განდევნეს „პრაქტიკოსებმა“, ელეგანტური მოიერიშენი — „ჯავშნიანმა მცველებმა“.

ოზეროვმა ჩემპიონობა დაჰკარგა, თორემ ჩოგბურთს როდი ჩამოშორებია. ჩვენ მას ისევ ვხედავთ თბილისსა და ბათუმში, საკავშირო პირველობასა თუ „სპარტაკის“ ჩემპიონატებში. ვეტერანი ჰკარგავდა თავის სპორტულ თვისებებს. წყეული სიმსუქნე! შესაძლოა, მის წინააღმდეგ რაიმე რეცეპტი არსებობდა, მაგრამ ეს ოზეროვმა არ იცოდა. საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონს დარდი და კაეშანი მოაწვა. დიახ, დიახ, „პრაქტიკოსები“ დაეპატრონენ კორტებს, ქულებიც ბევრი ჰქონდათ, ჩემპიონის წოდებაც — არ ჰქონდათ მხოლოდ ერთი რამ — გულშემატკივრების ნდობა და სიყვარული. რამდენჯერ დავსწრებივართ თითქოსდა უმნიშვნელოვანეს მატჩებს. ვინ ესწრებოდნენ შეხვედრებს: მწვრთნელები, სპეციალისტები, ჟურნალისტები. გულშემატკივრების რიცხვი შეთხელდა. მათ აშკარად შეაქციეს ზურგი ჩოგბურთს და სპორტის სხვა სახეობებს „მიეკედლნენ“.

ოზეროვს ერთი რამ სწამდა — ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. შეტევა კვლავ სძლევდა დაცვას, „რომანტიზმი“ — „ნატურალიზმს“, რომ ჩოგბურთში კვლავ გაიმარჯვებდა პოეტურობა და სილამაზე.

ეს მისია შეასრულა ჭაბუკმა ალექსანდრე მეტრეველმა. თითქოს რაღაც ჯადოსნური ჯოხის დაქნევას დაემორჩილნენო, მაყურებლები დაუბრუნდნენ კორტებს. ისინი მოხიბლა ჭაბუკის თამაშის საოცრად ელეგანტურმა მანერამ. სწორედ მან აიძულა სხვადასხვა ქალაქების გულშემატკივრები ერთხელ და სამუდამოდ უარი ეთქვათ ე. წ. „კუთხურ პატრიოტიზმზე“. თუ მეტრეველი რომელიმე ქალაქში თამაშობს, იქ უკვე არავინ თანაუგრძნობს ადგილობრივ „კერპებს“, თანაუგრძნობს ჩოგბურთსა და... მეტრეველს!

როგორ გამოცოცხლდა ეს „მოხუცი“ ოზეროვი! აქ მარტო ის კი არ ასრულებს როლს, რომ ვიღაცამ მას სიმსუქნესთან ბრძოლის სწორი რეცეპტი ასწავლა (ოზეროვი მართლაც ძალიან გახდა). უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ჩოგბურთი კვლავ ჩოგბურთად იქცა. აქ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. იმარჯვებს სპორტსმენი, რომლის თამაშშიც ჰარმონიულადაა შერწყმული ძალა და სილამაზე. ჰკითხეთ ოზეროვს: „ვინაა № 1 სპორტსმენი საბჭოთა ჩოგბურთის არსებობის მთელ მანძილზე?“ იგი უყოყმანოდ გიპასუხებთ: „ალექსანდრე მეტრეველი!“



## პროფესიონალებიც და მოყვარულებიც

ამ 15 წლის წინ ვინმეს რომ გაებედა რიკარდო (პანჩო) გონზალესისათვის, მოყვარულ ჩოგბურთელს შეხვდიო, უდავოდ მკვახე პასუხს მიიღებდა. ჩოგბურთის სპეციალისტები პროფესიონალებს უყურებდნენ, როგორც „უმაღლეს, შეუვალ კასტას“. მარტო ამ კასტის წარმომადგენლები იყვნენ დაუფლებულნი ჭეშმარიტი ჩოგბურთის საიდუმლოებას, დანარჩენები მოხალისენი, მოყვარულნი იყვნენ, რომელთაც ცოტა რამ ჰქონდათ საერთო „ნამდვილ ხელოვნებასთან“. თუ რა იყო „ნამდვილი ხელოვნება“, ამის დემონსტრაციას ახდენდა „ჯეკ კრამერის ცირკი“, რომელიც ქვეყნიდან ქვეყანაში მოგზაურობდა და საოცარ სპექტაკლებს დგამდა.

უკანასკნელ წლებში სამოყვარულო ჩოგბურთის დიდმა მიღწევებმა საერთაშორისო შეჯიბრებების ორგანიზატორები აიძულა ხელი აეღოთ „ძველი დოგმებისაგან“. უიმბლდონში, საფრანგეთის ღია ჩემპიონატში, ფორესტ-ჰილში და სხვა შეჯიბრებებში გამოჩნდნენ მოყვარული ჩოგბურთელები საბჭოთა კავშირიდან, რუმინეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და სხვა ქვეყნებიდან, რომლებიც ტოლს არ უდებენ პროფესიონალებს. როდესაც ამ მოყვარულებზე ვლაპარაკობთ, მათ შორის ერთ-ერთ პირველ ადგილზე ალექსანდრე მეტრეველი უნდა დავასახელოთ. ხომ ხშირად ხვდება იგი პროფესიონალებს! არა მარტო ხვდება, არამედ ამარცხებს კიდეც. რა ვუყოთ, რომ ჯერჯერობით უპირატესობა ისევ პროფესიონალების მხარეზეა. ქართველი სპორტსმენის დიდ ტალანტსა და ასაკს თუ გავითვალისწინებთ, აქაც შეიძლება იმედი მოგვეცეს.

რაც შეეხება წმინდა სამოყვარულო შეჯიბრებებს, აქ მეტრეველს უდიდესი მიღწევები აქვს. იგი ნამდვილად გაჭირვების ტალკვესია საბჭოთა კავშირის გუნდისათვის. რამდენჯერ ყოფილა შემთხვევა, როდესაც მას მატჩები მხოლოდ მეტრეველის ქულების წყალობით მოუგია.

## ჩოგბურთის მექა

ჩვენი ჩემპიონი უკვე მრავალ ქვეყანაში იმყოფებოდა, ეს კი თავისთავად იმას ნიშნავდა, რომ იგი იქიდან გამარჯვებით დაბრუნდა! რას იზამ, მეტისმეტად გაანებივრა მან თავისი გულშემატკივრები. მაშინაც კი, როდესაც მეტრეველმა მუხლის თავის რთული ოპერაცია გადაიტანა, გულშემატკივრებს სწამდათ მისი უდიდესი ნებისყოფისა,

სწამდათ მისი მომავალი ტრიუმფისა, თუმცა საკმაო ხნის მანძილზე წარუმატებლობის მოწმენიც იყვნენ.

მუხლის თავის ოპერაცია... ჩოგბურთელისათვის ეს ფრიად უჩვეულო ავადმყოფობაა. თუ რაოდენ საშიშია იგი, კარგად იციან ფეხბურთელებმა. დიახ, მაგრამ რა შუაშია აქ ჩოგბურთელი მეტრეველი — იკითხავს მკითხველი. საქმე ისაა, რომ ალექსანდრე მეტრეველი ფეხბურთელიც გახლავთ, და რა ვუყოთ თუ თავის მოგვარეს ოსტატობით ვერ შეედრება. უნდა ითქვას, რომ ეს გატაცება ჩოგბურთელისათვის ახალი არ გახლავთ. გავიხსენოთ ოზეროვი, რომელიც ოსტატ ფეხბურთელთა გუნდში თამაშობდა (თუმცა მცირე ხნით), გავიხსენოთ სახელოვანი იტალიელი ჩოგბურთელი ნიკოლა პიეტრანჯელი, რომელიც ერთ ხანს პროფესიონალ ფეხბურთელობასაც კი ფიქრობდა.

და როდესაც ერთხელ ალექსანდრემ ფეხბურთის ამხანაგურ თამაშში მუხლის სახიფათო ტრავმა მიიღო, საკმაო ხანს მოუხდა მკურნალობა... პრაქტიკის უქონლობამ დაღი დაასვა მის თამაშს; შემდგომ შეჯიბრებებში „ხელი გამოიღო" მეტრეველის ძველმა მეტოქემ ტოომას ლეიუსმა, გამოცოცხლდნენ სხვა ჩოგბურთელებიც, მაგრამ ყოველივე ეს დროებითი აღმოჩნდა. მეტრეველმა ისევ დაიბრუნა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა, № 1 ჩოგბურთელის წოდება. წამყვან სპეციალისტებს თუ დავუჯერებთ, იგი დიდხანს, ძალიან დიდხანს შეინარჩუნებს ამ წოდებას.

მეტრეველი ავსტრალიაში სწორედ იმ დროს გაემგზავრა, როდესაც სავსებით აღიდგინა ადრინდელი ფორმა, არა თუ მარტო აღიდგინა, არამედ ადრე დაუძლეველ მწვერვალებსაც კი მიაღწია. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რას წარმოადგენს ავსტრალია ჩოგბურთელთათვის. წლების განმავლობაში „კრამერის ცირკი" ძირითადად ავსტრალიელებისაგან შედგებოდა. სწორედ ამ ავსტრალიელებმა დააყრევინეს ფარ-ხმალი გონზალესსა და სეგურას, შიშის ზარი დასცეს საჩოგბურთო ევროპასა და ამერიკას. ევროპელები და ამერიკელები მოკრძალებით მიდიან ავსტრალიაში, მიდიან როგორც მოწაფეები, თავის დასაკრავად, ალტაცების გამოსახატავად, როგორც მაჰმადიანები მექაში, როგორც ფეხბურთელები ბრაზილიაში, როგორც მოჭიდავეები — საქართველოში.

ჩვენ როგორღაც არ გვახსენდება შემთხვევა, რომ უცხოელი ავსტრალიაში ჩასულიყოს, ადგილობრივი „კერპები" წამოეჩოქებინოს, პირველი პრიზები წარმოელოს და შინ არხეინად დაბრუნებულიყოს.

ახლა კი მოვუსმინოთ თვით მეტრეველს — ავსტრალიაში მე და მოროზოვა ხუთ ტურნირში გამოვედით. ეს იყო ხუთი ავსტრალიური შტატის ღია ჩემპიონატი. ღია ჩემპიონატი იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ მსურველს გზას ვერ დაუკეტავ. რა თქმა უნდა, ყველა ასეთი მსურველი მაღალი კვალიფიკაციის ჩოგბურთელი იყო. სხვანაირად რა აზრი ჰქონდა „ცხრა მთას იქით" წასვლას, ქალაქიდან ქალაქში ხეტიალს, ღელვასა და აფორიაქებას.

როგორც მეტრეველმა განაცხადა, ხუთივე ტურნირში ადგილობრივ, ავსტრალიელ ოსტატებთან ერთად გამოდიოდა სტუმრების ჯგუფი — ჩეხოსლოვაკიელები, ფრანგები, იაპონელები. ჩეხოსლოვაკიელი და ფრანგი ჩოგბურთელების რეპუტაცია კარგადაა ცნობილი. ისინი ევროპაში მოწინავეთა რიგებში არიან. რაც შეეხება იაპონიას, იგი დღეისათვის პატარა წერტილით თუ აღინიშნება „ჩოგბურთის რუკაზე". ეს ასეა, მაგრამ ეტყობა ეს „წერტილი" თანდათან გაიზრდება და იაპონელებიც ანგარიშგასაწევი ძალა გახდებიან. საერთოდ იაპონიაში ამ ბოლო ხანებში მტკიცედ მოჰკიდეს ხელი სპორტის ჩამორჩენილ სახეობებს. უკანასკნელ ოლიმპიურ თამაშებში სრულიად მოულოდნელად მიიქციეს ყურადღება იაპონელმა ფეხბურთელებმა. პრესის ფურცლებზე გამოჩნდნენ „იაპონელი პუშკაში", „იაპონელი კოპა", „იაპონელი ეისებიო". ახლა ყურადღებას იპყრობენ ახალგაზრდა იაპონელი ჩოგბურთელები. ხომ არ ეყოლება მალე ამ ქვეყანას „იაპონელი ლეივერი", „იაპონელი როზუელი", „იაპონელი მეტრეველი"!

## „ის ერთიც რომ მომეგო!"

ხუთი ტურნირიდან. მეტრეველმა ოთხში პირველი პრიზი მოიხვეჭა. შეჯიბრების დაწყებამდე გულშემატკივრები ასეთ შედეგებზე ვერც იოცნებებდნენ. თვით სპორტსმენი კი თვლის, რომ ის ერთი ჯილდოც არ უნდა გაეშვა ხელიდან, საქართველოში „სრული კოლექციის" ჩამოტანა შეეძლო. ნუ მიიჩნევენ მკითხველები ასეთ განცხადებას გადაჭარბებულად; თუ სპორტსმენს თავისი ძალების რწმენა არა აქვს, არც ღირს ხელში ჩოგანის აღება. რამდენი ნიჭიერი ჩოგბურთელი დაუღუპავს მეტოქის ძალის ზედმეტად შეფასებას, საკუთარი შესაძლებლობების დაუფასებლობას. როდესაც კორტზე გამოდიხარ, ერთი გრძნობა უნდა გამოძრავებდეს — მეტოქის „დალაშქვრა". მეტრეველი დიდ სპორტსმენად, უპირველეს ყოვლისა, მისმა დიდმა ტალანტმა და ნებისყოფამ აქცია; საკმარისია, რომელიმე ჩოგბურთელს მეტოქის შიშის გრძნობა შეუჩნდეს, რომ იგი უკვე საბოლოოდ უნდა გამოეთხოვოს მაღალ საპრიზო ადგილებზე ოცნებას.

„ჩოგბურთის მექაში" მოპოვებულმა ტრიუმფმა მეტრეველს ფრთები შეასხა. წინაა ავსტრალიის, იტალიის, საფრანგეთის „ღია" ჩემპიონატები, ცნობილი უიმბლდონი და ფორესტ-ჰილი, აქ ქართველ ჩოგბურთელს იმ პროფესიონალებთან მოუხდება შეხვედრა, რომელთაც უკვე „შეეჩვია" და რამდენიმე სასტიკი დამარცხებაც აგემა. და განა მარტო პროფესიონალებთან? აქვე იქნება რამდენიმე მოყვარული ჩოგბურთელი, რომლებიც საერთაშორისო ტურნირების პრიზების ნამდვილი „კოლექციონერები" გახდნენ (ფრანულოვიჩი, ნასტასე, კოდეში). რუმინელ და იუგოსლაველ ჟურნალისტებს მიაჩნიათ, რომ ნასტასე და ფრანულოვიჩი, არაფრით ჩამოუვარდებიან უძლიერეს პროფესიონალებს. აი გასული წლის როგორი ათეულები შემოგვთავაზეს ბუქარესტის „სპორტულ პოპულარმა" და ბელგრადის „სპორტმა". „სპორტულ პოპულარი": 1. ნიუკომბი. 2. როზუელი. 3. ლეივერი. 4. ნასტასე (ხედავთ როგორ აფასებენ რუმინელები თავიანთ ჩემპიონს!). 5. რიჩი. 6. როჩე. 7. კოდეში. 8. ეში. 9. ტეილორი. 10. ოკერი. ბელგრადის „სპორტი": 1. როზუელი, 2. ნიუკომბი. 3. ლეივერი. 4. ეში. 5. სმიტი. 6. როჩე. 7. რიჩი. 8. ფრანულოვიჩი. 9-10. კოდეში და ნასტასე.

რა მოხდებოდა, დღეისათვის საქართველოში რომ შედგებოდეს ასეთი სია? იქნებოდა თუ არა მეტრეველი პირველ ათეულში? რა თქმა უნდა, იქნებოდა, და არა თუ იქნებოდა იგი, ეტყობა, ერთ-ერთ მაღალ ადგილსაც დაიკავებდა, როგორც ვთქვათ, „სპორტულ პოპულარის" სიაში ნასტასემ დაიჭირა.

მაგრამ თავი დავანებოთ ამ სიებსა და ათეულებს. ხომ მრავალი სიამოვნება მოუტანა მეტრეველმა თავის გულშემატკივრებს, ტრიუმფით შემოიარა ევროპა და ავსტრალია! და ყველაზე სასიამოვნო კი ისაა, რომ მეტრეველის ძირითადი წარმატებები უდავოდ წინ არის. იგი ისეთ ასაკშია, როდესაც ჩოგბურთელის ნიჭი სრული ძალით გაფურჩქვნას იწყებს.

## სად შეიძლება ვნახოთ მეტრეველი

მეტრეველის ნახვა თბილისში მეტისმეტად ძნელია და ეს სავსებით გასაგებია — ერთი შეჯიბრება ხომ მეორეს მოსდევს. თვით ჩოგბურთელი მიიჩნევს, რომ ძალიან ცოტას თამაშობს (მისი მეუღლე და ვაჟი სულ სხვანაირად თვლიან), 8-9 ტურნირი წელიწადში „სასაცილომდე" ცოტაა. აქ ჩვენ უნდა დავუჯეროთ სპორტსმენს. ავიღოთ, მაგალითად გამოჩენილი ავსტრალიელი პროფესიონალი ჩოგბურთელები — როზუელი, ნიუკომბი და ლეივერი. დღეისათვის სწორედ ისინი უნდა მივიჩნიოთ თანამედროვეობის უძლიერეს ოსტატთა პირველ სამეულად. ამ საკითხში ახლა არავინ დავობს. რამდენს თამაშობენ ისინი? ჩამოვთვალოთ ძირითადი შეჯიბრებები: ავსტრალიის „ღია" ჩემპიონატი, უიმბლდონის ტურნირი (დიდი ბრიტანეთის „ღია" ჩემპიონატი), ფორესტ-ჰილი (ამერიკის შეერთებული შტატების „ღია" ჩემპიონატი), ასეთივე შეჯიბრებები საფრანგეთში, იტალიაში, შვეციაში, ესპანეთში! ახლა პროფესიონალთა „დახურული" ჩემპიონატები ფულად ჯილდოებზე, ახლა ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა ტურნირები, ასპარეზობა ავსტრალიურ შტატებში, გაუთავებელი გასტროლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში! არა მარტო ლეივერი, ნიუკომბი და როზუელი, არამედ ფრიად ხანდაზმული გონზალესიც ფაქტიურად მთელ წელს თამაშობენ ჩოგბურთს. თვით მეტრეველი მიიჩნევს, რომ მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელები 40-50 (!) ტურნირში გამოდიან ყოველწლიურად.

რამდენი უნდა ითამაშოს მეტრეველმა? სწორედ იმდენი, რამდენსაც თვით მიიჩნევს საჭიროდ. მისი დევიზია „შრომა, შეუპოვარი შრომა!" გამოჩენილ ფრანგ ფეხბურთელ რაიმონ კოპას უყვარდა თქმა „არც ერთი დღე უბურთოდ". ალექსანდრე მეტრეველს, რომელიც განუწყვეტლივ ვარჯიშობს, ასეთივე უფლებით შეიძლება თქვას: „არც ერთი დღე უჩოგნოდ". სწორედ ეს შეუპოვარი შრომა მისცემს მას საშუალებას დიდხანს, ძალიან დიდხანს გაახაროს ქომაგთა გული.

უკან დარჩა ავსტრალია, მოახლოვდა უიმბლდონი...

**ბიჭი ბამრეკელი**


ეროვნული ბიბლიოთეკა

სლავა და ალექსანდრე მეტრეველები.

# ჭრელ-ჭრელი ამბები



## ზღვაში ჩაძირული ოქრო

ყირიმის ომის დროს ინგლისის ფლოტის შემადგენლობაში შედიოდა ერთი დიდი და კეთილმოწყობილი აფრებიანი ხომალდი „შავი პრინცი“, რომლის ტრიუმებში საომარი ხარჯებისათვის გამოყოფილი უამრავი ოქრო ელაგა.

სევასტოპოლის ალყის დროს ზღვაზე საშინელი სიმძლავრის ქარიშხალი ამოვარდა, წყლის გიგანტური მასა გამეტებით დაეტაკა „შავ პრინცს“, პიტალო კლდეს შეახეთქა და გვერდი შეულეწა ხომალდს. „შავი პრინცი“ ზღვაში ჩაიძირა.

რევოლუციამდე, რუსეთის მთავრობის ნებართვით, რამდენიმე უცხოური კომპანია დიდხანს ეძებდა „შავ პრინცს“. ძებნა არც შემდეგ შეწყვეტილა. საბჭოთა მყვინთავებმაც სცადეს „შავი პრინცის“ მოძებნა, მაგრამ ზღვამ თავისი საიდუმლო არ გასცა და „შავი პრინცის“ განძი დღემდე მიუკვლეველი დარჩა.

ზღვასთან ერთად ინგლისელებიც სდუმან. ისინი არ ამხელენ, თუ სახელდობრ რომელ ადგილზე ჩაიძირა გემი. ბრიტანეთის ფლოტის არქივში კი ეს ადგილი, რა თქმა უნდა, აუცილებლად იქნება აღნუსხული.

## ორთოგრაფიული შეცდომა

როგორც ყველგან, ისე ინგლისშიც ხელისუფალნი სასტიკად სდევნიან ყალბი ფულისმჭრელებს, მაგრამ ისინი მაინც ახერხებენ თვალი აუხვიონ პოლიციას.

იმ ქაღალდში, რომელზეც სტერლინგები იბეჭდება, ჩაწნეხილია ლითონის წვრილი და დრეკადი ძაფები. ეს ლითონის ძაფები არა მარტო სიმტკიცეს აძლევს ფულს, არამედ ყალბი სტერლინგების დამზადებასაც აძნელებს. მიუხედავად ამისა, ყალბი ფულის დამზადება მაინც ხერხდება. ამას წინათ ინგლისში გამოჩნდა ყალბი სტერლინგები, ისინი მეტად ზუსტად იყო დამზადებული. ყალბისმქნელებმა ბანკნოტში ლითონის ძაფიც კი ჩაატანეს. ყალბი ფულის განსხვავება ნამდვილი ფულისაგან შეუძლებელი იქნებოდა, რომ მის დამამზადებლებს ერთი ორთოგრაფიული შეცდომა არ დაეშვათ. ისინი უწიგნურები გამოდგნენ და ინგლისურად სიტყვა — „მოლარე“ დამახინჯებით დაბეჭდეს.



## ჰორაციუსის ანდერძი

ჰორაციუს ვუდსვორტმა, რომელიც რიჩმონდში (ამერიკის შეერთებული შტატები) ცხოვრობდა, თავისი სიცოცხლის ბოლოს ძალზე უცნაური ანდერძი დატოვა.

აკვირდებოდა რა იმ ამბავს, რომლებიც მის ირგვლივ ხდებოდა (განგსტერების თავდასხმები, მოწამვლა და ა. შ.), ჰორაციუსმა აიჩემა — უემველად მეც მომწამლავენო. ამიტომ ანდერძით მოზრდილი თანხა გადადო იმ კაცის დასაჯილდოებლად, ვინც მის მომწამვლელს იპოვიდა და შეიპყრობდა.

მილიონერი შეცდა. იგი არავის მოუწამლავს, ვუდსვორტი გარდაიცვალა „თეთრი ხურვებით“, რაც ხშირად ემართებათ წყალწაღებულ ლოთებს. ნოტარიუსმა აღარ იცის სად წაიღოს და ვის მისცეს დამნაშავის შესაპყრობად გადადებული ფული.



## დამაჯერებელი გაფრთხილება

ამ ბოლო ხანებში პარიზის ქუჩებში ხშირად დაინახავთ ავტოკატაფალკებს, რომლებზეც კუბოა დასვენებული. მანქანის ძარაზე, უკანა მხრიდან წარწერილია: „მძღოლო, იარე ფრთხილად! გახსოვდეს, რომ თუ შეცდომას დაუშვებ, ჩვენი შემდგომი მარშრუტი შენი ბინა იქნება!“

როგორც ამბობენ, ასეთმა თვალსაჩინო გაფრთხილებამ გასჭრა და პარიზის ქუჩებში იკლო ავტოავარიებმა.



## ყველაფრის მცოდნე

სტოკჰოლმის რადიომ მოაწყო კონკურსი თემაზე: ვინ უფრო მეტი იცის. გამოირკვა, რომ მთელ შვეციაში ყველაზე უფრო ერუდირებული კაცი არის გუნარ ანდერსონი. სპეციალისტები გაოცებულნი უსმენდნენ მის შეუმცდარ და საფუძვლიან პასუხებს მეცნიერების სულ სხვადასხვა დარგებიდან. კონკურსში გამარჯვებამ ფრთა შეასხა ანდერსონს: შეიძლება ახლა მაინც იშოვოს სამსახური, რომელსაც აგერ მეოთხე წელია ამაოდ დაეძებს.

## წინა ხაზზე

ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტრომ გამოაქვეყნა სტატისტიკური ცნობები, რომლებიც მოწმობენ, რომ შარშანდელი წლის მანძილზე, წინა წლებთან შედარებით, დამნაშავეთა რიცხვი ამერიკაში გაიზარდა 10 პროცენტით, ხოლო იმ ამერიკელ ჯარისკაცთა და სამხედრო მოსამსახურეთა შორის (მათი რიცხვი 800 ათასს აღწევს), რომლებიც ევროპაში იმყოფებიან, 24 პროცენტით. ამრიგად, სამოქალაქო განგსტერები აშკარად ჩამორჩნენ მუნდირიან განგსტერებს.



## შაბათიდან ორშაბათამდე

კოპენჰაგენის ელექტროტექნიკურმა ფირმამ საღამოს გაზეთის შაბათის ნომერში ასეთი შინაარსის განცხადება გამოაქვეყნა: „ჩვენი ღამის დარაჯის ავადმყოფობის გამო, სასწრაფოდ ვეძებთ ახალ დარაჯს“.

ორშაბათ დილით გამოირკვა, რომ რომელიღაც მკითხველმა კარგად ისარგებლა გაზეთში გამოქვეყნებული განცხადებით. ქურდებმა პირწმინდად დააცარიელეს ფირმის სალაროები, რომლებსაც აღარავინ არ იცავდა.

გარეკანის პირველ გვერდზე: ლენინის მოედანი. ფოტო თ. არჩვაძისა. მეოთხე გვერდზე: საქართველოს სიმღერისა და ცეკვის დამსახურებული ანსამბლი (სამხატვრო ხელმძღვანელი რესპ. სახალხო არტისტი ანზორ კავსაძე) ფოტო ო. თურქიასი.

მთავარი რედაქტორი გ. ნატროშვილი.

საქ კპ ცკ-ის გამომცემლობა

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის—99-54-66, პ/მგ. მდივნის—99-82-69, განყოფილებების—93-28-42, 99-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

გადაეცა ასაწყობად 9/III-71 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/III-71 წ. ქაღ. ზომა 70×108¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 2. პირობით ნაბეჭდი ფურცელი 2,8. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,1. ტირაჟი 51.100. შეკვ. № 788. უე 01957.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина. 14.





ნესტან ერაძე.

# ნოლჯგუფელები




თამრიკო ჯანიაშვილი და გია კვერნაძე.

ფოტო
შოთა ჩხეტიანისა.

ფიზკულტურის გაკვეთილი.



ექიმი ა. ყოჩიაშვილი და მოსწავლე ი. ჯანგირაშვილი.



თამრიკო ჯანიაშვილი დედასთან ერთად.



ИНДЕКС 76056



ეროვნული
ბიბლიოთეკა